ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეკალი

რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი

№ 9

2015

ISSN 1987-8583

დარეჯან თვალთვაძე

ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი

ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებს ამ წმინდა წიგნის შესახებ დაწერილი სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის მრავალი მეტატექსტი ახლავს: ესენია: მთარგმნელის/რედაქტორის/გადამწერის კოლოფონები, აშიაზე მიწერილი განმარტებები; ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, სახარების შესახებ დაწერილი დოქსოლოგიური თხზულება („შესხმაჲ ოთხთავისაჲ“) და სხვ.

საუკუნეთა განმავლობაში ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტი არაერთხელ შესწორებულა [შანიძე, 1945; იმნაიშვილი, 1979; ქაჯაია,1984; ადიშის ოთხთავი, 2003; სარჯველაძე, 2002; მაჩხანელი, 2010]. სახარების ქართულად თარგმნისა და რედაქტირების პროცესში სამი ეტაპი გამოიყოფა: წინაათონური, ათონური და ელინოფილური [კეკელიძე, 1980:414]. დღეისათვის დადგენილია, რომ წინაათონურ პერიოდში (XI საუკუნემდე), ქართულად უკვე არსებობდა სახარების ორი ძირითადი რედაქცია: ოპიზური[1] და ადიშური[2].

X საუკუნის 80-იან წლებში, როცა ქართულმა სახელმწიფომ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო, ზოგადად ქართული კულტურის, და, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმნის ისტორიაშიც ახალი ეტაპი დაიწყო, რამაც გამოიწვია აღმოსავლეთის ეკლესიათა ლიტურგიკულ ტრადიციებზე დაფუძნებული ძველი ქართული თარგმანების რევიზიის საჭიროება. სახარება-ოთხთავის ძველი ქართული რედაქციები, რომლებიც განსხვავდებოდა დასავლეთის ეკლესიებში კანონიზებული ტექსტისაგან, შედარებულ-შეჯერებული უნდა ყოფილიყო სახარების ე.წ. ბიზანტიურ რედაქციასთან, იმ ბერძნულ კანონიკურ ტექსტებთან, რომლებიც იმხანად ბერძნულ ეკლესიებში გამოიყენებოდა. ეს საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმე თავს იდო წმ. გიორგი ათონელმა (მთაწმიდელმა),რომლებმაც ბიბლიის ქართული თარგმანების ბერძნულთან შედარება და მის მიხედვით შესწორება დაიწყო, რაც დასრულდა ქართული ოთხთავის ბოლო, ათონური, რედაქციის ჩამოყალიბებით.

ქართული ოთხთავის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნი აღმოჩნდა მე-11 საუკუნეში შავი მთის სამწერლობო კერაში გადაწერილი ხელნაწერები [თვალთვაძე, 2009:129–141; თვალთვაძე, 2012:213-229], რადგან, როგორც ირკვევა, მათი სახით ხელთ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციამდე განვლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტები. თითქმის ყველა ამ ხელნაწერში სახარება-ოთხთავის ტექსტს დართული აქვს სხვადასხვა სახის მეტატექსტიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ სახარების ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის (გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებს. კერძოდ: როგორ იქმნებოდა ოთხთავის ათონური რედაქცია, სად და როდის დაიწყო მასზე მუშაობა გიორგი ათონელმა, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა ის, როცა ოთხთავის ტექსტის „ბერძნულისადა მიყვანებაზე” (ბერძნულთან დაახლოებაზე) მუშაობდა, როგორ მიმდინარეობდა

ეს პროცესი? იყო თუ არა ეს ერთჯერად განხორციელებული რევიზია? როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმიდელი თავის საქმიანობას, რად მიაჩნდა მას თავისი ხელიდან გამოსული ტექსტი – ახალ თარგმანადD თუ ძველი თარგმანის ახალ ვერსიად? როგორია მისი დამოკიდებულება სახარებათა ძველი ქართული თარგმანების მიმართ? როგორია გადამწერთა დამოკიდებულება გიორგისეული ტექსტისა და თავად გიორგის მიმართ? როგორ მოიპოვა სახარების გიორგისეულმა რედაქციამ ვულგატის სტატუსი, რამ შეუწყო ამას ხელი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში სახარების ტექსტის კვლევასთან ერთად გვეხმარება ის კოლოფონები, რომლებიც ოთხთავის ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერებს შემოუნახავთ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ამჯერად გამოვყოფთ რამდენიმეს, კერძოდ, ოთხთავის ქართულ თარგმანებზე დართულ რამდენიმე კოლოფონზე დაყრდნობით შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას - როდის და როგორ ჩამოყალიბდა ქართული ოთხთავის ის რედაქცია, რომელიც გიორგი ათონელმა შექმნა და მის სიცოცხლეშივე მოიპოვა ფართო აღიარება და გავრცელდა როგორც ვულგატა.

ქართული ოთხთავის გიორგი ათონელისეული რედაქციის დედანს ან მის პირს ჩვენამდე არ მოუღწევია [იმნაიშვილი,1979:153-243 ; პაპუაშვილი,2007:136][3]. ჩვენამდე შემონახული 150–ზე მეტი მანუსკრიპტიდან[4] XI საუკუნის სულ რამდენიმე ნუსხაა[5], მათგან 4 შავი მთის მონასტრების სკრიპტორიუმებშია[6] გადაწერილი, კერძოდ:

1054 წლის ალავერდის ოთხთავი (A 484), რომელიც გიორგი ათონელის რედაქციის ე.წ. შუალედურ რედაქციას შეიცავს [თვალთვაძე, 2008, 12–20; თვალთვაძე, 2012:213-229];

კალიპოსის ოთხთავი, კალიპოსის მონასტერში 1060 წელს გადაწერილი სახარება (ქუთ. 76), რომელიც დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 76–ე ნომრითაა დაცული [მუმლაძე, 2008; 2006:20-23;];[7]

ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული (Vat.Iber.1) ვატიკანის ოთხთავი;

რუისის ან შავი მთის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერი A 845 [აბულაძე, 1949: 312].

სახარების სწორედ ეს ხელნაწერები (ალავერდის, კალიპოსის, ვატიკანისა და რუისის ოთხთავები), რომლებიც XI საუკუნის მეორე ნახევარში შავი მთის მონასტრების სამწერლობო კერაშია შექმნილი, იკავებენ განსაკუთრებულ ადგილს ოთხთავის ქართულად თარგმნის ისტორიაში, რადგან მეტად საინტერესო მასალას გვაძლევენ გიორგის რედაქციის ტექსტის ჩამოყალიბების ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის შემქნელი, გიორგი ათონელი, ერთხანს შავ მთაზეც მოღვაწეობდა [გიორგი მცირე, 1967: 101-207].

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვნი გამოდგა აღნიშნულ მანუსკრიპტებში დაცული სახარების ტექსტზე დართული მეტატექსტები: კერძოდ:

ა) კალიპოსის ოთხთავზე დართული გიორგი მთაწმინდელის ანდერძი;

ბ) ალავერდის ოთხთავის (A 484) ანდერძები;

გ) შავი მთის ოთხთავის (A 845) გადამწერის, შავ ზაქარიას, ანდერძი;

დ) კალიპოსის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძი;

ე) დოქსოლოგიური შინაარსის უსათაურო ტექსტი, რომელიც ერთვის შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის რამდენიმე ხელნაწერს და რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „შესხმაჲ ოთხთავისაჲ”[სილოგავა, 1989:153-165; თვალთვაძე, 2010].

ოთხთავის ქართულ თარგმანებზე დართული ზემოთ ჩამოთვლილი ტექსტებიდან, ცხადია, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც ათონური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ერთვის. ეს არის კოლოფონი, რომელიც მთარგმნელს (მთარგმნელ-რედაქტორს) სახარების თარგმანის ტექსტზე მუშაობის რთული და ხანგრძლივი პროცესის დასრულების შემდეგ დაუწერია: *„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი არა ახლად გჳთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიდითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდის დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაიმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისთჳს ერთმანეთს ნუ განჰრევთ და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“*(ქუთ.76, 310r).[8]

ამ ანდერძის ორი (A და B) რედაქცია არსებობს [შანიძე, 1981: 282-283]. მათ შორის განსხვავება რამდენიმე ადგილის წაკითხვაშია, კერძოდ: ანდერძის დასაწყისში A რედაქციის ხელნაწერებში წერია: *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **ჩუენ ახლად** გჳთარგმნია“*, B-ში კი – *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **არა ახლად** გჳთარგმნია“* (ანუ განსხვავებაა ერთ სიტყვაში ჩუენ]არა). ანდერძის ბოლო წინადადებაში – *„გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“*, A-ში B-სთან შედარებით მეტია ფრაზა:*„რომელმან ესე ვთარგმნე.“* თუ რომელი მათგანი გვიჩვენებს თავდაპირველ წაკითხვას, დღესაც სადავოა, არადა,

სწორედ ამ ადგილის წაკითხვა მოგვცემდა პასუხს ზემოთ უკვე დასმულ კითხვებზე, როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმიდელი თავის საქმიანობას და ახალ თარგმანად მიაჩნდა თავისი ხელიდან გამოსული ტექსტი თუ ძველი თარგმანის ახალ, გადამუშავებულ ვერსიად.

სახარების გიორგისეული რედაქციის უძველეს ნუსხაში (ქუთ.76 - კალიპოსის ოთხთავი) შემონახული ანდერძის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამ ანდერძის სადავო ადგილის წაკითხვაში B რედაქციას უჭერს მხარს, სადაც გიორგი თავის თავს არა მთარგმნელად, არამედ რედაქტორად მიიჩნევს, ვფიქრობთ, რომ სადავოც არაფერია. გიორგის სიცოცხლეში გადაწერილ ამ ხელნაწერში (ქუთ.76,310r) კარგად ჩანს, რომ ანდერძის ტექსტში ეს ადგილი გვიან არის ჩასწორებული, კერძოდ, წაშლილია სიტყვა *„არა“* და ზემოდან გადაწერილია სიტყვა *„ჩუენ“*. ასევე ამოფხეკილია სიტყვა*„არამედ“, რის შედეგადაც მიღებულია ასეთი წაკითხვა: „ესე წმიდაჲ ოთხთავი **ჩუენ ახლად** გჳთარგმნია“*, ნაცვლად პირვანდელი (ჩასწორებამდელი) ვარიანტისა, რომელიც ასე იკითხებოდა: *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **არა ახლად** გჳთარგმნია,**არამედ** ... ბერძულთა*

სახარებათადა შეგჯწამებია ფრიდითა გამოწულილვითა...“. როგორც ჩანს, ანდერძის ტექსტი გადამწერებმა, ალბათ, გიორგის ღვაწლის უკეთ წარმოჩენისა და დაფასების მიზნით, შეცვალეს და გიორგის სახარების ახლად თარგმნა მიაწერეს. ამ პოზიციის გასამყარებლად ტექსტში დამატებით ერთი ფრაზის ჩართვაც გახდა საჭირო:*„რომელმან ესე ვთარგმნე“*. კალიპოსის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძში, რომელიც უშუალოდ მოსდევს გიორგის ზემოთ დასახელებულ ანდერძს (ქუთ.76,310r), კარგად ჩანს კიდევ ერთი ჩასწორების კვალი, რომელიც ადასტურებს, რომ ძველი ქართველი მწიგნობრები შეგნებულად ცდილობენ იმის ხაზგასმას, რომ სახარების ტექსტი გიორგი ათონელის თარგმნილია. *„ ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, უღირსისა ბასილისთჳსცა, რომელმან წმიდაჲ ესე ოთხთავი **მამისა** გიორგის **თარგმნილისა** სახარებისა**გან** გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია, ღმრთისათჳს სიტყუას ნუ შესცვალებთ {თჳნიერ საძიებელთა}“*.

ბასილი თორელყოფილის ანდერძში სიტყვა *„თარგმნილი“* გვიანდელი ინტერპოლაციაა, რადგან აშკარაა, რომ ის სხვა ფერის მელნითაა ჩაწერილი. საგულისხმოა, რომ იგივე ბასილი თორელყოფილი იმავე ხელნაწერზე დართულ სხვა ანდერძში სხვაგვარად მსჯელობს: *„...ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდისა ამის ოთხთავისა სახარებასა**განწმედილსა ახლად** და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა...“* (*ქუთ.* 76, 352 v). საიდანაც ჩანს, რომ მისთვის გიორგი მთაწმიდლის სახარების ტექსტი ახლად განწმედილია და არა ახლად თარგმნილი.

გარდა ზემოთ მოყვანილი ანდერძისა, სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტის შემცველ მანუსკრიპტებში რამდენიმე სხვა კოლოფონიც გვხვდება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გიორგის მიერ ოთხთავის ტექსტზე მუშაობის პროცესისა და მისი რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის წარმოსადგენად. კერძოდ, XI საუკუნეში შავ მთაზე გადაწერილ რუისის ოთხთავს (A 845), რომელსაც შავი მთის ოთხთავის სახელითაც მოიხსენიებენ [აბულაძე,1949:312], ახლავს გადამწერის, შავ ზაქარიას, ანდერძი, რომელიც გვაუწყებს: *„... ნიკოლაოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელის სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა **მესამედ**. ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათჳს, ამენ“* (A 845, 305v). შავ ზაქარიას ცნობით, მას გიორგის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული, ბერძნულთან მესამეჯერ შედარებული, ოთხთავის ტექსტი გადაუწერია თვით გიორგის ავტოგრაფიდან გადანუსხული დედნიდან, ანუ გადაუნუსხავს სახარების ის ვერსია, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელდა და ვულგატად იქცა და რომელიც იყო *„უფროჲს მზისა ბრწყინვალე... რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი...“* (ქუთ. 76, 352v). ალბათ გადმწერთა ამგვარმა დამოკიდებულებამაც შეუწყო გარკვეულწილად ხელი გიორგისეული ვერსიის პოპულაროზას.

სახარების ათონური რედაქციის ჩამოყალიბების პროცესის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა შავ მთაზევე გადაწერილი კიდევ ერთი ხელნაწერის, კერძოდ, ალავერდის ოთხთავის ანდერძი [A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, 1986:210-217]. საზოგადოდ, ოთხთავის ეს ნუსხა მდიდარია მეტატექსტებით, რომელთა მეშვეობითაც დგინდება,

რომ ის გადაწერილია 1054 წელს კალიპოსში, წმინდა ღვთისმშობლის ლავრაში (A 484: 311v, 314r). ხელნაწერი რამდენიმე პირს გადაუწერია [ქართულ..., 1986:212], კერძოდ, ანდერძში დასახელებული არიან სვიმეონი, გიორგი, მიქაელი და იოანე დვალი. ხელნაწერის მომგებელს და ერთ-ერთ გადამწერს, სვიმეონს, ვრცელი ანდერძი დაურთავს ოთხთავის ტექსტისათვის, რომელშიც ამ ხელნაწერის შექმნის მიზანი და გარემოებანი საინტერესოდ არის აღწერილი[ქართულ...,1986:212-213].

აღსანიშნავია, რომ ალავერდის ოთხთავს არ ახლავს გიორგი ათონელის ზემოთ მოყვანილი ცნობილი ანდერძი, სამაგიეროდ, ხელნაწერის დასაწყისში, ევსებიოსის წერილისა (1v-2v) და კამარებში ჩაწერილი კანონების (2v-9v) შემდეგ, 10r-ზე შემონახულია სახარების ტექსტის გადამწერის (სვიმეონის) ხელითვე შესრულებული გიორგი ათონელის სხვა ანდერძის ფრაგმენტი, რომელიც ამ გვერდის A სვეტში პირველივე სტრიქონიდან იწყება და თავნაკლულია: „ ... *სახარებათადა შემიწამებია ბერძულსა ორჯერ და ქართულსა და ყოვლითურთ უნაკლულოდ რიცხჯთა და კანონითა და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთჯს, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისად დაუშურერდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდვეთ. ღმერთმან გარწმუნოს*“[A484,10r; ქართულ...,1986:212].იმავე გვერდის B სვეტში კი იწყება მათეს სახარების თავთა ჩამონათვალი. ეჭვგარეშეა, რომ ანდერძის ფრაგმენტი ხელნაწერის შექმნის დროსვეა გადაწერილი იმავე გადამწერის მიერ, რომელმაც სახარების ტექსტის ეს ნაწილი გადაწერა, ოღონდ მას დღეს აკლია ანდერძის დასაწყისი, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომელ სახარებებთან არის შეწამებული ტექსტი. მანუსკრიპტის მე-9 და მე-10 ფურცლებს შორის უნდა ყოფილიყო, სულ მცირე, კიდევ ერთი ფურცელი, რომელზედაც ამ ანდერძის დასაწყისი ეწერა.

ხელნაწერის ბოლოს 314v-ზე (ხელნაწერის ეს ნაწილი გადაწერილია იოანე დვალის მიერ) მეორდება თითქმის იმავე შინაარსის კოლოფონი, რომელიც ერთგვარად ავსებს ხარვეზს და ზემოთ წარმოდგენილი კოლოფონის ფრაგმენტის გაუგებარ ფრაზას - *„...სახარებათადა შემიწამებია“*- აზრს სძენს. იქ ანდერძი ასე იკითხება: *„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხჯნეთ წმიდას ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაჲ არს მამისა ეფთჯმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯერ და ქართულსა და ყოვლითურთ უნაკლულოდ რიცხჯთა და კანონითა და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთჯს, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისად დაუშურერდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდვეთ. ღმერთმან გარწმუნოს... “* [A484,314rv; ქართულ...,1986:212]. ამ კოლოფონის ტექსტი, რომელიც შემწირველის ანდერძს უძღვის წინ, გადამწერს საგანგებო ტექნიკური ნიშნით გამოუყვია მომდევნო ტექსტისაგან, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამოსაკვეთად, რომ ის ეკუთვნის არა შემწირველს (იოანე პროედროსს), არამედ სახარების ტექსტის რედაქტორს თუ მთარგმნელს (გიორგი ათონელს), რომელმაც ის, ალბათ, თავის ავტოგრაფულ ნუსხას დაურთო და შემდეგ ალავერდის ოთხთავშიც მოხვდა. ანდერძის ტექსტი სრულია, შინაარსობრივად ეს ტექსტი ხელნაწერის დასაწყისში წარმოდგენილი ფრაგმენტის (10r) იდენტურია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ I ფრაგმენტში (10r) ანდერძი I პირშია დაწერილი *(„შემიწამებია“, „დავწერენ“)*, II ვარიანტში (314r) კი – III პირში*(„შეწამებულ არს“* ნაცვლად *„შემიწამებიასი“*, თუმცა, II ზმნა ისევ I პირშია _ *„დავწერენ“*). ეჭვგარეშეა, რომ ერთსა და იმავე ტექსტთან გვაქვს საქმე, ისიც უდავოა, რომ ანდერძი ხელნაწერის ორგანული ნაწილია და წიგნის დამზადების დროსვეა დაწერილი.

შესაბამისად, ცნობა, რომელსაც ეს კოლოფონი გვაწვდის, ანგარიშგასაწევია, კერძოდ, ალავერდის ოთხთავში დაცული სახარების ტექსტი სანდო და უეჭველია, რადგან ის შედარებულ-შეჯერებულია სამი სანდო წყაროს მიხედვით. ესენია: ა) „მამისა ეფთჳმეს სახარება“[9]; ბ) „ქართული სახარება“[10] და გ) ბერძნული სახარება[11], რომელთანაც ამ კოლოფონის ავტორს ორჯერ მოუხდენია შედარება. ცხადია, ამგვარი შედარების შედეგად მიღებული ტექსტი განსხვავდება როგორც ძველი რედაქციების („ქართული სახარების“) ტექსტისაგან, ასევე ექვთიმე ათონელისეული სახარების ტექსტისაგან, რადგან ბერძნულთან ორჯერ შედარება-შეწამების შემდეგ მოსალოდნელია, რომ მას მნიშვნელოვანი ცვლილებები განეცადა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ალავერდის ოთხთავში (A 484) დაცულ ტექსტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ამ ხელნაწერის პირველი აღმწერელის, თედო ჟორდანიას, აზრით, ალავერდის ოთხთავი ექვთიმე ათონელის რედაქციის ტექსტს შეიცავს [ჟორდანია, 1902:48][12]. იმავე აზრისაა ილია აბულაძეც [აბულაძე, 1949:312], უფრო ფრთხილად გამოხატავს თავის პოზიციას ამ საკითხზე კორნელი კეკელიძე. მისი სიტყვებით, *„A 484 თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, 314-ე ფურცელზე გაკეთებული მინაწერი წმინდისა ექვთიმეს სახარებას მაინც ასახელებს“* [კეკელიძე,1980:317]. ივ. იმნაიშვილს წიგნში „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“ აღნიშნული აქვს, რომ ალავერდის ოთხთავის ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისა [იმნაიშვილი,1979:49], თუმცა ამის დამამტკიცებელი არგუმენტები არ მოჰყავს. განსხვავებული და, ვფიქრობთ, საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მიხეილ ქავთარიამ, რომელსაც ეკუთვნის ამ ხელნაწერის ბოლო ვრცელი აღწერილობა. მისი აზრით, *„ალავერდის ოთხთავი უნდა ასახავდეს გიორგი მთაწმიდელის ოთხთავზე მუშაობის I ეტაპს, როდესაც მას ექვთიმეს რედაქცია ორჯერ შეუდარებია ბერძნული დედნისთვის და ადრეული ქართული თარგმანისთვის“* [ქართულ..., 1986:212]. მიუხედავად იმისა, რომ მ. ქავთარიას მიერ გაკეთებული დასკვნები არ ეყრდნობა ტექსტოლოგიურ ანალიზს და ძირითადად ხელნაწერზე დართული ანდერძების მონაცემებს ეფუძნება, ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებულ მოსაზრებათაგან იგი ყველაზე ახლოს დგას იმ დასკვნებთან, რომლებიც ჩვენ ალავერდის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მივიღეთ [თვალთვაძე, 2008:12-20]. ჩვენი აზრით, 1054 წელს გადაწერილ ალავერდის ოთხთავში დაცული გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის ბოლო რედაქციაზე გიორგი ათონელის მუშაობის შუალედური ეტაპის ამსახველი ტექსტი, როცა ძველი ქართული თარგმანები მას ჯერ მხოლოდ ორჯერ აქვს შედარებული ბერძნულთან, რედაქტირების პროცესი ჯერ არაა დასრულებული, შესაბამისად, არც ვულგატის ტექსტია საბოლოო სახით ჩამოყალიბებული, რადგან მესამე და საბოლოო შედარება, რომლის შესახებაც საუბრობს რუისის ოთხთავის გადამწერი და რის შედეგადაც მივიღეთ ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული ტექსტი, ჯერ არ განხორციელებულა[13]. ამიტომაც არ ერთვის ალავერდის სახარებას გიორგი მთაწმინდლის ის ცნობილი ანდერძი, რომელიც მან მუშაობის დასრულების შემდეგ ბერძნულთან მესამედ შედარების შედეგად ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო და რომელიც ამ რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ახლავს.

როგორც ჩანს, ბერძნულ ტექსტთან ქართული თარგმანის უფრო მეტად დაახლოების სურვილმა განაპირობა ის, რომ გიორგი მთაწმინდელი კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა ოთხთავის ტექსტს და ორჯერ უკვე შედარებულ-შეწამებული და რედაქტირებული ტექსტი მესამედაც შეედარებინა

ბერძნულთან. მისი მიზანია, ზუსტად გადმოიღოს დედნის ტექსტი. სიზუსტის დასაცავად მას ზოგჯერ უხდება ქართულ ტექსტში სიტყვათა დამატება ან დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შეცვლა, სიტყვათა რიგის შენაცვლება, ბერძნული და ქართული ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებაც და, ამის შესაბამისად, თარგმანის ენის დახვეწა-განახლება.

კალიპოსის ოთხთავს ერთვის ზემოთ განხილული კოლოფონებისაგან ფუნქციურად და შინაარსობლივად განსხვავებული კიდევ ერთი ტექსტი, რომელშიც სახარების როგორც „წიგნთა წიგნის“ მნიშვნელობაა განმარტებული [ქუთ.76:350v-353r; სილოგავა,1989;153-165; თვალთვაძე, 2010]. ეს ტექსტი ფაქტობრივად წარმოადგენს ჰომილიას ამ თემაზე და ფრიად საყურადღებოა მხატვრული თვალსაზრისითაც. მაგრამ საინტერესოა, რომ ამგვარი ტექსტი, რომელიც „ცათა და ქუყანისა უზეშთაესი წიგნის“ მომგებელთა, მწერალთა და მკითხველთათვისაა დაწერილი[14] და რომელშიც სახარების, როგორც წიგნთა წიგნის, მნიშვნელობაზეა საუბარი (პირობითად „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“), კალიპოსის ოთხთავის გარდა, ოთხთავის მრავალრიცხოვან ხელნაწერთაგან მხოლოდ შავი მთის ოთხთავებში აღმოვაჩინეთ[15], რაც გვაფიქრებინებს, რომ „შესხმაჲ“–ის ტექსტი შავი მთის მწიგნობრულ სკოლაშია შექმნილი და იქ მოღვაწე გადამწერებს საჭიროდ მიაჩნდათ მისი დართვა სახარების ნუსხებისთვის. ჩვენი აზრით, ამ ტექსტის ავტორი შეიძლება კალიპოსის ოთხთავის გადამწერი, ბასილი თორელყოფილი, იყოს [თვალთვძე, 2010].

ის ფაქტი, რომ „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“ არ ახლავს 1054 წლით დათარიღებულ შავ მთაზე გადაწერილ სახარების ორ ნუსხას – S 962–ს და A 484, რომელთაგან ერთი (S 962) წინაათონური რედაქციის ტექსტის შემცველი მანუსკრიპტია, ხოლო მეორე - ალავერდის ოთხთავი, რომელშიც ათონური რედაქციის ჩამოყალიბებაზე მუშაობის პროცესის ამსახველი შუალედური ტექსტია შენახული, გვაფიქრებინებს, რომ ის 1054 წლის შემდეგ დაიწერა და დაიწერა საგანგებოდ გიორგი ათონელის მიერ რედაქტირებული ოთხთავის საბოლოო ვერსიისათვის.

ვფიქრობთ, საინტერესოა მე–11 საუკუნის ქართული ოთხთავების ხელნაწერთა კოლოფონებში მოცემული ცნობების შედარება გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის, გიორგი მცირის, მიერ გადმოცემულ ფაქტებთან. გიორგი მცირე, რომელიც გიორგი მთაწმინდელის (resp.ათონელის) მოწაფე იყო, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“ [გიორგი მცირე, 1967: 101-207] მოგვითხრობს თავისი მოძღვრის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ გიორგიმ მოღვაწეობა შავ მთაზე დაიწყო ცნობილი შავმთელი მამისა და მწიგნობრის, გიორგი შეყენებულის, ხელმძღვანელობით, შემდეგ ის გაემგზავრა ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში (ივირონში) და მოგვიანებით მისი წინამძღოლიც გახდა (1044–56 წწ.). მთარგმნელობით საქმიანობას გიორგი მთაწმინდელი თავისი მოძღვრის, გიორგი შეყენებულის, დაჟინებული თხოვნით 1042 წლიდან იწყებს. ბიოგრაფის ცნობით, ამ დროს მან ბერძნულიდან თარგმნა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი: პარაკლიტონი, დიდი კურთხევანი, სახარება გამოკრებილი//საწელიწდო სახარება, საწელიწდო საწინაწარმეტყველო, პავლე საწელიწდო, პავლე სრული და კათოლიკე ეპისტოლენი, თარგმანება დაბადებისაჲ, თთუენი (სექტემბრის თვის). დაწერა „იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრება“. გიორგი მცირისვე ცნობით, ივირონის წინამძღოლობის დროს (1044–56 წწ.) მან მხოლოდ ერთხელ, 1054 წელს, დატოვა ათონის მთა და თითქმის ერთი

წლით გაემგზავრა შავ მთაზე, სადაც ამ დროსთვის უკვე ჩამოყალიბებულია მწიგნობრული კერა (სვიმეონწმინდა, კასტანა, კალიპოსი, რომანწმინდა, თუალთა და სხვ.). ბიოგრაფის ცნობით, ამავე პერიოდში ბაგრატ მეფის დედის, დედოფალ მარიამის, თხოვნით, გიორგიმ მოილოცა იერუსალიმი და *„დაღაცათუ შეწუხდა, არამედ ნებასა ღმრთისასა ვერ წინაღუდგა... დაღაცათუ შეუძნდა საქმე ესე, ვინაჲთგან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწეოდა“.*იერუსალიმიდან კი *„**შავსა მთასა მოიწია“** და „მოიცალა ყოველთა ამათ შფოთთა და საურავისაგან და **ყოვლისა ზრუნვისაგან თავისუფალმან იწყო თარგმანებად წმიდათა წიგნთა,** ვითარცა სულიწმიდა მისცემდა. და ეგევითარი თარგმანი... სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა, და ვფგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს... თარგმანთა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და წმიდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თჳსთა ოქროჲთა განამდიდრნა უხუად და გარდარეულად“*[გიორგი მცირე, 1967: 145].

გიორგი მცირე აფასებს რა გიორგის ღვაწლს, საუბრობს მის დიდ დამსახურებაზე წიგნთა თარგმნის საქმეში, გამოყოფს გიორგის მიერ ამ კუთხით შესრულებულ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს. მისი ცნობით: ა) გიორგიმ პირველმა თარგმნა ბერძნულიდან ბევრი თხზულება; ბ) ადრე თარგმნილი *და წუთ ვერკეთილად გადმოღებულნი, ჟამთა სიგრძისაგან დაგესლილნი ბრძედსა მას შინა გამოახუნა* გ) *წიგნნი ეფთვიმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმნილნი განასრულნა და განავრცელნა;* დ) *კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განაშუენა და განაბრწყინნა, ვითარცა თვით თავადი სახარებაჲ და პავლე “* [გიორგი მცირე, 1967:146]. ე. ი. გიორგი მცირისთვის გიორგი ათონელის მიერ სახარების ტექსტზე მუშაობა არის არა ტექსტის ხელახლა თარგმნა, არამედ სახარების ბეძნულთან შეწამება და ყოველი ნაკლულევანებისაგან მისი განწმედა**.** საგულისხმოა ის ფაქტიც, ბიოგრაფის ცნობით, გიორგი შავ მთაზე, კერძოდ, სვიმეონწმიდის ან კალიპოსის მონასტრებშიც მუშაობდა.*„ საყოფელად არნ ოდესმე სვიმეონწმიდას და ოდესმე კალიპოსს“* [გიორგი მცირე, 1967:148].

ბიოგრაფი გვაუწყებს კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ შავ მთაზე დაწყებულა სახარების გიორგისეული ტექსტის გავრცელება–გამრავლებაც: *„ ხოლო ვითარცა ცნა ღმრთისმსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედსრულქმნა თარგმანება წიგნთა საღმრთოთა და **მოირწყეს ეკლესიანი შავისა მთისანი** წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროჲს ყოველთა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ–ყოფილმან და თავისა მონასტრისა ბარლაამ წმიდისათჳს დააწერინა...“* [გიორგი მცირე,1967:155]. ამგვარ ვითარებაში გასაკვირი არ არის, რატომ მოიპოვა ასე ფართო გავრცელება გიორგი ათონელის მიერ სახარების ძველი ქართული თარგმანების ბერძნულთან რამდენიმეგზის შედარების შედეგად ჩამოყალიბებულმა ვერსიამ, რომელიც ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაშიც დამკვიდრდა და ვულგატად იქცა. არსებითად, ეს არის ქართული ოთხთავის ბოლო რედაქცია[16], სწორედ ის არის წარმოდგენილი XI საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო ეპოქის მანუსკრიპტთა უმეტესობაში.

გიორგი მცირის ცნობებისა და ოთხთავის ხელნაწერებზე დართული კოლოფონების ანალიზისა და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად, ვფიქრობთ, კარგად იკვეთება შავი მთის ქართული სავანის განსაკუთებული მნიშვნელობა ქართული ოთხთავის საბოლოო, ათონური, რედაქციის

ჩამოყალიბებისა და მისი გავრცელების საქმეში. სწორედ აქ, სწორედ მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში, გიორგი მთაწმიდელის შავ მთაზე მოღვაწობის დროს, იწყება ელინოფილური ტენდენციების გამოვლენა და ძალიან მალე ხდება მის მწყობრ კონცეფციად ჩამოყალიბებაც: *„ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“ (ეფრემ მცირე);* იწყება ძველი თარგმანების რევიზია და მათი *„ბერძულისადა მიყვანა“*, *„რაჲთა არა გუაყვედრიდეს ბერძენნი“ (ეფრემ მცირე)*. ვფიქრობთ, რომ ეს ელინოფილიზმი, უპირველესად, სწორედ ქრისტიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების ბერძნულთან შედარება-შეწამების გზით ახალი რედაქციების ჩამოყალიბებით გამოიხატა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ქრისტიანულ სამყაროში „წიგნთა წიგნად“ მიჩნეული წიგნის – „სახარება-ოთხთავის“– გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია.

ქუთ.76, 310r. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი

1 ოპიზური რედაქციის ტექსტი (ე.წ. პროტოვულგატა) დაცულია შემდეგ ხელნაწერებაში: ხანმეტი ოთხთავი (VII ს; მათ.11,8-დან ბოლომდე); ცენტრარქივის ოთხთავი - ე. წ. „ანბანდიდი“ (IX ს.); ოპიზის ოთხთავი (913 წ.); ჯრუჭის ოთხთავი; პარხლის ოთხთავი (973 წ.); ბერთის ოთხთავი (988წ.); წყაროსთავის ოთხთავი (X ს.); მარტვილის ოთხთავი (X ს.); ტბეთის ოთხთავი (995 წ.); ქსნის ოთხთავი (X ს.); სინ.-15 (978 წ.); სინ.30, სინ-38 (979 წ.); სინ.-16 (X ს.); ქუთ.-176 (X ს.);**S** 405 (X ს.); A-1699, H-1887 (X ს.); პარხლის ახალი ოთხთავი S 4927 (X ს.); H-1240 (XI ს.); ურბნისის ოთხთავი (XI ს.); მესტიის ოთხთავი (1033 წ.); პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); S-962 (XI ს.); ქუთ. 363 (1013 წ.); ქუთ. 688 (1054 წ.) და სხვ.

2 დაცულია ადიშის ოთხთავში (ლუკ. 3,9-15,7 და 17,25 -23,2-ის გამოკლებით), ხანმეტ სახარებაში (მათ. 11,8-მდე), H 1240-ში (მარკ. XIV-XVთავები) და ქსნის ოთხთავის ზოგიერთ მონაკვეთში. ასევე, XI საუკუნემდე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ოპიზური და ადიშური რედაქციების შერევით მიღებული ეკლექტური რედაქციაც, რომელიც ქსნის ოთხთავსა და რამდენიმე სხვა ხელნაწერშია დაცული.

3 როგორც ვანის სახრების ანდერძი გვაუწყებს, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე იგი ივერიის მონასტრის დიდ წიგნსაცავში ინახებოდა (A 1335, 266v).

4 ათონური რედაქციის ტექსტის შემცველი ძირითადი ხელნაწერებია: ქუთ. 76 (კალიპოსის ოთხთავი) 1060 წ. Sin.O.19, 1074 წ; Sin. N.12, 1075 წ; Vat.Iber.1 (ვატიკანის ოთხთავი) XI ს; A 845 (რუისის ოთხთავი), XI ს.; Jer. 9, XI ს.; Ath. 62 (ოშკის სახარება) XI ს.; A1335 (ვანის ოთხთავი), XII-XIII სს; ეჩმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს; Q 908 (გელათის ოთხთავი), XII-XIII სს; Jer.49 , XI ს; Jer.153, XII ს.; Jer. 93, XII ს.; Jer.103, XIII ს.; ქუთ.74 XII- XIII ს.ს; Jer.102, XII-XIV სს; Jer.122, XIII-XIV; ქუთ. 5 XII- XIII სს.; ქუთ. 182 XII- XIII სს.; H 1791 (1213-1216 წწ.); ქუთ.145 XIII- XIV სს. და სხვ.

5 გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტის შემცველ ხელნაწერთაგან უძველესი ნუსხაა 1060 წლით დათარიღებული კალიპოსის ოთხთავი (ქუთ. 76.); ასევე თარიღიანი ნუსხებია სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ორი მანუსკრიპტი: ძველი კოლექციის N 19 (Sin.O.19, 1074 წ.) და ახალი კოლექციის N 12 (Sin.N.12, 1075 წ.); XI საუკუნით თარიღდება ასევე იერუსალიმში დაცული ოთხთავის ერთი ხელნაწერი (Jer.-49) და ათონური კოლექციის ხელნაწერი N 62 (Ath. 62). გიორგისეული რედაქციის ე.წ. შუალედური ვერსიის ტექსტს შეიცავს 1054 წელს გადაწერილი ალავერდის ოთხთავი (A 484) და ოშკის სახარების (Ath. 62) თავდაპირველი(გასწორებამდელი) ტექსტი [კვირკველია, 2011].

6 აღსანიშნავია, რომ შავ მთაზე გადაწერილ და დღემდე შემორჩენილ ნუსხებში ფაქტობრივად დაცული გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებამდე გავლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტი: S 962 (1054 წ., წინაათონური); ალავერდის ოთხთავი (1054 წ., შუალედური); კალიპოსის ოთხთავი (1060 წ., ათონური); ვატიკანის ოთხთავი (XI ს., ათონური); რუისის //შავი მთის ოთხთავი (XI ს., ათონური); H 1791 (1213-1216 წ.წ., ათონური).

7ქუთ.76 ხელნაწერში დაცული სახარების ტექსტი 2008 წელს გამოსცა ც.მუმლაძემ, თუმცა გამოცემას არ ახლავს ოთხთავის ტექსტზე დართული ანდერძები და სხვა მეტატექსტები.

8 ანდერძის ტექსტი მოგვყავს უძველესი ნუსხის (ქუთ.76) მიხედვით.

9 სხვა საკითხია, რას გულისხმობს გიორგი ათონელი ექვთიმეს სახარებაში. შეიძლება იგულისხმებოდეს ექვთიმეს მიერ თარგმნილი სახარების სვინაქსარული საკითხავები ან მის მიერვე თარგმნილ მათეს და იოანეს თავის განმატებებში წარმოდგენილი სახარების ტექსტის თარგმანი.

10 იგულისხმება ძველი, ალბათ, ხანმეტური და საბაწმინდური რედაქციები, ე. წ. პროტოვულგატა.

11 სავარაუდოდ, იმ დროს ბიზანტიაში მიღებული და გარცელებული რედაქციის ტექსტი.

12

13 ალავერდის ოთხთავის ტექსტის შედარება, ერთი მხრივ, წინარეათონური რედაქციის ძველ ხელნაწერებთან და, მეორე მხრივ, გიორგის რედაქციის შემცველ ნუსხებთან გვიჩვენებს, რომ ალავერდის ოთხთავის ტექსტი განსხვავდება ძველი წინაათონური (ე.წ. პროტოვულგატის) რედაქციის ტექსტისაგან. მისი წინაათონური რედაქციისგან განსხვავებული წაკითხვები ხშირად ასახულია გიორგისეული რედაქციის შემცველ ხელნაწერებში, ანუ გიორგიმ გაასწორა ძველი თარგმანის ტექსტი და ეს ცვლილებები I ეტაპზევე განახორციელა. ამიტომაც მოხვდნენ ისინი ალავერდის ოთხთავსა და ვულგატის ტექსტშიც. მეორე მხრივ, გვაქვს შემთხვევები, როცა ალავერდის ოთხთავის წაკითხვა სხვაობს გიორგის მიერ საბოლოოდ შემუშავებული რედაქციის წაკითხვისაგან და ძველი რედაქციების წაკითხვას თანხვდება, ანუ გიორგის ეს ადგილები რედაქტირების I ეტაპზე არ შეუცვლია, ცვლილება მხოლოდ ბერძნულთან მესამედ შედარების შემდეგ იქნა შეტანილი.

14 მეტად საინტერესო ტექსტი ერთვის ალავერდის ოთხთავსაც, ეს არის მომგებლის ანდერძი, რომელშიც ასევე სახარების მნიშვნელობაზეა საუბარი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია: 212-213)

15 ეს ტექსტის ნაკლული სახით ერთვის შავ მთაზე გადაწერილი ოთხთავებს: ვატიკანის ოთხათავს (Vat.Iberico1, გვ.574:567), H1791–ს (1213–1216წწ.). მისი შემოკლებული ვერსია დართული აქვს XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ქვათახევის ოთხთავსაც (A357).

16 მართალია, სახარების თარგმნისა და რედაქტირების ცდებს ჩვენში გიორგი ათონელის შემდეგაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს გამოწვეული იყო უფრო ეგზეგეტიკური ინტერესებით, ვიდრე ბიბლიოლოგიური მოსაზრებით.

ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი.ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი

ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებს ამ წმინდა წიგნის შესახებ დაწერილი სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის მრავალი მეტატექსტი ახლავს: ესენია: მთარგმნელის/რედაქტორის/გადამწერის კოლოფონები, აშიაზე მიწერილი განმარტებები; ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, სახარების შესახებ დაწერილი დოქსოლოგიური თხზულება („შესხმაჲ ოთხთავისაჲ“) და სხვ.

საუკუნეთა განმავლობაში ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტი არაერთხელ შესწორებულა [შანიძე, 1945; იმნაიშვილი, 1979; ქაჯაია,1984; ადიშის ოთხთავი, 2003; სარჯველაძე, 2002; მაჩხანელი, 2010]. სახარების ქართულად თარგმნისა და რედაქტირების პროცესში სამი ეტაპი გამოიყოფა: წინაათონური, ათონური და ელინოფილური [კეკელიძე, 1980:414]. დღეისათვის დადგენილია, რომ წინაათონურ პერიოდში (XI საუკუნემდე), ქართულად უკვე არსებობდა სახარების ორი ძირითადი რედაქცია: ოპიზური[1] და ადიშური[2].

X საუკუნის 80-იან წლებში, როცა ქართულმა სახელმწიფომ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აიღო, ზოგადად ქართული კულტურის, და, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმნის ისტორიაშიც ახალი ეტაპი დაიწყო, რამაც გამოიწვია აღმოსავლეთის ეკლესიათა ლიტურგიკულ ტრადიციებზე დაფუძნებული ძველი ქართული თარგმანების რევიზიის საჭიროება. სახარება-ოთხთავის ძველი ქართული რედაქციები, რომლებიც განსხვავდებოდა დასავლეთის ეკლესიებში კანონიზებული ტექსტისაგან, შედარებულ-შეჯერებული უნდა ყოფილიყო სახარების ე.წ. ბიზანტიურ რედაქციასთან, იმ ბერძნულ კანონიკურ ტექსტებთან, რომლებიც იმხანად ბერძნულ ეკლესიებში გამოიყენებოდა. ეს საპასუხისმგებლო და შრომატევადი საქმე თავს იდო წმ. გიორგი ათონელმა (მთაწმიდელმა),რომლებმაც ბიბლიის ქართული თარგმანების ბერძნულთან შედარება და მის მიხედვით შესწორება დაიწყო, რაც დასრულდა ქართული ოთხთავის ბოლო, ათონური, რედაქციის ჩამოყალიბებით.

ქართული ოთხთავის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნი აღმოჩნდა მე-11 საუკუნეში შავი მთის სამწერლობო კერაში გადაწერილი ხელნაწერები [თვალთვაძე, 2009:129–141; თვალთვაძე, 2012:213-229], რადგან, როგორც ირკვევა, მათი სახით ხელთ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციამდე განვლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტები. თითქმის ყველა ამ ხელნაწერში სახარება-ოთხთავის ტექსტს დართული აქვს სხვადასხვა სახის მეტატექსტიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ სახარების ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის (გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებს. კერძოდ: როგორ იქმნებოდა ოთხთავის ათონური რედაქცია, სად და როდის დაიწყო მასზე მუშაობა გიორგი ათონელმა, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა ის, როცა ოთხთავის ტექსტის „ბერძნულისადა მიყვანებაზე” (ბერძნულთან დაახლოებაზე) მუშაობდა, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი? იყო თუ არა ეს ერთჯერად განხორციელებული რევიზია? როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმიდელი თავის საქმიანობას, რად მიაჩნდა მას თავისი ხელიდან გამოსული ტექსტი – ახალ თარგმანადD თუ ძველი თარგმანის ახალ ვერსიად? როგორია მისი დამოკიდებულება სახარებათა ძველი ქართული თარგმანების მიმართ? როგორია გადამწერთა დამოკიდებულება გიორგისეული ტექსტისა და თავად გიორგის მიმართ? როგორ მოიპოვა სახარების გიორგისეულმა რედაქციამ ვულგატის სტატუსი, რამ შეუწყო ამას ხელი? ამ კითხვებზე პასუხის

გაცემაში სახარების ტექსტის კვლევასთან ერთად გვეხმარება ის კოლოფონები, რომლებიც ოთხთავის ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერებს შემოუნახავთ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ამჯერად გამოვყოფთ რამდენიმეს, კერძოდ, ოთხთავის ქართულ თარგმანებზე დართულ რამდენიმე კოლოფონზე დაყრდნობით შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას - როდის და როგორ ჩამოყალიბდა ქართული ოთხთავის ის რედაქცია, რომელიც გიორგი ათონელმა შექმნა და მის სიცოცხლეშივე მოიპოვა ფართო აღიარება და გავრცელდა როგორც ვულგატა.

ქართული ოთხთავის გიორგი ათონელისეული რედაქციის დედანს ან მის პირს ჩვენამდე არ მოუღწევია [იმნაიშვილი,1979:153-243 ; პაპუაშვილი,2007:136][3]. ჩვენამდე შემონახული 150–ზე მეტი მანუსკრიპტიდან[4] XI საუკუნის სულ რამდენიმე ნუსხაა[5], მათგან 4 შავი მთის მონასტრების სკრიპტორიუმებშია[6] გადაწერილი, კერძოდ:

1054 წლის ალავერდის ოთხთავი (A 484), რომელიც გიორგი ათონელის რედაქციის ე.წ. შუალედურ რედაქციას შეიცავს [თვალთვაძე, 2008, 12–20; თვალთვაძე, 2012:213-229];

კალიპოსის ოთხთავი, კალიპოსის მონასტერში 1060 წელს გადაწერილი სახარება (ქუთ. 76), რომელიც დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 76–ე ნომრითაა დაცული [მუმლაძე, 2008; 2006:20-23;];[7]

ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული (Vat.Iber.1) ვატიკანის ოთხთავი;

რუისის ან შავი მთის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერი A 845 [აბულაძე, 1949: 312].

სახარების სწორედ ეს ხელნაწერები (ალავერდის, კალიპოსის, ვატიკანისა და რუისის ოთხთავები), რომლებიც XI საუკუნის მეორე ნახევარში შავი მთის მონასტრების სამწერლობო კერაშია შექმნილი, იკავებენ განსაკუთრებულ ადგილს ოთხთავის ქართულად თარგმნის ისტორიაში, რადგან მეტად საინტერესო მასალას გვაძლევენ გიორგის რედაქციის ტექსტის ჩამოყალიბების ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის შემქნელი, გიორგი ათონელი, ერთხანს შავ მთაზეც მოღვაწეობდა [გიორგი მცირე, 1967: 101-207].

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვნი გამოდგა აღნიშნულ მანუსკრიპტებში დაცული სახარების ტექსტზე დართული მეტატექსტები: კერძოდ:

ა) კალიპოსის ოთხთავზე დართული გიორგი მთაწმინდელის ანდერძი;

ბ) ალავერდის ოთხთავის (A 484) ანდერძები;

გ) შავი მთის ოთხთავის (A 845) გადამწერის, შავ ზაქარიას, ანდერძი;

დ) კალიპოსის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძი;

ე) დოქსოლოგიური შინაარსის უსათაურო ტექსტი, რომელიც ერთვის შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის რამდენიმე ხელნაწერს და რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „შესხმაჲ ოთხთავისაჲ”[სილოგავა,

1989:153-165; თვალთვაძე, 2010].

ოთხთავის ქართულ თარგმანებზე დართული ზემოთ ჩამოთვლილი ტექსტებიდან, ცხადია, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც ათონური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ერთვის. ეს არის კოლოფონი, რომელიც მთარგმნელს (მთარგმნელ-რედაქტორს) სახარების თარგმანის ტექსტზე მუშაობის რთული და ხანგრძლივი პროცესის დასრულების შემდეგ დაუწერია: *„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი არა ახლად გჳთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიდითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გიჩნდის დაწერაჲ, ღმრთისათჳს, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაიმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისთჳს ერთმანეთს ნუ განჰრევთ და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“*(ქუთ.76, 310r).[8]

ამ ანდერძის ორი (A და B) რედაქცია არსებობს [შანიძე, 1981: 282-283]. მათ შორის განსხვავება რამდენიმე ადგილის წაკითხვაშია, კერძოდ: ანდერძის დასაწყისში A რედაქციის ხელნაწერებში წერია: *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **ჩუენ ახლად** გჳთარგმნია“*, B-ში კი – *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **არა ახლად** გჳთარგმნია“* (ანუ განსხვავებაა ერთ სიტყვაში ჩუენ]არა). ანდერძის ბოლო წინადადებაში – *„გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“*, A-ში B-სთან შედარებით მეტია ფრაზა:*„რომელმან ესე ვთარგმნე.“* თუ რომელი მათგანი გვიჩვენებს თავდაპირველ წაკითხვას, დღესაც სადავოა, არადა,

სწორედ ამ ადგილის წაკითხვა მოგვცემდა პასუხს ზემოთ უკვე დასმულ კითხვებზე, როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმიდელი თავის საქმიანობას და ახალ თარგმანად მიაჩნდა თავისი ხელიდან გამოსული ტექსტი თუ ძველი თარგმანის ახალ, გადამუშავებულ ვერსიად.

სახარების გიორგისეული რედაქციის უძველეს ნუსხაში (ქუთ.76 - კალიპოსის ოთხთავი) შემონახული ანდერძის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამ ანდერძის სადავო ადგილის წაკითხვაში B რედაქციას უჭერს მხარს, სადაც გიორგი თავის თავს არა მთარგმნელად, არამედ რედაქტორად მიიჩნევს, ვფიქრობთ, რომ სადავოც არაფერია. გიორგის სიცოცხლეში გადაწერილ ამ ხელნაწერში (ქუთ.76,310r) კარგად ჩანს, რომ ანდერძის ტექსტში ეს ადგილი გვიან არის ჩასწორებული, კერძოდ, წაშლილია სიტყვა *„არა“* და ზემოდან გადაწერილია სიტყვა *„ჩუენ“*. ასევე ამოფხეკილია სიტყვა*„არამედ“, რის შედეგადაც მიღებულია ასეთი წაკითხვა: „ესე წმიდაჲ ოთხთავი **ჩუენ ახლად** გჳთარგმნია“*, ნაცვლად პირვანდელი (ჩასწორებამდელი) ვარიანტისა, რომელიც ასე იკითხებოდა: *„ესე წმიდაჲ ოთხთავი **არა ახლად** გჳთარგმნია,**არამედ** ... ბერძულთა სახარებათადა შეგჳწამებია ფრიდითა გამოწულილვითა...“*. როგორც ჩანს, ანდერძის ტექსტი გადამწერებმა, ალბათ, გიორგის ღვაწლის უკეთ წარმოჩენისა და დაფასების მიზნით, შეცვალეს და გიორგის სახარების ახლად თარგმნა მიაწერეს. ამ პოზიციის გასამყარებლად ტექსტში დამატებით ერთი ფრაზის ჩართვაც გახდა საჭირო:*„რომელმან ესე ვთარგმნე“*. კალიპოსის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძში, რომელიც უშუალოდ მოსდევს გიორგის ზემოთ დასახელებულ ანდერძს (ქუთ.76,310r), კარგად ჩანს კიდევ ერთი ჩასწორების კვალი, რომელიც ადასტურებს, რომ ძველი ქართველი მწიგნობრები შეგნებულად ცდილობენ იმის ხაზგასმას, რომ სახარების ტექსტი გიორგი ათონელის თარგმნილია. *„ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, უღირსისა ბასილისთჳსცა, რომელმან წმიდაჲ ესე*

*ოთხთავი **მამისა** გიორგის **თარგმნილისა** სახარებისა**გან** გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია, ღმრთისათჳს სიტყუას ნუ შესცვალებთ {თჳნიერ საძიებელთა}“.*

ბასილი თორელყოფილის ანდერძში სიტყვა *„თარგმნილი“* გვიანდელი ინტერპოლაციაა, რადგან აშკარაა, რომ ის სხვა ფერის მელნითაა ჩაწერილი. საგულისხმოა, რომ იგივე ბასილი თორელყოფილი იმავე ხელნაწერზე დართულ სხვა ანდერძში სხვაგვარად მსჯელობს: *„...ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდისა ამის ოთხთავისა სახარებასა**განწმედილსა ახლად** და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა...“ (ქუთ.* 76, 352 v). საიდანაც ჩანს, რომ მისთვის გიორგი მთაწმიდლის სახარების ტექსტი ახლად განწმედილია და არა ახლად თარგმნილი.

გარდა ზემოთ მოყვანილი ანდერძისა, სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტის შემცველ მანუსკრიპტებში რამდენიმე სხვა კოლოფონიც გვხვდება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გიორგის მიერ ოთხთავის ტექსტზე მუშაობის პროცესისა და მისი რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის წარმოსადგენად. კერძოდ, XI საუკუნეში შავ მთაზე გადაწერილ რუისის ოთხთავს (A 845), რომელსაც შავი მთის ოთხთავის სახელითაც მოიხსენიებენ [აბულაძე,1949:312], ახლავს გადამწერის, შავ ზაქარიას, ანდერძი, რომელიც გვაუწყებს: *„... ნიკოლაოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთაწმიდელის სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა **მესამედ.** ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათჳს, ამენ“* (A 845, 305v). შავ ზაქარიას ცნობით, მას გიორგის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული, ბერძნულთან მესამეჯერ შედარებული, ოთხთავის ტექსტი გადაუწერია თვით გიორგის ავტოგრაფიდან გადანუსხული დედნიდან, ანუ გადაუნუსხავს სახარების ის ვერსია, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელდა და ვულგატად იქცა და რომელიც იყო *„უფროჲს მზისა ბრწყინვალე... რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და წაკლული და არცა მეტი...“* (ქუთ. 76, 352v). ალბათ გადმწერთა ამგვარმა დამოკიდებულებამაც შეუწყო გარკვეულწილად ხელი გიორგისეული ვერსიის პოპულარობას.

სახარების ათონური რედაქციის ჩამოყალიბების პროცესის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა შავ მთაზევე გადაწერილი კიდევ ერთი ხელნაწერის, კერძოდ, ალავერდის ოთხთავის ანდერძი [A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, 1986:210-217]. საზოგადოდ, ოთხთავის ეს ნუსხა მდიდარია მეტატექსტებით, რომელთა მეშვეობითაც დგინდება, რომ ის გადაწერილია 1054 წელს კალიპოსში, წმინდა ღვთისმშობლის ლავრაში (A 484: 311v, 314r). ხელნაწერი რამდენიმე პირს გადაუწერია [ქართულ..., 1986:212], კერძოდ, ანდერძში დასახელებული არიან სვიმეონი, გიორგი, მიქაელი და იოანე დვალი. ხელნაწერის მომგებელს და ერთ-ერთ გადამწერს, სვიმეონს, ვრცელი ანდერძი დაურთავს ოთხთავის ტექსტისათვის, რომელშიც ამ ხელნაწერის შექმნის მიზანი და გარემოებანი საინტერესოდ არის აღწერილი[ქართულ...,1986:212-213].

აღსანიშნავია, რომ ალავერდის ოთხთავს არ ახლავს გიორგი ათონელის ზემოთ მოყვანილი ცნობილი ანდერძი, სამაგიეროდ, ხელნაწერის დასაწყისში, ევსებიოსის წერილისა (1v-2v) და კამარებში ჩაწერილი კანონების (2v-9v) შემდეგ, 10r-ზე შემონახულია სახარების ტექსტის გადამწერის (სვიმეონის) ხელითვე შესრულებული გიორგი ათონელის სხვა ანდერძის ფრაგმენტი, რომელიც ამ გვერდის A სვეტში პირველივე სტრიქონიდან იწყება და თავნაკლულია: *„ ... სახარებათადა შემიწამებია ბერძულსა ორჯერ და ქართულსა და*

ყოვლითურთ უნაკლულოჲ რიცხჳთა და კანონითა და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთჳს, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისაჲ დაუშურერდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდვეთ. ღმერთმან გარწმუნოს"[A484,10r; ქართულ...,1986:212].იმავე გვერდის B სვეტში კი იწყება მათეს სახარების თავთა ჩამონათვალი. ეჭვგარეშეა, რომ ანდერძის ფრაგმენტი ხელნაწერის შექმნის დროსვეა გადაწერილი იმავე გადამწერის მიერ, რომელმაც სახარების ტექსტის ეს ნაწილი გადაწერა, ოღონდ მას დღეს აკლია ანდერძის დასაწყისი, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომელ სახარებებთან არის შეწამებული ტექსტი. მანუსკრიპტის მე-9 და მე-10 ფურცლებს შორის უნდა ყოფილიყო, სულ მცირე, კიდევ ერთი ფურცელი, რომელზედაც ამ ანდერძის დასაწყისი ეწერა.

ხელნაწერის ბოლოს 314v-ზე (ხელნაწერის ეს ნაწილი გადაწერილია იოანე დვალის მიერ) მეორდება თითქმის იმავე შინაარსის კოლოფონი, რომელიც ერთგვარად ავსებს ხარვეზს და ზემოთ წარმოდგენილი კოლოფონის ფრაგმენტის გაუგებარ ფრაზას - *„...სახარებათადა შემიწამებია“*- აზრს სძენს. იქ ანდერძი ასე იკითხება: *„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხჳნეთ წმიდას ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაჲ არს მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯერ და ქართულსა და ყოვლითურთ უნაკლულოჲ რიცხჳთა და კანონითა და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთჳს, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისაჲ დაუშურერდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდვეთ. ღმერთმან გარწმუნოს... “* [A484,314rv; ქართულ...,1986:212]. ამ კოლოფონის ტექსტი, რომელიც შემწირველის ანდერძს უძღვის წინ, გადამწერს საგანგებო ტექნიკური ნიშნით გამოუყვია მომდევნო ტექსტისაგან, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამოსაკვეთად, რომ ის ეკუთვნის არა შემწირველს (იოანე პროედროსს), არამედ სახარების ტექსტის რედაქტორს თუ მთარგმნელს (გიორგი ათონელს), რომელმაც ის, ალბათ, თავის ავტოგრაფულ ნუსხას დაურთო და შემდეგ ალავერდის ოთხთავშიც მოხვდა. ანდერძის ტექსტი სრულია, შინაარსობრივად ეს ტექსტი ხელნაწერის დასაწყისში წარმოდგენილი ფრაგმენტის (10r) იდენტურია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ I ფრაგმენტში (10r) ანდერძი I პირშია დაწერილი (*„შემიწამებია“, „დავწერენ“*), II ვარიანტში (314r) კი – III პირში(*„შეწამებულ არს“* ნაცვლად *„შემიწამებიასი“*, თუმცა, II ზმნა ისევ I პირშია _ *„დავწერენ“*). ეჭვგარეშეა, რომ ერთსა და იმავე ტექსტთან გვაქვს საქმე, ისიც უდავოა, რომ ანდერძი ხელნაწერის ორგანული ნაწილია და წიგნის დამზადების დროსვეა დაწერილი. შესაბამისად, ცნობა, რომელსაც ეს კოლოფონი გვაწვდის, ანგარიშგასაწევია, კერძოდ, ალავერდის ოთხთავში დაცული სახარების ტექსტი სანდო და უეჭველია, რადგან ის შედარებულ-შეჯერებულია სამი სანდო წყაროს მიხედვით. ესენია: ა) „მამისა ეფთჳმეს სახარება“[9]; ბ) „ქართული სახარება“[10] და გ) ბერძნული სახარება[11], რომელთანაც ამ კოლოფონის ავტორს ორჯერ მოუხდენია შედარება**.** ცხადია, ამგვარი შედარების შედეგად მიღებული ტექსტი განსხვავდება როგორც ძველი რედაქციების („ქართული სახარების“) ტექსტისაგან, ასევე ექვთიმე ათონელისეული სახარების ტექსტისაგან, რადგან ბერძნულთან ორჯერ შედარება-შეწამების შემდეგ მოსალოდნელია, რომ მას მნიშვნელოვანი ცვლილებები განეცადა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ალავერდის ოთხთავში (A 484) დაცულ ტექსტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ამ ხელნაწერის პირველი აღმწერელის, თედო ჟორდანიას, აზრით, ალავერდის ოთხთავი ექვთიმე ათონელის რედაქციის ტექსტს შეიცავს [ჟორდანია, 1902:48][12]. იმავე აზრისაა ილია აბულაძეც [აბულაძე, 1949:312], უფრო ფრთხილად გამოხატავს თავის პოზიციას ამ საკითხზე კორნელი კეკელიძე. მისი სიტყვებით, *„A 484 თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, 314-ე ფურცელზე გაკეთებული მინაწერი წმინდისა ექვთიმეს სახარებას მაინც ასახელებს“* [კეკელიძე,1980:317]. ივ. იმნაიშვილს წიგნში „ქართული ოთხთავის

ორი ბოლო რედაქცია“ აღნიშნული აქვს, რომ ალავერდის ოთხთავის ტექსტი გიორგი ათონელის რედაქციისა [იმნაიშვილი,1979:49], თუმცა ამის დამამტკიცებელი არგუმენტები არ მოჰყავს. განსხვავებული და, ვფიქრობთ, საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მიხეილ ქავთარიამ, რომელსაც ეკუთვნის ამ ხელნაწერის ბოლო ვრცელი აღწერილობა. მისი აზრით, *„ალავერდის ოთხთავი უნდა ასახავდეს გიორგი მთაწმიდელის ოთხთავზე მუშაობის I ეტაპს, როდესაც მას ექვთიმეს რედაქცია ორჯერ შეუდარებია ბერძნული დედნისთვის და ადრეული ქართული თარგმანისთვის“* [ქართულ..., 1986:212]. მიუხედავად იმისა, რომ მ. ქავთარიას მიერ გაკეთებული დასკვნები არ ეყრდნობა ტექსტოლოგიურ ანალიზს და ძირითადად ხელნაწერზე დართული ანდერძების მონაცემებს ეფუძნება, ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებულ მოსაზრებათაგან იგი ყველაზე ახლოს დგას იმ დასკვნებთან, რომლებიც ჩვენ ალავერდის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მივიღეთ [თვალთვაძე, 2008:12-20]. ჩვენი აზრით, 1054 წელს გადაწერილ ალავერდის ოთხთავში დაცული გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის ბოლო რედაქციაზე გიორგი ათონელის მუშაობის შუალედური ეტაპის ამსახველი ტექსტი, როცა ძველი ქართული თარგმანები მას ჯერ მხოლოდ ორჯერ აქვს შედარებული ბერძნულთან, რედაქტირების პროცესი ჯერ არაა დასრულებული, შესაბამისად, არც ვულგატის ტექსტია საბოლოო სახით ჩამოყალიბებული, რადგან მესამე და საბოლოო შედარება, რომლის შესახებაც საუბრობს რუისის ოთხთავის გადამწერი და რის შედეგადაც მივიღეთ ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული ტექსტი, ჯერ არ განხორციელებულა[13]. ამიტომაც არ ერთვის ალავერდის სახარებას გიორგი მთაწმინდლის ის ცნობილი ანდერძი, რომელიც მან მუშაობის დასრულების შემდეგ ბერძნულთან მესამედ შედარების შედეგად ჩამოყალიბებულ ტექსტს დაურთო და რომელიც ამ რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ახლავს.

როგორც ჩანს, ბერძნულ ტექსტთან ქართული თარგმანის უფრო მეტად დაახლოების სურვილმა განაპირობა ის, რომ გიორგი მთაწმინდელი კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა ოთხთავის ტექსტს და ორჯერ უკვე შედარებულ-შეწამებული და რედაქტირებული ტექსტი მესამედაც შეედარებინა ბერძნულთან. მისი მიზანია, ზუსტად გადმოიღოს დედნის ტექსტი. სიზუსტის დასაცავად მას ზოგჯერ უხდება ქართულ ტექსტში სიტყვათა დამატება ან დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შეცვლა, სიტყვათა რიგის შენაცვლება, ბერძნული და ქართული ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებაც და, ამის შესაბამისად, თარგმანის ენის დახვეწა-განახლება.

კალიპოსის ოთხთავს ერთვის ზემოთ განხილული კოლოფონებისაგან ფუნქციურად და შინაარსობლივად განსხვავებული კიდევ ერთი ტექსტი, რომელშიც სახარების როგორც „წიგნთა წიგნის“ მნიშვნელობაა განმარტებული [ქუთ.76:350v-353r; სილოგავა,1989;153-165; თვალთვაძე, 2010]. ეს ტექსტი ფაქტობრივად წარმოადგენს ჰომილიას ამ თემაზე და ფრიად საყურადღებოა მხატვრული თვალსაზრისითაც. მაგრამ საინტერესოა, რომ ამგვარი ტექსტი, რომელიც „ცათა და ქუყანისა უზეშთაესი წიგნის“ მომგებელთა, მწერალთა და მკითხველთათვისაა დაწერილი[14] და რომელშიც სახარების, როგორც წიგნთა წიგნის, მნიშვნელობაზეა საუბარი (პირობითად „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“), კალიპოსის ოთხთავის გარდა, ოთხთავის მრავალრიცხოვან ხელნაწერთაგან მხოლოდ შავი მთის ოთხთავებში აღმოვაჩინეთ[15], რაც გვაფიქრებინებს, რომ „შესხმაჲ“–ის ტექსტი შავი მთის მწიგნობრულ სკოლაშია შექმნილი და იქ მოღვაწე გადამწერებს საჭიროდ მიაჩნდათ მისი დართვა სახარების ნუსხებისთვის. ჩვენი აზრით, ამ ტექსტის ავტორი შეიძლება კალიპოსის ოთხთავის გადამწერი, ბასილი თორელყოფილი, იყოს [თვალთვძე, 2010].

ის ფაქტი, რომ „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“ არ ახლავს 1054 წლით დათარიღებულ შავ მთაზე გადაწერილ

სახარების ორ ნუსხას – S 962–ს და A 484, რომელთაგან ერთი (S 962) წინაათონური რედაქციის ტექსტის შემცველი მანუსკრიპტია, ხოლო მეორე - ალავერდის ოთხთავი, რომელშიც ათონური რედაქციის ჩამოყალიბებაზე მუშაობის პროცესის ამსახველი შუალედური ტექსტია შენახული, გვაფიქრებინებს, რომ ის 1054 წლის შემდეგ დაიწერა და დაიწერა საგანგებოდ გიორგი ათონელის მიერ რედაქტირებული ოთხთავის საბოლოო ვერსიისათვის.

ვფიქრობთ, საინტერესოა მე–11 საუკუნის ქართული ოთხთავების ხელნაწერთა კოლოფონებში მოცემული ცნობების შედარება გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის, გიორგი მცირის, მიერ გადმოცემულ ფაქტებთან. გიორგი მცირე, რომელიც გიორგი მთაწმინდელის (resp.ათონელის) მოწაფე იყო, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“ [გიორგი მცირე, 1967: 101-207] მოგვითხრობს თავისი მოძღვრის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ გიორგიმ მოღვაწეობა შავ მთაზე დაიწყო ცნობილი შავმთელი მამისა და მწიგნობრის, გიორგი შეყენებულის, ხელმძღვანელობით, შემდეგ ის გაემგზავრა ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში (ივირონში) და მოგვიანებით მისი წინამძღოლიც გახდა (1044–56 წწ.). მთარგმნელობით საქმიანობას გიორგი მთაწმინდელი თავისი მოძღვრის, გიორგი შეყენებულის, დაჟინებული თხოვნით 1042 წლიდან იწყებს. ბიოგრაფის ცნობით, ამ დროს მან ბერძნულიდან თარგმნა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი: პარაკლიტონი, დიდი კურთხევანი, სახარება გამოკრებილი//საწელიწდო სახარება, საწელიწდო საწინაწარმეტყველო, პავლე საწელიწდო, პავლე სრული და კათოლიკე ეპისტოლენი, თარგმანება დაბადებისაჲ, თთუენი (სექტემბრის თვის). დაწერა „იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრება“. გიორგი მცირისვე ცნობით, ივირონის წინამძღოლობის დროს (1044–56 წწ.) მან მხოლოდ ერთხელ, 1054 წელს, დატოვა ათონის მთა და თითქმის ერთი წლით გაემგზავრა შავ მთაზე, სადაც ამ დროსთვის უკვე ჩამოყალიბებულია მწიგნობრული კერა (სვიმეონწმინდა, კასტანა, კალიპოსი, რომანწმინდა, თუალთა და სხვ.). ბიოგრაფის ცნობით, ამავე პერიოდში ბაგრატ მეფის დედის, დედოფალ მარიამის, თხოვნით, გიორგიმ მოილოცა იერუსალიმი და *„დაღაცათუ შეწუხდა, არამედ ნებასა ღმრთისასა ვერ წინაღუდგა... დაღაცათუ შეუძნდა საქმე ესე, ვინაჲთგან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწეოდა“*.იერუსალიმიდან კი *„**შავსა მთასა მოიწია“*** და *„მოიცალა ყოველთა ამათ შფოთთა და საურავისაგან და **ყოვლისა ზრუნვისაგან თავისუფალმან იწყო თარგმანებად წმიდათა წიგნთა,** ვითარცა სულიწმიდა მისცემდა. და ეგევითარი თარგმანი ... სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა, და ვფგონებ თუ, არცა გამოჩინებად არს... თარგმანთა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და წმიდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თჳსთა ოქროჲთა განამდიდრნა უხუად და გარდარეულად“*[გიორგი მცირე, 1967: 145].

გიორგი მცირე აფასებს რა გიორგის ღვაწლს, საუბრობს მის დიდ დამსახურებაზე წიგნთა თარგმნის საქმეში, გამოყოფს გიორგის მიერ ამ კუთხით შესრულებულ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს. მისი ცნობით: ა) გიორგიმ პირველმა თარგმნა ბერძნულიდან ბევრი თხზულება; ბ) ადრე თარგმნილი *და წუთ ვერკეთილად გადმოღებულნი, ჟამთა სიგრძისაგან დაგესლილნი ბრძედსა მას შინა გამოახუნა* გ) *წიგნნი ეფთვიმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმნილნი განასრულნა და განავრცელნა;* დ) *კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განაშუენა და განაბრწყინნა, ვითარცა თვით თავადი სახარებაჲ და პავლე “* [გიორგი მცირე, 1967:146]. ე. ი. გიორგი მცირისთვის გიორგი ათონელის მიერ სახარების ტექსტზე მუშაობა არის არა ტექსტის ხელახლა თარგმნა, არამედ სახარების ბეძნულთან შეწამება და ყოველი ნაკლულევანებისაგან მისი განწმედა**.** საგულისხმოა ის ფაქტიც, ბიოგრაფის ცნობით, გიორგი შავ მთაზე, კერძოდ, სვიმეონწმიდის ან კალიპოსის მონასტრებშიც მუშაობდა.*„საყოფელად არნ*

ოდესმე სვიმეონწმიდას და ოდესმე კალიპოსს“ [გიორგი მცირე, 1967:148].

ბიოგრაფი გვაუწყებს კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ შავ მთაზე დაწყებულა სახარების გიორგისეული ტექსტის გავრცელება–გამრავლებაც: *„ხოლო ვითარცა ცნა ღმრთისმსახურმან მეფემან ბაგრატ, ვითარმედსრულქმნა თარგმანება წიგნთა საღმრთოთა და **მოირწყეს ეკლესიანი შავისა მთისანი** წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროჲს ყოველთა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ–ყოფილმან და თავისა მონასტრისა გარლაამ წმიდისათვის დააწერინა...“* [გიორგი მცირე,1967:155]. ამგვარ ვითარებაში გასაკვირი არ არის, რატომ მოიპოვა ასე ფართო გავრცელება გიორგი ათონელის მიერ სახარების ძველი ქართული თარგმანების ბერძნულთან რამდენიმეგზის შედარების შედეგად ჩამოყალიბებულმა ვერსიამ, რომელიც ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაშიც დამკვიდრდა და ვულგატად იქცა. არსებითად, ეს არის ქართული ოთხთავის ბოლო რედაქცია[16], სწორედ ის არის წარმოდგენილი XI საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო ეპოქის მანუსკრიპტთა უმეტესობაში.

გიორგი მცირის ცნობებისა და ოთხთავის ხელნაწერებზე დართული კოლოფონების ანალიზისა და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად, ვფიქრობთ, კარგად იკვეთება შავი მთის ქართული სავანის განსაკუთებული მნიშვნელობა ქართული ოთხთავის საბოლოო, ათონური, რედაქციის ჩამოყალიბებისა და მისი გავრცელების საქმეში. სწორედ აქ, სწორედ მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში, გიორგი მთაწმიდელის შავ მთაზე მოღვაწობის დროს, იწყება ელონოფილური ტენდენციების გამოვლენა და ძალიან მალე ხდება მის მწყობრ კონცეფციად ჩამოყალიბებაც: *„ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“ (ეფრემ მცირე);* იწყება ძველი თარგმანების რევიზია და მათი*„ბერძულისადა მიყვანა“, „რაჲთა არა გუაყვედრიდეს ბერძენნი“ (ეფრემ მცირე).* ვფიქრობთ, რომ ეს ელინოფილიზმი, უპირველესად, სწორედ ქრისტიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების ბერძნულთან შედარება-შეწამების გზით ახალი რედაქციების ჩამოყალიბებით გამოიხატა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ქრისტიანულ სამყაროში „წიგნთა წიგნად“ მიჩნეული წიგნის – „სახარება-ოთხთავის“– გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია.

ქუთ.76, 310r. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი



1 ოპიზური რედაქციის ტექსტი (ე.წ. პროტოვულგატა) დაცულია შემდეგ ხელნაწერებაში: ხანმეტი ოთხთავი

(VII ს; მათ.11,8-დან ბოლომდე); ცენტრარქივის ოთხთავი - ე. წ. „ანბანდიდი“ (IX ს.); ოპიზის ოთხთავი (913 წ.); ჯრუჭის ოთხთავი; პარხლის ოთხთავი (973 წ.); ბერთის ოთხთავი (988წ.); წყაროსთავის ოთხთავი (X ს.); მარტვილის ოთხთავი (X ს.); ტბეთის ოთხთავი (995 წ.); ქსნის ოთხთავი (X ს.); სინ.-15 (978 წ.); სინ.30, სინ-38 (979 წ.); სინ.-16 (X ს.); ქუთ.-176 (X ს.);**S** 405 (X ს.); A-1699, H-1887 (X ს.); პარხლის ახალი ოთხთავი S 4927 (X ს.); H-1240 (XI ს.); ურბნისის ოთხთავი (XI ს.); მესტიის ოთხთავი (1033 წ.); პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); S-962 (XI ს.); ქუთ. 363 (1013 წ.); ქუთ. 688 (1054 წ.) და სხვ.

2 დაცულია ადიშის ოთხთავში (ლუკ. 3,9-15,7 და 17,25 -23,2-ის გამოკლებით), ხანმეტ სახარებაში (მათ. 11,8-მდე), H 1240-ში (მარკ. XIV-XVთავები) და ქსნის ოთხთავის ზოგიერთ მონაკვეთში. ასევე, XI საუკუნემდე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ოპიზური და ადიშური რედაქციების შერევით მიღებული ეკლექტური რედაქციაც, რომელიც ქსნის ოთხთავსა და რამდენიმე სხვა ხელნაწერშია დაცული.

3 როგორც ვანის სახრების ანდერძი გვაუწყებს, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე იგი ივერიის მონასტრის დიდ წიგნსაცავში ინახებოდა (A 1335, 266v).

4 ათონური რედაქციის ტექსტის შემცველი ძირითადი ხელნაწერებია: ქუთ. 76 (კალიპოსის ოთხთავი) 1060 წ. Sin.O.19, 1074 წ; Sin. N.12, 1075 წ; Vat.Iber.1 (ვატიკანის ოთხთავი) XI ს; A 845 (რუისის ოთხთავი), XI ს.; Jer. 9, XI ს.; Ath. 62 (ოშკის სახარება) XI ს.; A1335 (ვანის ოთხთავი), XII-XIII სს; ეჩმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს; Q 908 (გელათის ოთხთავი), XII-XIII სს; Jer.49 , XI ს; Jer.153, XII ს.; Jer. 93, XII ს.; Jer.103, XIII ს.; ქუთ.74 XII- XIII ს.ს; Jer.102, XII-XIV სს; Jer.122, XIII-XIV; ქუთ. 5 XII- XIII სს.; ქუთ. 182 XII- XIII სს.; H 1791 (1213-1216 წწ.); ქუთ.145 XIII- XIV სს. და სხვ.

5 გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტის შემცველ ხელნაწერთაგან უძველესი ნუსხაა 1060 წლით დათარიღებული კალიპოსის ოთხთავი (ქუთ. 76.); ასევე თარიღიანი ნუსხებია სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ორი მანუსკრიპტი: ძველი კოლექციის N 19 (Sin.O.19, 1074 წ.) და ახალი კოლექციის N 12 (Sin.N.12, 1075 წ.); XI საუკუნით თარიღდება ასევე იერუსალიმში დაცული ოთხთავის ერთი ხელნაწერი (Jer.-49) და ათონური კოლექციის ხელნაწერი N 62 (Ath. 62). გიორგისეული რედაქციის ე.წ. შუალედური ვერსიის ტექსტს შეიცავს 1054 წელს გადაწერილი ალავერდის ოთხთავი (A 484) და ოშკის სახარების (Ath. 62) თავდაპირველი(გასწორებამდელი) ტექსტი [კვირკველია, 2011].

6 აღსანიშნავია, რომ შავ მთაზე გადაწერილ და დღემდე შემორჩენილ ნუსხებში ფაქტობრივად დაცული გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებამდე გავლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტი: S 962 (1054 წ., წინაათონური); ალავერდის ოთხთავი (1054 წ., შუალედური); კალიპოსის ოთხთავი (1060 წ., ათონური); ვატიკანის ოთხთავი (XI ს., ათონური); რუისის //შავი მთის ოთხთავი (XI ს., ათონური); H 1791 (1213-1216 წ.წ., ათონური).

7ქუთ.76 ხელნაწერში დაცული სახარების ტექსტი 2008 წელს გამოსცა ც.მუმლაძემ, თუმცა გამოცემას არ ახლავს ოთხთავის ტექსტზე დართული ანდერძები და სხვა მეტატექსტები.

8 ანდერძის ტექსტი მოგვყავს უძველესი ნუსხის (ქუთ.76) მიხედვით.

9 სხვა საკითხია, რას გულისხმობს გიორგი ათონელი ექვთიმეს სახარებაში. შეიძლება იგულისხმებოდეს ექვთიმეს მიერ თარგმნილი სახარების სვინაქსარული საკითხავები ან მის მიერვე თარგმნილ მათეს და

იოანეს თავის განმატებებში წარმოდგენილი სახარების ტექსტის თარგმანი.

10 იგულისხმება ძველი, ალბათ, ხანმეტური და საბაწმინდური რედაქციები, ე. წ. პროტოვულგატა.

11 სავარაუდოდ, იმ დროს ბიზანტიაში მიღებული და გარცელებული რედაქციის ტექსტი.

12

13 ალავერდის ოთხთავის ტექსტის შედარება, ერთი მხრივ, წინარეათონური რედაქციის ძველ ხელნაწერებთან და, მეორე მხრივ, გიორგის რედაქციის შემცველ ნუსხებთან გვიჩვენებს, რომ ალავერდის ოთხთავის ტექსტი განსხვავდება ძველი წინაათონური (ე.წ. პროტოვულგატის) რედაქციის ტექსტისაგან. მისი წინაათონური რედაქციისგან განსხვავებული წაკითხვები ხშირად ასახულია გიორგისეული რედაქციის შემცველ ხელნაწერებში, ანუ გიორგიმ გაასწორა ძველი თარგმანის ტექსტი და ეს ცვლილებები I ეტაპზევე განახორციელა. ამიტომაც მოხვდნენ ისინი ალავერდის ოთხთავსა და ვულგატის ტექსტშიც. მეორე მხრივ, გვაქვს შემთხვევები, როცა ალავერდის ოთხთავის წაკითხვა სხვაობს გიორგის მიერ საბოლოოდ შემუშავებული რედაქციის წაკითხვისაგან და ძველი რედაქციების წაკითხვას თანხვდება, ანუ გიორგის ეს ადგილები რედაქტირების I ეტაპზე არ შეუცვლია, ცვლილება მხოლოდ ბერძნულთან მესამედ შედარების შემდეგ იქნა შეტანილი.

14 მეტად საინტერესო ტექსტი ერთვის ალავერდის ოთხთავსაც, ეს არის მომგებლის ანდერძი, რომელშიც ასევე სახარების მნიშვნელობაზეა საუბარი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია: 212-213)

15 ეს ტექსტის ნაკლული სახით ერთვის შავ მთაზე გადაწერილი ოთხთავებს: ვატიკანის ოთხათავს (Vat.Iberico1, გვ.574:567), H1791–ს (1213–1216წწ.). მისი შემოკლებული ვერსია დართული აქვს XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ქვათახევის ოთხთავსაც (A357).

16 მართალია, სახარების თარგმნისა და რედაქტირების ცდებს ჩვენში გიორგი ათონელის შემდეგაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს გამოწვეული იყო უფრო ეგზეგეტიკური ინტერესებით, ვიდრე ბიბლიოლოგიური მოსაზრებით.

ლიტერატურა

აბულაძე ი. ქართული წერის ნიმუშები: პალეოგრაფიული ალბომი . - თბილისი,1949

ადიშის ოთხთავი / ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ დ სოფიო სარჯველაძემ; ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით. - თბილისი, 2003

გიორგი მცირე. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: წიგნი 2: (XI-XV სს.) / ილია აბულაძის რედაქციით. - თბილისი, 1967

თვალთვაძე დ. რომელი რედაქციის ტექსტს შეიცავს ალავერდის ოთხთავი? // „რელიგია“, N1. 2008

თვალთვაძე დ. ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან: საქართველო და ევროპული სამყარო – ფილოსოფიურ–კულტურული დიალოგი, ტ. I. - თბილისი, 2009

თვალთვაძე დ. დოქსოლოგიური ხასიათის ერთი თხზულება შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის ხელნაწერებში: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე–4 სამეცნიერო კონფერენცია. - თბილისი, 2010

იმნაიშვილი ი.ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია / ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. - თბილისი,1979

კეკელიძე კ.ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, t. I. - თბილისი,1980

კვირკველია ე. სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი მათეს სახარების მაგალითზე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, სპეკალი, N3. - თბილისი,2011
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/27

მაჩხანელი მ. ანბანდიდი: სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა. - თბილისი, 2010

მუმლაძე ც.ქუთაისის მუზეუმის N76 ხელნაწერი წიგნის დათარიღებისათვის: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, კრებული XV. - ქუთაისი, 2006

მუმლაძე ც. ოთხთავი 1060 წლის / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციცინო მუმლაძემ. - თბილისი, 2008

პაპუაშვილი ნ. ახალი აღქმა და მისი ქართული თარგმანი. - თბილისი,2007

სარჯველაძე ზ. წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები // თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29. - თბილისი, 2002

სილოგავა ვ. XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელყოფილი და მისის ანდერძი: „მრავალთავი“ XV. - თბილისი, 1989

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A)კოლექციისა, ტომი 3 / ელენე მეტრეველის რედაქციით. - თბილისი, 1986

ქაჯაია ლ. ხანმეტი ტექსტები / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი დაურთო ლამარა ქაჯაიამ. - თბილისი, 1984

შანიძე ა.ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ.წ.) / გამოსცა ა. შანიძემ. - თბილისი, 1945

შანიძე ა. ლიტერატურული ცნობა ახლადაღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე

საუკუნის მწერლობაში, თხზულებანი, ტ. 2. - თბილისი, 1981

Tvaltvadze, D. The Manuscripts of Georgian Translations of the Four Gospels From the Black Mountain: Novum Testamentum. Supplements to Novum Testamentum. Volume 1042; Textual Research on the psalms and Gospeles: Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts, Edited by Christian-B. Amphoux & J. Keith Elliott with Bernard Outtier, Brill, Leiden. Boston, 2012

Жордания, Т. Описание рукорисей и старопечатных книг Церковного Музея, II. - Тифлис, 1902

ირაკლი ანჩაბაძე

ცულები ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების იბერია-კოლხეთში

შეტევითი შეიარაღების სახეობას განეკუთვნება ცული, რომელიც გამოიყენებოდა შეტევითი ხელჩართული ბრძოლისას. ხის ტარზე დაგებული ლითონის ეს იარაღი გამოიყენებოდა სამეურნეო დანიშნულებითაც, ამიტომ ხშირად რთულია საბრძოლო და სამეურნეო ცულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. არქეოლოგიური მონაცემებით, შეიძლება ითქვას, რომ შუბის შემდეგ ცული იყო ყველაზე მასიური საბრძოლო იარაღი ანტიკური პერიოდის იბერია-კოლხეთში.

ამიერკავკასიაში რკინის ცულები ჩნდება დაახლოებით ძვ.წ VIII ს-დან. თავდაპირველად ისინი თანაარსებობენ კოლხურ-ყობანური ტიპის ბრინჯაოს ცულებთან და მათ ფორმას იმეორებენ. როგორც ჩანს, მათ ამ დროს ძირითადად საომარი დანიშნულება ჰქონდათ, თუმცა, ასევე შესაძლებელია მათ საკულტო ფუნქციაც გააჩნდათ, რაზეც მეტყველებს სამარხებში არაერთი მინიატურული ცულის აღმოჩენა. როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის ცულები, როგორც წესი, სამარხებში გვხვდება სხვა იარაღებთან კომპლექსში (ყველაზე ხშირად შუბისპირებთან ერთად). მნიშვნელოვნად იზრდება რკინის ცულების რაოდენობა ძვ.წ VII-VI სს-ის ძეგლებზე, ხოლო ძვ.წ VI ს-დან მხოლოდ რკინის ნიმუშები გვხვდება [Есаян.., 1985: 79]. ამ დროს ბრინჯაოს ცულებთან მსგავსება ირღვევა და რკინის ცულები თავისებური ფორმებით ყალიბდება.

ცულების კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ცულის ნაწილების მოყვანილობა, განივკვეთი და პროპორციები. მაგალითად, ცულის პირი შეიძლება იყოს ასიმეტრიული, რაც ნიშნავს იმას, რომ სატარიდან პირი არათანაბრად ფართოვდება. ცულის პირი სიმეტრიულია, როცა ის სატარიდან თანაბრად ფართოვდება ორივე მხარეს. ცულის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა საერთო სიგრძესა და პირის უდიდეს სიგანეს შორის, რის მიხედვითაც ვიღებთ ფართოპირიან ნიმუშებს, როცა პირის სიგანე უახლოვდება ან უტოლდება ცულის საერთო სიმაღლეს და ვიწროპირიან ნიმუშებს, რომელთა პირის სიგანე საერთო სიგრძეზე ნაკლებია ორჯერ ან მეტჯერ [გამყრელიძე..., 2005:129].

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმებით ანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების იბერია-კოლხეთში გავრცელებული რკინის ცულებიდან სამი ძირითადი ტიპის გამოყოფა შეიძლება: ყუაკვერიანი ცული, ცულ-წერაქვი და ე.წ წებელდური ტიპის ცული. აქედან პირველი ორი ტიპი გავრცელებული იყო როგორც ადრეანტიკურ, ისე გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების იბერია-კოლხეთში, ხოლო მესამე ტიპი, ე.წ „წებელდური ცული“, მხოლოდ გვიანანტიკური ხანის ბოლო ეტაპისა და ადრეშუასაუკუნეების პროდუქტია (ახ.წ IV-VII სს.).

I-ყუაკვერიანი ცული. ყუაკვერიანი ცულების სხვადასხვა ქვეტიპები გამოირჩევა:

1) პირველი ქვეტიპი ხასიათდება ვიწრო, წაგრძელებული კონტურით. სატარე ხვრელი ცულის შუა ნაწილზეა. მათთვის დამახასიათებელია მაღალი, ოთკუთხა ან მრგვალგანივკვეთიანი ყუა და ვიწრო პირი (საშუალო სიმაღლე - 21 სმ., პირის სიგანე 3-4 სმ.) [სურ.1 1,2]. ასეთი ცულები ამიერკავკასიაში ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება და რკინის ცულების ყველაზე ადრეულ

ფორმას წარმოადგენს [კვირკველია, 1982: 25]. აღმოჩენის ადგილებია - წითელი შუქურას სამაროვნის №11 სამარხი, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Трапш, 1969: 78-162], ერგეტა I-ის №6 სამარხი, ერგეტა II-ის №1 სამარხი, ერგეტა III-ის №4 სამარხი და ერგეტა IV–ის №4 სამარხი [ძიძიგური, 2002A: 4]. მსგავსი ფორმის ცულები აღმოჩენილია ცენტრალურ ამიერკავკასიაშიც - თლის სამაროვნის ძვ.წ. VII-V სს-ის რამდენიმე სამარხში და ნაცარგორას სამაროვნის ძვ.წ. VII-VI სს ის №311 სამარხში [Техов, 1980: 57-64].

2) მეორე ქვეტიპი პირველთან შედარებით გამოირჩევა უფრო ფართო პირითა და დაბალი ყუით [სურ.1 3-9]. ზოგიერთს გამოკვეთილი, მომრგვალებული და ზემოდან დაბრტყელებული ჩაქუჩისებური ყუა აქვს [სურ.1 7,8,9], სხვებს კი სწორი, მართკუთხა ყუა [სურ.1 3,4,5,6] (პირის სიმაღლე მერყეობს 12-18 სმ-ს შორის. პირის საშუალო სიგანეა 6-8 სმ). აღნიშნული ცულჩაქუჩები უფრო ადრეულ ძეგლებზე გვხვდება და მათ პროტოტიპებად კოლხური და ყობანური ცულები მიიჩნევა [Мелюкова, 1964:67,68], კერძოდ კი, პ. უვაროვას კლასიფიკაციით, კოლხური ცულების B ტიპი, ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით II ტიპი [Джапаридзе, 1953:285], ხოლო დ. ქორიძის ნაშრომის მიხედვით, კოლხური ცულების IV სახეობა, რომლებიც ძვ.წ. XI-VIII სს–ში იყო გავრცელებული [ქორიძე, 1965:68–74]. ისინი აღმოჩენილია ერგეტასა და დღვაბის ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხებში [პაპუაშვილი, 1998:40-50], 7 ეგზემპლარი - ყულანურხვის ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ სამარხებში [Трапш, 1951:23], 3 ცალი - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებულ ურეკის სამაროვანზე [მიქელაძე, 1985:33-34]. 15 ანალოგიური ცული აღმოჩნდა ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. VI ს-ის ბრილის სამაროვანზე [გობეჯიშვილი, 1952:50-52] და მუხურჩის ანალოგიური პერიოდის სამაროვანზე [Гогадзе, 1984: 28-55]. 3 ეგზემპლარი იყო პალურის ძვ.წ. VII-V სს-ის სამარხებში [ბარამიძე, 1998: 150-155], ფიჩორის ძვ.წ. VII-VI სს-ის სამაროვანზე [ბარამიძე, 1998: 28-30], დღვაბის სამაროვნის ძვ.წ. VI ს-ის ერთ-ერთ სამარხში [Микеладзе, 1995: 39-43] და საირხეში, საბადურის გორის ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენაში [მახარაძე, 1991:11-12]. ისინი გვხვდება ზემო სვანეთშიც [ჩართოლანი, 1996:357]. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ნანახია თლის ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხებში [Техов, 1980:57-64], ნარეკვავის ძვ.წ. VII-VI სს-ის სამაროვანზე [ოქროპირიძე, 1984: 212, ტაბ.X3], 5 ეგზემპლარი სამთავროს ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხებში [აბრამიშვილი, 1957:115-140] და ერთი ცალი ძვ.წ. VII ს-ით დათარიღებულ მცხეთიჯვრის „მეომრის სამარხში“ [დავითაშვილი, 1998:106-107]. ისინი დაფიქსირებულია ჩრდილოეთ კავკასიაშიც: გელენჯიკა [Аханов, 1961: 143-145], დერგავისი, კორტა [Уварова, 1900:180], ზემო რუთხა [Погребова, 1969:179-188], ჩმი, გოლიატი [Уварова,1900:117,285-292]. ასეთი ფორმის ცულები დამოწმებულია ირანშიც და სომხეთშიც, მაგალითად, თოფრახ-ქალეს ძვ.წ. VII ს-ის ნამოსახლარზე [Пиотровский, 1939:162-163].

ცულჩაქუჩები გამოიყენებოდა ასევე მთელ კლასიკურ (ძვ.წ. VI-IV სს.) და ელინისტურ (ძვ.წ. IV-I სს.) პერიოდში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი აღმოჩნდა დაფნარის ძვ.წ. IV ს-ის სამარხში [Кигурадзе, 1976: 61. ტაბ.V3], დაბლაგომში [Куфтин, 1950:36], ძევრულჰესის ელინისტური ეპოქის სამაროვანზე [Куфтин, 1950:198], ოთხი ცალი ნიგვზიანის ძვ.წ. VI ს-ის კომპლექსებში [ბარამიძე, 1977:41-43] და ქუთაისში [დავლიანიძე, 1983:52].

აფხაზეთში ისინი აღმოჩენილია გუადიხუს ე.წ „უფროსი ჯგუფის“ VI-IV სს-ის სამარხებში [Трапш, 1969:76-78], წითელი შუქურის სამაროვნის უფროსი ჯგუფის ორ სამარხში [Трапш, 1969:183], ქ. სოჭის მიდამოებში [Воронов, 1979:69], სოხუმის მთის V-II სს-ის სამარხებში [კალანდაძე, 1954:12-23], 4 ცალი ეშერის ნაქალაქარის III-II ს-ის ფენაში [Шамба, 1980:47,48] და 3 ეგზემპლარი მერხეულის ძვ.წ VI ს-ის სამარხებში [ბარამიძე, 1977:39]. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი იყო ბეშთაშენის [Куфтин, 1949:224-232], ნაცარგორისა და ბაზალეთის V-III სს-ის სამარხებში [Рамишвили, 2003: 97,98], ორი ცალი აბულმუგის VI-IV სს-ის სამარხებში [ხოხობაშვილი..., 2008:118-121], ასევე მანგლისში, გომარეთში, ასურეთში, სანთაში [დავლიანიძე, 1983: 50,139] და ეცოს სამაროვანზე [შატბერაშვილი 2003: 121].

ზემოთ აღწერილი ყუაკვერიანი ცულების ორივე ვარიანტი (პირველი და მეორე ქვეტიპი) დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სკვითურ ნიმუშებთან, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ხშირად „სკვითურ ცულებად“ მოიხსენიებიან და, შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, რომ ისინი კავკასიაში სკვითებმა შემოიტანეს [Мартиросян, 1964:290]. თუმცა, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, პირიქით, სკვითებმა აითვისეს ის ამიერკავკასიაში. ძვ.წ. VIII-VII სს-ში დასავლეთ ამიერკავკასიაში, კოლხურ-ყობანური ტიპის ბრინჯაოს ცულების საფუძველზე, მიმდინარეობს რკინის ყუაკვერიანი ცულების ფორმირების პროცესი. ძვ.წ. VII-VI სს-ში ისინი ფართოდ ვრცელდებიან ცენტრალურ ამიერკავკასიაშიც. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს წინა აზიიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოგზაურობის დროს გაეცვნენ სკვითები აღნიშნულ იარაღს და აითვისეს იგი[Есаян..., 1985:86]. ძვ.წ. VI-V სს-ში რკინის ყუაკვერიანი ცულები ცენტრალური ამიერკავკასიიდან ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში [Виноградов, 1972: 250,251].

3) მესამე ქვეტიპში მოიაზრება კოლხეთში ძვ.წ IV-II სს-ში გავრცელებული ე.წ „სეკირისებური“ (ნახევარმთვარისებური) პირის მქონე ყუაკვერიანი ცულები (სიმაღლე მერყეობს 11-17 სმ-ს შორის. პირის სიგანე 8-12 სმ.) [სურ.1 10-24]. ისინი გამოირჩევა საკმაოდ განიერი სიმეტრიული ან ასიმეტრიული პირით, რომელიც ზოგჯერ ცულის საერთო სიმაღლეს უტოლდება. ასეთი 1 ცალი ცული აღმოჩნდა ვანში, ახვლედიანების გორაზე, II საძიებო თხრილის ელინისტური ხანის ფენაში [ლორთქიფანიძე, 1976: 182], 7 ეგზემპლარი იყო სოხუმის მთის V-II სს-ის რამდენიმე სამარხში [კალანდაძე, 1954:27-35], 6 ცალი გუადიხუს უმცროსი ჯგუფის სამარხებში [Трапш, 1969: 242,247,260] და 3 ანალოგიური ცული ეშერის ნაქალაქარის III-II სს-ის ფენებში [Шамба, 1980:48]. ასეთივეა მდ. ბესლეთის ნაპირზე და ბომბორაზე შემთხვევით აღმოჩენილი რკინის ცულები [Воронов, 1969:53]. ანალოგიური ცული შემთხვევით არის ნაპოვნი ქ. სოჭის მახლობლად [Воронов, 1979:70]. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ტიპის ცული ყანჩაეთის სამარხშია აღმოჩენილი [გაგოშიძე, 1964: 52]. შეიძლება ითქვას, რომ ყუაკვერიანი ცულების აღნიშნული ვარიანტი ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნაზე ჩნდება და ძვ.წ. III-II სს-ის ჩათვლით არსებობს. ისინი ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება (აფხაზეთში). საქართველოს გარეთ ჯერჯერობით არ არის დაფიქსირებული, თუმცა მათი გამოსახულებები გვხვდება სკვითურ არტეფაქტებზე, რომლებიც დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

4) მეოთხე ქვეტიპში გამოყოფილია პირწამახული ყუაკვერიანი ცულები, რომლებიც ნაპოვნია ბრილში, სამთავროში [Есаян..., 1985:86], ნაცარგორის ძვ.წ V-III სს-ის სამარხებში და სომხეთის

ტერიტორიაზე (მუსიერი ძვ.წ. VII-VIII). ისინი უფრო გავრცელებულია კავკასიის გარეთ, სკვითურ კომპლექსებში და შესაბამისად, სავარაუდებელია მათი სკვითური წარმოშობა.

5) მეხუთე ქვეტიპში შეყვანილია ბრტყელყუიანი, წელში ოდნავ მოხრილი და პირისკენ ოდნავ გაფართოებული ცულები. ასეთი ცულია ნაპოვნი სარკინის ნაქალაქარის ძვ.წ. II ს-ის ფენაში [ძიძიგური 2002: 177,178].

იბერია-კოლხეთის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე კვლავ გვხვდება ყუაკვერიანი ცულები, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას ზემოთ აღწერილ ადრეანტიკური ხანის ყუაკვერიანი ცულების მეორე ქვეტიპთან. მათთვის დამახასიათებელია მრგვალგანივკვეთიანი ან ოთხკუთხაგანივკვეთიანი დაბალი ყუა, ოვალური სატარე ხვრელი და ასიმეტრიული ვიწრო პირი [სურ.5]. ისინი, ზოგადად, ახ.წ II-VI სს–ით თარიღდება. სულ საქართველოში დაფიქსირდა ახ.წ II-VI სს-ით დათარიღებული 39 ცალი ყუაკვერიანი ცული [სურ.8], აქედან 29 აფხაზეთშია ნაპოვნი. აფხაზეთის გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების არქეოლოგიური კულტურა, კერძოდ ე.წ „წებელდური კულტურა“, გამოირჩევა ცულების სიმრავლით. მის სხვადასხვა კომპლექსში გამოვლენილია, დაახლოებით, 200-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ცული (მათი დიდი უმრავლესობა განეკუთვნება ე.წ „წებელდური ტიპის“ ცულებს). აქ თითქმის ყოველი მეორე მეომარი შეიარაღებული იყო ცულით. უმრავლეს შემთხვევებში ისინი სამარხებში გვხვდება შუბისპირებთან ერთად. სამი ყუაკვერიანი ცული აღმოჩენილია აპუშტის ახ.წ IV-VI სს–ით დათარიღებულ სამ სამარხში [Воронов..., 1970:188], 14 ცალი ყუაკვერიანი ცულია დაფიქსირებული წიბილიუმის სხვადასხვა სამაროვანზე (წიბილიუმ–I, II, X და XI) [Kazanski..., 2007: 29]. მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხუტიაში, ახ.წ. IV-VI სს-ის დარღვეულ სამარხებში აღმოჩნდა ექვსი ცული, აქედან ოთხი განეკუთვნებოდა ყუაკვერიან ტიპს [ჩართოლანი, 2010: 14]. თითო ცალია ნანახი ახაჩარხუს ახ.წ. IV-V სს–ით დათარიღებულ №44 სამარხში [Шамба, 1970:44,45], აბგიდზრახუს ერთ–ერთ სამარხში [Воронов, 1969: 60], ასევე, ახაცარახუს, აზანტისა და ლარის სამარხებში, ახალ ათონში, სოფ. აბგარხუკში (გუდაუთის რაიონი) და ბიჭვინთის ნაქალაქარში, ახ.წ. IV ს-ის კულტურულ ფენაში [Шамба, 1970: 44,45].

აღნიშნული ტიპის ცულები ფიქსირდება აფხაზეთის გარეთაც, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. იგი ნანახია სოფ. ლიის სამაროვნის №1 სამარხში, რომელიც ახ.წ. II ს-ით თარიღდება [ძიძიგური, 2002: 117]. ახ.წ. II საუკუნეს განეკუთვნება კლდეეთში და არმაზისხევში აღმოჩენილი ნიმუშებიც [ლომთათიძე, 1957:18]. ერთი ასეთი ყუაკვერიანი ცული აღმოჩნდა ფიჭვნარის გვიანრომაული ხანის სამაროვანზე [სურ.5], მას აქვს მრგვალი სატარე ხვრელი და მასიური ოთხწახნაგა, ოდნავ მოხრილი, პირისაკენ თანდათან შევიწროებული ტანი. სხვა მასალის მიხედვით აღნიშნული ცულის შემცველი სამარხი თარიღდება ახ.წ. IV საუკუნით [კახიძე..., 2004:128]. ანალოგიური ცულებია ნანახი, ასევე, ნოქალაქევში, ვარდციხესა და ციხურაში [Рамишвили, 2003:25]. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი აღმოჩენილია ახრისის ახ.წ. I-III სს-ის სამარხში [Макалатия, 1951:185], ნეძიხის სამაროვანზე და ურბნისში [Рамишвили, 2003: 25]. საქართველოს გარეთ მსგავსი ნიმუშები გვხვდება ყირიმის ზოგიერთ სამაროვანზე, მაგალითად, ხარაკსის სამაროვანი, რომელიც ვ. ბლავატსკის მიერ ახ.წ. V ს-ის პირველი ნახევრითაა

დათარიღებული და ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, კორცის სამარხში [Шамба, 1970: 44,45**].**

გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეებში არსებული ყუაკვერიანი ცულების პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს წინარე ხანაში (ძვ.წ. VI-I სს.) საქართველოსა და მთლიანად სკვითურ სამყაროში გავრცელებული ყუაკვერიანი ცულები.

სავარაუდოდ, ამ ტიპის ცული გამოიყენებოდა უფრო სამეურნეო საქმიანობისათვის, მაგალითად, ჭედვისათვის, მორებზე ნახვრეტების ამოსათლელად და სხვ. ვიდრე საბრძოლველად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნითაც შეიძლებოდა მისი გამოყენება [Артилаква, 1976: 48].

ცალკე, მეორე ტიპად, შეიძლება გამოვყოთ ე.წ „ცულ-წერაქვი“. მას აქვს მრგვალი სატარე ნახვრეტი, ვიწრო პირი და მაღალი ბრტყელი ყუა [სურ.7]. ისინი მამაკაცთა სამარხებში საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ყუაკვერიანი ცულების მსგავსად, მათი პროტოტიპებიც უნდა ვეძებოთ ადრეანტიკურ და ელინისტურ პერიოდში არსებულ ანალოგიური ფორმის იარაღებში. მაგალითად, ისინი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ზემოთ მოყვანილ მეხუთე ქვეტიპთან. აღნიშნული იარაღიც წმინდა სამეურნეო დანიშნულებისა იყო და გამოიყენებოდა ქვისა და ხის მასალის სათლელად ან სხვა დანიშნულებით.

მესამე ტიპია ე.წ „წებელდური ცული“. თუ ზემოთ აღწერილი ყუაკვერიანი და „ცულ-წერაქვის“ ტიპის ნიმუშები სამეურნეო დანიშნულებისა იყო, „წებელდური ცული“ წმინდა საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. მისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოყოფილი ან ოდნავ შესამჩნევი ყუამილი, ოდნავ მოხრილი შუბლის ნაწილი და მორკალური, ასიმეტრიული, ქვემოთ დაშვებული ფართო პირი.

თვითონ წებელდური ტიპის ცულებშიც რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა. არქეოლოგი ი. ვორონოვი ორ ფორმას გამოყოფდა: კუთხოვანი და მომრგვალებული სატარე ხვრელის მქონე ცულებს. მ. კაზანსკიმ უფრო ვრცელი კლასიფიკაცია წარმოადგინა: პირველისათვის დამახასიათებელია გრძელი კუთხეებიანი ყუამილი [სურ.2], რომელიც ყველაზე ადრეულია და გავრცელებული იყო ძირითადად III ს-ის ბოლო ეტაპსა და IV ს–ში. მეორე ფორმის ცულები გამოირჩევა მოკლე ოვალური მილითა და ასევე შედარებით მოკლე პირით [სურ.3], რომლებიც უმეტესად გვხვდება IV-V სს-ის სამარხებში. მესამე არის ასევე მოკლეყუიანი, მაგრამ უკვე ფართო, „წვერებიანი“ პირით [სურ.4]. ეს უკანასკნელი ყველაზე მოგვიანო, IV-VII სს-ის მეგლებზე გვხვდება [Kazanski, 2007:29]. მათი ზომებიც განხვავებულია: ცულების სიმაღლე მერყეობს 11 სმ-დან 19 სმ-მდე, პირის სიგანე – 9 სმ-დან 15 სმ-მდე. ყუის დიამეტრი საშუალოდ 2,7X4 სმ-ია. არსებობს მოსაზრება, რომ მისი სრული განვითარება მხოლოდ XIII-XIV სს-ში მოხდა და შემდგომაც განაგრძობდა არსებობას.

წებელდური ტიპის ცულები აღმოჩენილია აფხაზეთის ახ.წ. III–VII სს-ის კომპლექსებში, როგორებიცაა: ახაცარახუ, ალრახუ, ახაჩჩარხუ, აპიანჩა, აპუშტა, აბგიძრახუ, აუხუამახუ, ატარა, ლარი, წიბილიუმი და შაპკა. აქ აღმოჩენილი ცულების უმრავლესობა ახ.წ. IV-VI სს-ს განეკუთვნება. ოლგინსკოეს 12 კრემაციულ ურნასამარხში სხვა ინვენტერთან ერთად აღმოჩნდა

აღნიშნული ტიპის 8 ცული [Гзелишвили, 1947:93]. წებელდური ტიპის ცული აღმოჩნდა ასევე წიბილიუმის ციხესიმაგრის გათხრისას, VI ს-ის კულტურულ ფენაში [Воронов..., 1982:127]. ანალოგიური ტიპის ნიმუშები ნაპოვნია აფხაზეთის სხვა პუნქტებშიც: შემთხვევით აღმოჩენილი ოთხი ცული სოფ. ჩხალთაში [ჩართოლანი..., 2010:10], ორი ანალოგიური ეგზემპლარი მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხუტიაში, ახ.წ. IV-VI სს-ით დათარიღებულ დარღვეულ სამარხებში [ჩართოლანი, 2010: 14], თითო ცალი ატარაში, განახლებაში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ხაშუპსეში, ლათაში, მერხეულში, მდ. ციხერვის მარცხენა სანაპიროზე [Трапш, 1971: 148] და 6 ცალი ქალაქ სოჭის მიდამოებში [Воронов, 1979:97]. აფხაზეთში სულ ნაპოვნია, დაახლოებით, 160 „წებელდური ტიპის“ ცული (რაც საერთო რაოდენობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენს), აქედან 25-30% შემთხვევითი აღმოჩენაა. ისინი სამარხებში, როგორც წესი, გვხვდება სხვა იარაღებთან კომპლექსში. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ცული არ წარმოადგენდა უმთავრეს იარაღს და ყოველთვის დამხმარე იარაღად მოიაზრებოდა.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებს, 2 ცალი ანალოგიური ცული ნაპოვნია ურეკში, რომლებიც ნ. ხოშტარიას მიერ თარიღდება გვიანანტიკური ხანით [ხოშტარია, 1955:63]. ერთი ცალი მსგავსი ცული აღმოჩნდა ნოქალაქევში, ვანში და ციხისძირის №1 ინჰუმაციურ სამარხში, რომელიც ახ.წ. IV ს-ით თარიღდება [ინაიშვილი, 1993: 83,84]. წებელდური ტიპის ცული აღმოჩნდა ზუგდიდის რაიონის სოფ. მახარიაში, რომელიც ინახება ზუგდიდის მუზეუმში. სამი წებელდური ტიპის ცული ნაპოვნია ფიჭვნარში, აქედან ორი - ახ.წ. IV-V სს-ის სამარხებში, ხოლო მესამე - შემთხვევით [კახიძე...,2004:128]. ვარდციხის V-VI სს-ის ფენაში გათხრილი იქნა მინიატურული წებელდური ტიპის ცული [ჯაფარიძე, 1989:107,108]. სოფ. კინოთში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული [ლომთათიძე, 1957:6], რომელიც თავისი ფორმით შეიძლება წებელდურ ტიპს მიეკუთვნოს. ასევე არსებობს სხვა ზეპირი ცნობებიც მათი აღმოჩენის შესახებ: რაჭა-ლეჩხუმში, ძევრში, თერჯოლის რ-ნის სოფლებში გოგნაში (დაცულია ჩხარის სასკოლო მუზეუმში), აჯამეთში [ჯაფარიძე, 1989: 107,108]. უკანსკნელ წლებში ასეთივე ცულებია გამოვლენილი მდ. ენგურისა (სოფ. ლენჯერი) და ცხენისწყლის (სოფ. ხოფური) მთიანი ზოლის ახ.წ. V ს-ის სამარხებში [ჩართოლანი..., 2010:10]. ერთ-ერთი ბოლო მონაპოვარია 2011 წელს მესტიის რაიონის სოფ. ნაკიფარში შემთხვევით ნაპოვნი ცული. ჯიეთის სამაროვნის (ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთით) II-III სს-ით დათარიღებულ №6 და №27 სამარხებში აღმოჩნდა წებელდური ტიპის ცულები. პირველი ხასიათდება მოკლე პირითა და ოდნავ შესამჩნევი ყუამილით. მისი სიმაღლეა 15 სმ., სატარე მილის დიამეტრი - 4 სმ. მეორე სამარხის ცული გამოირჩევა ფართო პირითა და ოდნავ გამოყოფილი ყუამილით. სიმაღლეა 12 სმ, სატარე მილის დიამეტრი - 2 სმ [სონღულაშვილი, 2006: 83]. ჯიეთის არტეფაქტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ №6 სამარხში ნანახი ცული თავისი ფორმით განეკუთვნება მ. კაზანსკის კლასიფიკაციით მეორე ვარიანტს, რომელიც IV-V სს-ში თავსდება, ხოლო მეორე, №27 სამარხში აღმოჩენილი ნიმუში, კი განეკუთვნება, ამავე კლასიფიკაციით, მესამე ფორმას, რომელიც წარმოადგენს წებელდური ცულის ყველაზე ტიპიურ და გვიანდელ მოდიფიკაციას (ახ.წ. IV-VII სს.). აქედან გამომდინარე, ამ სამარხების II-III საუკუნეებით დათარიღება საკამათოა.

აფხაზეთის გარეთ მათი აღმოჩენის მრავალი შემთხვევა ადასტურებს, რომ ეს ტიპი არ იყო

დამახასიათებელი მხოლოდ ერთი რეგიონისთვის, აფხაზეთისათვის, არამედ ის გავრცელებული ყოფილა მთელ დასავლეთ საქართველოში [სურ.9]. ამაზე მიუთითებს ვარდციხეში აღმოჩენილი მინიატურული ცულიც, რომელიც საკულტო ან სათამაშო ნივთად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც კიდევ უფრო მეტად გვაფიქრებინებს ამგვარი ფორმის იარაღის ფართოდ გავრცელებას ისტორიული ეგრისის მთელ ტერიტორიაზე [ჯაფარიძე, 2006:179]. „წებელდური“ მას პირველად აღმოჩენის ადგილის მიხედვით დაერქვა.

როგორც წესი, სამარხებში ცულები ფიქსირდება მიცვალებულის მარცხენა მხართან, შუბისპირებთან ერთად (იშვიათად მარჯვენა მხართან). ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აღმოჩნდა მიცვალებულის საქამრე ნაწილიდან მარცხნივ ან მარცხენა ბარძაყთან, ყუით ქვემოთ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ ცულებს ატარებდნენ მარცხნივ, ქამარზე [Воронов..., 1982:128]. წებელდურ ტიპთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს გერმანიასა და ჩეხეთ-სლოვაკეთში აღმოჩენილი გვიანრომაული ხანის ცულები [Куфтин, 1949:93]. არქეოლოგი ბ. კუფტინი ვ. ოსბორნეს ნაშრომზე დაყრდნობით მიუთითებდა ამგვარი ფორმის ცულების პოვნის ფაქტზე გერმანიასა და ბოჰემიაში. ქალაქ მაინდეს (გერმანია) მუზეუმის ფონდებში ინახება ცულები, რომლებიც გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სახელით Bartacht (გერმანულიდან ითარგმნება როგორც „წვერებიანი“) და არაფრით განსხვავდება ე.წ „წებელდურებისაგან“ [ჯაფარიძე, 2006:178,179]. დასავლურ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ხშირად მათ „წვერებიან“ ცულებს უწოდებენ, მათი პირის მოყვანილობის გამო [ბერულავა, 2009:28]. ასეთი ერთი ცულია ნაპოვნი თურქეთის ტერიტორიაზეც, ამიტომ არ არის გამორიცხული VI საუკუნის ბიზანტიურ არმიაში არსებული ცულები, რომლებიც წერილობით წყაროებში ფიქსირდება, ფორმით წებელდური ტიპის მსგავსი ყოფილიყო [Воронов..., 1982:128]. ასევე ახლოა მასთან ფრანკული ცულები, ე.წ ფრანცისკები, რომლებიც გავრცელებული იყო ახ.წ. V-VI სს-ში. წებელდური ტიპის ცულსა და ფრანცისკებს შორის მსგავსება განსაკუთრებით სახელურის სიგრძეში შეიმჩნევა. წებელდური ცულის ტარზე წარმოდგენას გვიქმნის გუარაპის საკულტო ქვაზე არსებული გამოსახულება [სურ.6], რომელიც შეესატყვისება ფრანკთა სამარხებში აღმოჩენილი ცულების ტართა სიგრძეს (30–40 სმ). ასეთ მოკლეტარიან ცულებს ფრანკები იყენებდნენ როგორც სატყორცნ იარაღს. პროკოპი კესარიელის მიხედვით, ამ ცულებს „რკინა ჰქონდათ მტკიცე... ხის ტარი კი ძალიან მოკლე. პირველივე შეტევისას, როგორც წესი, ისინი ამ ცულებს სტყორცნიან მტერს, რომლებიც ამსხვრევენ მტერთა ფარებს და ასევე ხოცავენ მათ” [Воронов..., 1982:128]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წებელდური ცულებიც იმავე ფორმით გამოიყენებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეომარს სხვა იარაღებიც ჰქონდა. წებელდური ტიპის ცულის პროტოტიპი არ არის დადგენილი. გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის კოლხურ ცულებთან, შემდგომ კლასიკურ და ელინისტურ ხანაში გავრცელებულ ცულებთან მათ დაკავშირებას ხელს უშლის მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმები, ასევე მათი დამზადების რიგი ტექნოლოგიური თავისებურებები [ჯაფარიძე, 2006:178,179]. წებელდური არტეფაქტების პროტოტიპებად ვერ ჩაითვლება ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულებიც, მათ შორის დიდი ქრონოლოგიური დაშორებისა და შუალედური ტიპის არარსებობის გამო. საინტერესოა ის, რომ გვიანრომაულ ხანაში გერმანული ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზეც მსგავსი ტიპის ცული ჩნდება შედარებით მოგვიანებით, იმავე დროს, როცა

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „წებელდური ტიპის“ ცულების გავრცელება იმპორტს უკავშირდება, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან შემოდიოდა და დაკავშირებული იყო გერმანული ტომების გააქტიურებასთან. შესაძლოა, ეს იმპორტი რომაულ-ბიზანტიური გარნიზონების მეშვეობით ხდებოდა. ცნობილია, რომ რომაული ლეგიონების „გერმანიზაციის“ პროცესი აქტიურად იწყება ახ.წ. III ს-ის ბოლოდან, რაც გულისხმობდა არა მარტო გერმანული წარმოშობის ჯარისკაცების მომრავლებას ლეგიონებში, არამედ გარკვეულწილად გერმანული იარაღების ადაპტირებასაც რომაულ არსენალში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ცნობილი ხდება, რომ ახ.წ. III-IV სს-ის მიჯნიდან კვლავ ხდება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე არსებული რომაული ციხე-სიმაგრეების კვლავ გამოცოცხლება და ხელახალი გამაგრება-გაფართოება. სავარაუდებელია, რომ ამ დროისათვის აქ ჩაყენებული გარნიზონები უკვე საკმაოდ „ბარბარიზებულია“ (გერმანიზებული). სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა „წებელდური ცულის“ გამოჩენის დროც. როგორც ჩანს, შემდგომში ხდება მისი სწრაფი და ფართო ათვისება ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოში მათი გავრცელების ტოპოგრაფიაც: ყველა ნიმუში აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, რაც ადასტურებს მათ დასავლურ წარმოშობას, ხოლო მათი დიდი უმრავლესობის აღმოჩენა ზღვის სანაპიროსთან ახლოს, განსაკუთრებით კი წებელდაში, სადაც გადიოდა სებასტოპილისიდან ქლუხორისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული გზა და სადაც თავმოყრილი იყო ციხე–სიმაგრეების მთელი სისტემა, რაც მიანიშნებს მათ უშუალო კავშირს რომაულ, შემდეგ კი ბიზანტიურ სამხედრო გარნიზონებთან.



1

2



3

5

4



6

7

Pitsunda
New Athos
Khutsa
Abzarkhuki
Lari
Gerzeuli
Tsibilumi
Shapka
Lia
Nokalakevi
Nedzikhi
Akhrisi
Vartsikhe
Kldeeti
Urbnisi
Mtskheta
Pichvnari

8

9

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისთვის: შსმმ. XIX-A - XXI-B. - თბილისი, 1957

ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი. - თბილისი, 1977

ბარამიძე მ. შავიზღვისპირეთი ძვ.წ II-I ათასწლეულების პირველ ნახევარში // სადოქტორო დისერტაცია. - თბილისი, 1998

ბერულავა ნ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღებული ძალები და სამხედრო საქმე ადრეშუასაუკუნეებში (V-XI სს). - თბილისი, 2009

გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან: თბილისი, 1964

გამყრელიძე, გ. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები / მ. ფირცხალავა, გ.ყიფიანი. - თბილისი, 2005

გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. - თბილისი, 1952

დავითაშვილი ა. „მეომრის სამარხი“ სოფელ მცხეთიჯვრიდან: ნარკვევები II. - თბილისი, 1998

დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. - თბილისი, 1983

ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს-ის არქეოლოგიური ძეგლები. - თბილისი, 1993

კალანდაძე ა. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. - სოხუმი, 1954

კახიძე ა. ფიჭვნარი I : საქართველო–ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები / მ. ვიკერსი. - ბათუმი, 2004

კვირკველია გ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძვ.წ. VIII-VI სს-ის მატერიალური კულტურა // საკანდიდატო დისერტაცია. - თბილისი, 1982

ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. - თბილისი, 1982

ლორთქიფანიძე გ. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი: ვანი II. - თბილისი, 1976

მახარაძე გ. საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. - თბილისი, 1991

მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვანი. - თბილისი, 1985

ნარეკვავის სამაროვანი. - თბილისი, 1984

პაპუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისთვის საბრძოლო იარაღის მიხედვით // საკანდიდატო დისერტაცია. - თბილისი, 1998

სონღულაშვილი ხ. ჯიეთის სამაროვანი // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ჟურნალი, IV. - თბილისი, 2006

ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისთვის. - თბილისი, 1965

ჩართოლანი შ. ძველი სვანეთი. - თბილისი, 1996

ჩართოლანი შ. კოდორის ხეობის “დალ”-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები / მ. ცინდელიანი . - თბილისი, 2010

ძიძიგური ლ. სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის. - თბილისი, 2002

ძიძიგური ლ. ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა. - თბილისი, 2002

ხოშტარია ნ. არქეოლოგიური გამოკვლევა ურეკშიმასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I. - თბილისი, 1955

ხოხობაშვილი თ. აბულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანი (ძვ.წ VI-III სს) / მ. ძნელაძე. - თბილისი, 2008

ხოხობაშვილი თ. აბულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანი (ძვ.წ VI-III სს) / მ. ძნელაძე. - თბილისი, 2008

ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი. - თბილისი, 1989

ჯაფარიძე ვ. ეგრისის ახ.წ I-VII სს-ის მატერიალური კულტურის ძეგლები.- თბილისი, 2006

Артилаква В. Железообрабатываюшее ремесло древней Грузии. - Тбилиси,1976

Аханов Н. Геленджикские подкурганные долмены: СА, №1. – Москва, 1961

Виноградов В. Централъный и Северо-Восточный Кавказ в скифское время. - Грозный, 1972

Воронов Ю. Археологическая карта Абхазии. – Сухуми, 1969

Воронов Ю. Апуштинский могилъник IV-VI вв н.э в Абхазии. СА, №1/ А. Вознюк , В. Юшин , 1970

Воронов Ю. Древности Сочи и его окрестностей. - Краснодар, 1979

Воронов Ю . Вооружение воинов Абхазии IV-VII вв.: Древности эпохи великого переселения народов IV-VII вв./Н. Шенкао. – Москва, 1982

Гзелишвили И. Остатки кремации, погребенные в глиняных сосудах в Абхазии. «САНГ», VIII, 1-2. - Тбилиси, 1947

Гогадзе Э. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской кулътуры. ШМД XXXVII-B.37. - Тбилиси, 1984

Бронзовые топоры Западной Грузии. СА. XVIII. - Москва, 1953

Есаян С. Скифские памятники закавказъя /М. Погребова . -Москва,1985

Кигурадзе Н.Дафнарский могилъник. - Тбилиси, 1976

Куфтин Б.Материалы к археологии колхиды. Т-1. – Тбилиси, 1949

Есаян С. Скифские памятники закавказъя / М. Погребова . -Москва,1985

Кигурадзе Н.Дафнарский могилъник. - Тбилиси, 1976

Куфтин Б.Материалы к археологии колхиды. Т-1. – Тбилиси, 1949

Куфтин Б.Материалы к археологии Колхиды, Т-2. - Тбилиси, 1950

Макалатия С.Археологические находки в село Ахриси. ВДИ, №3. – Тбилиси, 1951

Мартиросян А. Армения в эпоху бронзы и раннего железа. - Ереван, 1964

Мелюкова А. Вооружение скифов. САИ, Вып . Д 1-4. - Москва,1964

Микеладзе Т. Колхидская экспедиция в 1987 году. ПАИ. Тбилиси, 1995

Пиотровский Б. Урарту. древнее государство Закавказъя. – Ленинград,1939

Погребова М. Железные топоры скифского типа в Закавказъе. СА №2. - Москва,1969

Рамишвили Р. Грузия в эпоху раннего средневековья (IV-VIII вв.). Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья. (IV – XIII века). - Москва, 2003

Техов Б. Тлийский могилъник (комплексы XVI-X вв. До н. э.). - Тбилиси,1980

Трапш М. Грунтовые погребения с инвентарем скифского типа в сел.Куланурхва.-Тр. Абхазского Института языка, литературы и истории. Т XXIV. – Сухуми, 1951

Трапш М. Труды. Т-2. - Тбилиси, 1969

Трапш М. ТРУДЫ. Т-3: Кулътура цебелъдинских некрополей. – Тбилиси, 1971

Уварова П. Могилъники Северного Кавказа. МАК. VIII. – Москва, 1900

Шамба Г. Ахаччарху: Древний могилъник нагорной Абхазии. - Сухуми, 1970

Шамба Г. Эшерское городище. – Тбилиси, 1980

Kazanski M. Tsibilium II / A. Mastykova . - Paris, 2007

კობა კობერიძე

ზოგიერთი კერამიკული ფორმა აღმოსავლეთ საქართველოში (ახ.წ. I-IV სს.)

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის სამაროვნებსა და იშვიათად ნამოსახლარებზე, დასტურდება კერამიკული ნაწარმის გარკვეული ჯგუფი, რომელიც აშკარად განსხვავდება ყოველდღიური ყოფისთვის განკუთვნილი ჭურჭლისგან. ამის თქმის საშუალებას იძლევა როგორც მათი განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნები, ასევე ამგვარი კერამიკული ფორმების თვალშისაცემი იშვიათობა და აღმოჩენის კონტექსტი. ამგვარი კერამიკული ნაწარმი, სავარაუდოდ, მზადდებოდა სხვა, განსაკუთრებული შემთხვევებისათვის.

ისინი წარმოდგენილნი არიან ორკორპუსიანი ხელადებით, ამფორისკის და ასკოსისებური ფორმის ჭურჭლით, მოჭიქული ჭურჭლით, რომლებიც ყურადღებას იპყრობს თავიანთი განსხვავებული ფორმისა თუ იშვიათობის გამო და აშკარად გამოიყოფიან ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმისგან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი ჭურჭლის უმეტესი ნაწილი სპეციალურად სამარხში ჩასატანებლად მზადდებოდა[1].

ორკორპუსიანი ხელადები.

სამთავროს სამაროვნის III-IV სს. დათარიღებულ სამარხში დადასტურდა ხელადა, ჩალისფრად გამომწვარი თიხისა, რომელსაც აქვს სამტუჩა პირი და ორი მუცელი. ზედა მუცელზე ერთი, ქვედაზე კი ორი ყური აქვს დაძერწილი. ხელადის სიმაღლე 14,2 სმ-ია. (სურ. 1) ქვედა მუცელზე კოპების ორი რიგი შემოუყვება [მანჯგალაძე, 1985:95].

კიდევ ერთი ორკორპუსიანი ხელადა დადასტურდა ბაიათხევის III-IV სს. -ით დათარიღებულ სამარხში. მას ახასიათებს მრგვალი, გადაშლილი პირი. კორპუსის ზედა ნაწილი სფერულტანიან კოჭობს წარმოადგენს, რომელიც კოპებითაა დაფარული და დაძერწილია მის ასეთივე ფორმის ქვედა ნაწილზე. ხელადას წითელი საღებავის კვალი ატყვია. მისი სიმაღლეა 10,5 სმ. (სურ. 2) [ნიკოლაიშვილი... 1995:105].

აღსანიშნავია, რომ ორივე ორკორპუსიანი ხელადა 7-8 წლის ბავშვების სამარხებშია ნაპოვნი. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ჭურჭელი სამედიცინო დანიშნულებით გამოიყენებოდა (სავარაუდოდ, განკუთვნილი იყო რაიმე წამლის ან სამედიცინო სითხის შესანახად) და ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოადგენდა სწორედ იმ ბავშვებისთვის განკუთვნილ ჭურჭელს, რომელთა სამარხებშიც იქნა აღმოჩენილი.

ორმუცლიანი ხელადა დასავლეთ საქართველოშიც დასტურდება - კლდეეთის სამაროვანზე, რომელიც ახ.წ. II საუკუნით არის დათარიღებული (სურ. 3). განსხვავებული მორფოლოგიური

ნიშნების გამო აღნიშნულ ხელადას რიტუალური დანიშნულების ჭურჭლად მიიჩნევდნენ [ლომთათიძე, 1957:26].

მოჭიქული ჭურჭელი.

გვიანანტიკური ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მათ მცირე რაოდენობით მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის ამზადებდნენ. სავარაუდოდ, ახ.წ. I-IV სს. მოჭიქული თიხის ჭურჭელი საზოგადოების გარკვეული ფენისთვის იყო მხოლოდ ხელმისაწვდომი და არ არის გამორიცხული, ეს ჭურჭელი ძვირფასი სამკაულის სწორიც ყოფილიყო.

თრიალეთში, კერძოდ ბეშთაშენში, აღმოჩნდა ამფორისებური, ორყურა, ლურჯი მინისებური ჭიქურით დაფარული ჭურჭელი, რომელშიც აღმოჩნდა ავგუსტეს მიბაძვით მოჭრილი დენარი. მონეტისა და აქ აღმოჩენილი მძივების მიხედვით ბ. კუფტინი მოჭიქულ ჭურჭელს ახ.წ. I ს. ათარიღებს (სურ. 4) [Куфтин, 1941:25].

აღსანიშნავია არმაზისხევის ერისთავთა IX სამარხში აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ორყურა ჭურჭელი (ამფორისკი), რომელსაც დაბალი, ცილინდრული ფორმის, ვიწრო ყელი, მაღალი, მსხლისებრი მოყვანილობის მუცელი და განიერი ძირი აქვს. პირს მსხვილი ტუჩი შემოუყვება. ყურები მიძერწილია ყელსა და მუცელზე. ყურების ქვემოდან მუცელს ირგვლივ შემოუყვება ორი პარალელური ღარი. ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია ცისფერი ჭიქურით. მოჭიქვა მდარე ხარისხისაა. ჭიქურს ულამაზო, სხვადასხვა სიმუქის ფერი აქვს და ალაგ-ალაგ სქლადაა ჩამოღვენთილი. ამფორისკის სიმაღლე 18 სმ-ია. (სურ. 5).

ეს არის ერთადერთი თიხის ჭურჭელი, რომელიც არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში დადასტურდა[2]. სამარხი ეკუთვნოდა 7-8 წლის ბავშვს. [მცხეთა ..., 1955:101].

აღნიშნული მოჭიქული თიხის ჭურჭელი ადასტურებს, რომ გვიანანტიკურ ხანაში მოჭიქული ჭურჭელი ძვირფასი სამკაულის სწორი იყო და, სავარაუდოდ, საგანგებოდ სამარხში ჩასატანებლად დაამზადეს. ამფორისკი ახ.წ. II ს. თარიღდება.

კიდევ ოთხი მოჭიქული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის III-IV სს. დათარიღებულ სამარხებში. აქედან ერთი კოჭობია - სქელკედლიანი და მწვანედ მოჭიქული. აქვს სწორი პირი, გამობერილი მუცელი, ორი ცრუ ყური და ქუსლი. თიხა წვრილმარცვლოვანია, ღია ნაცრისფრად გამომწვარი, 6სმ. სიმაღლის [მანჯგალაძე, 1985:64]. აღსანიშნავია, რომ ეს კოჭობიც ისევე, როგორც არმაზისხევის მოჭიქული თიხის ჭურჭელი, ბავშვის სამარხში აღმოჩნდა (სურ. 6).

ამავე სამაროვანზეა დადასტურებული ამფორისკის ფორმის სამი თიხის ჭურჭელი. მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი პირი, დაბალი, ვიწრო ყელი, მსხლისებური მუცელი, ოდნავ შეზნექილი ქუსლი და ორი ყური, რომლებიც მიძერწილია ყელზე და მხარზე. ჭიქური ალაგ-ალაგ არათანაბარია. სამივე ამფორისკი მწვანედ არის მოჭიქული. მათი სიმაღლე 14-17 სმ-ია. (სურ. 7).

ამფორისკები სხვადასხვა სამარხშია ნაპოვნი და ორ შემთხვევაში ისინი საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდნენ, რომლებშიც დამარხვის ის ტრადიცია დადასტურდა, რომლის

მიხედვითაც სამ-სამი მიცვალებული იყო დაკრძალული: მამაკაცი, ქალი და 13-18 წლის მოზარდი [მანჯგალაძე, 1985: 63,65,96].

ორი მომწვანო-მოცისფროდ მოჭიქული ამფორისკი აღმოჩნდა ყოღოთოსხევის სამაროვანზე (ნაქალაქარ ხორნაბუჯის მახლობლად, ყოღოთოსხევის პირას) ახ.წ. III ს-ის ბოლო - IV ს-ის I ნახევრით დათარიღებულ სამარხში [სინაურიძე, 1967:144] (სურ. 8).

ყოღოთოსხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ამფორისკები თითქმის იდენტურია სამთავროს სამაროვნის ამფორისკებისა. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთი სახელოსნოს მიერ იყოს დამზადებული[3]. ძალიან საინტერესოა, რომ ყოღოთოშიც ისევე, როგორც სამთავროზე, ამფორისკები საოჯახო სამარხის ინვენტარს შეადგენდეს, სადაც ასევე სამი მიცვალებული იყო დაკრძალული.

სამთავროსა და ყოღოთოში აღმოჩენილი მოჭიქული ამფორისკების მსგავსია არაგვისპირის (დუშეთის რაიონი) სამაროვნის ასეთივე ფორმის მოჭიქული ჭურჭელი, განსხვავება ისაა, რომ რომ არაგვისპირის სამაროვნის ამფორისკის კორპუსი არაპროპორციულია და ხელითაა ნაძერწი; ზედაპირი დაფარული აქვს მწვანე ჭიქურით და ახ.წ. III ს.-IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [რობაქიძე, 1982:91].

ახალი ჟინვალის ნამოსახლარზე აღმოჩნდა მცირე ზომის, უყურო, მოცისფროდ მოჭიქული ჭურჭელი[4]. მას აქვს ვიწრო ყელი, გადაშლილი, ბაკოშემსხვილებული პირი და მსხლისებური მუცელი, ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირი. კეცი ძალზე მასიურია, იმ ზომამდე, რომ ჭურჭლის შიდა სივრცე წარმოადგენს რამდენიმე გრამი სითხის ტევადობის სინჯარისებრ სიცარიელეს. მისი სიმაღლე 7,5 სმ-ია. (სურ. 9). ჭურჭელი ახ.წ. III ს-ით თარიღდება. [რამიშვილი, 1983:110]

ძალზე მცირე მოცულობის გამო იგი შესაძლებელია, რაღაც ძვირფასი წამლის ან სხვა თხევადი ნივთიერების შესანახად იყო განკუთვნილი.

ანალოგიური ფორმის და, როგორც ჩანს, ანალოგიური დანიშნულების მოცისფროდ მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზეც, რომელსაც ახასიათებს ასევე მსხლისებური მოყვანილობის ტანი და დაბალი ქუსლი. ჭურჭლის სიმაღლე 7 სმ-ია. (სურ. 10). ჭურჭელი იდო მიცვალებულის მკერდზე. თარიღდება ახ.წ. IV ს-ით [ჭილაშვილი, 1964: 64].

საქართველოში სულ ცნობილია გვიანანტიკური ხანის 34 მოჭიქული ჭურჭელი. ისინი დამზადებულია მოთეთრო, წვრილი მინარევების მქონე კაოლინური თიხისაგან ხელით ან ჩარხით. მათი გამოწვის ხარისხი საშუალოა; უმეტესობა მწვანედაა მოჭიქული; მოჭიქულია მთლიანად, ძირ-ქუსლის გარდა.

მათი წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა მათ ადგილობრივ დამზადებულად თვლის, ხოლო ზოგი შემოტანილად მიიჩნევს [მანჯგალაძე, 2008:72].

ამგვარი ჭურჭლის ძირითადი ნაწილი ახ.წ. III ს. - IV ს-ის I ნახევრით თარიღდება.

საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ, რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან შედარებამ (ჩრდილო შავიზღვისპირეთი, პერგამი, როდოსი, ტიგროსის სელევკია, ურუქი, სომხეთი, დურა-ევროპოსი) ცხადყო მათ შორის არსებითი განსხვავება, რაც გამოვლინდა ფორმაში, თიხისა და ჭიქურის ფერში, დამზადების ხარისხში. ახლო მსგავსება და არა იდენტურობა დადასტურდა მხოლოდ დურა-ევროპოსის (სირია) რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან (ფორმა, ჭიქურისა და თიხის ფერი), თუმცა სირიული ნაწარმი, ჩვენგან განსხვავებით, მაღალი ხარისხისაა.

ჩატარებული თიხის მიკროსკოპული ანალიზის შემდეგ [თ. მორჩაძე, 1979] ომელმაც დაადასტურა განსახილველი მოჭიქული ჭურჭლის თიხისა და მცხეთაში, სოფ. კოდმანთან, არსებული თეთრი თიხის იდენტურობა, გაჩნდა ვარაუდი იმისა, რომ საქართველოში ცნობილი რომაული ხანის მოჭიქული კერამიკა, სირიული, მცირე ზომის მოჭიქული კერამიკის მიბაძვით უნდა ყოფილიყო დამზადებული[5] და რომ ახ.წ. III-IV სს-ში მცხეთა იყო მოჭიქული კერამიკის წარმოების ცენტრი [მანჯგალაძე, 2008:73].

ცნობილია, რომ ჭიქური კერამიკულ ნაკეთობაზე გამოწვით დამაგრებული მინისებრი მასაა, რომლითაც იფარება თიხის ჭურჭელი და მას სიკრიალეს აძლევს. ჭიქურის სისქე 0,15-0,3 მმ-ია. ჭიქური წარმოადგენს სილიკატს. ჭიქურის შემადგენლობა შეიძლება მრავალგვარი იყოს, თუმცა მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია SIO2 მინერალი, რომელიც ბუნებაში სხვადასხვა სახით გვხვდება (კვარცის სილა, კრისტალი, კაჟი, მინდვრის შპატი, კვარციტი, მთის ბროლი და სხვ.). ჭიქურის მისაღებად გამოიყენება აგრეთვე ტყვია, ჟანგის სახით.

ჭიქური ყოველთვის უფრო ადვილად დნობადია, ვიდრე თიხის მასა. ჭიქური ორგვარ დანიშნულებას ასრულებს: პრაქტიკულსა და დეკორატიულს. ჭიქური ათანაბრებს ჭურჭლის ზედაპირს, ხურავს ფორებს, რაც, ერთი მხრივ, იცავს თიხის კეცს ყოველგვარი მავნე ზემოქმედებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ჭიქურით დაფარული კრიალა ზედაპირი ადვილად ირეცხება, ჭურჭელი კი წყალგაუმტარი, ქიმიურად გამძლე და ლამაზია.

ჭიქურის გამოყენება კერამიკაში მეჭურჭლისაგან მოითხოვს ოსტატობასა და მტკიცედ შემუშავებულ ჩვევებს, როგორც თიხის, ასევე ჭიქურის თვისებების კარგად ცოდნას. ყველა ჭიქური, რა წესითა და მეთოდითაც არ უნდა იყოს მიღებული, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მკვრივად და მტკიცედ უნდა უერთდებოდეს კერამიკული ნაწარმის ზედაპირს; ჭიქური არ უნდა იღვენთებოდეს ნაწარმის ზედაპირიდან. მას უნდა ახასიათებდეს იმ თიხის კეცის შესატყვისი დნობადობა, რომლის მოჭიქვაცაა განზრახული. იგი არ უნდა გაიბზაროს და ავარდეს კეცის ზედაპირიდან, არ უნდა იხსნებოდეს წყალში, სუსტ მჟავეებში და სხვ. [ჯაფარიძე, 1956:18].

შესაძლოა, გვიანანტიკურ ხანაში მოჭიქული ჭურჭლის იშვიათობა იმის მანიშნებელიც იყოს, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იცნობდნენ სრულად ჭიქურის თვისებებს და არ არსებობდა შესაბამისი ბაზა მოჭიქული ჭურჭლის სერიული წარმოებისთვის.

ასკოსები

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება ასკოსის ფორმის ჭურჭელი, რომელიც, საფიქრებელია, აქ ძვ.წ. I ს-ში ჩნდება და არსებობს ახ.წ. IV ს. ჩათვლით.

სამთავროს სამაროვანის გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ორი ასკოსისებური ჭურჭელი. ერთ-ერთი ასეთი ჭურჭლის კორპუსი თითქოს დამჯდარი იხვის ტანს ჰგავს. მას ნისკარტიანი პირი აქვს, გრეხილი ყური კი კორპუსზე ზემოდან ჰორიზონტალურად აქვს დაძერწილი. მუცელი მომრგვალებულია. მისი ზედაპირი სადაა და შეღებილია წითლად. პირის ბოლოს აქეთ-იქით დაძერწილი აქვს ორი კოპი რომლებიც ფრინველის თვალებს გამოხატავს (სურ. 11) [თოლორდავა, 1963:43].

მეორე ასკოსისებური ჭურჭელიც წითლადაა შეღებილი. ტანს წაგრძელებული ფორმა აქვს. ყური კორპუსზე ზემოდან ჰორიზონტალურადაა დაძერწილი. ტანი სადა აქვს (სურ. 12). ეს ჭურჭელი სამარხში აღმოჩენილი ოროდ I-ის ორი დრაქმით (ძვ.წ. 53-38 წწ.) ადვილად თარიღდება ძვ.წ. I საუკუნით [თოლორდავა, 1980: 56].

გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. I ს.) ასკოსისებური ფორმის ჭურჭელი აღმოჩნდა სვეტიცხოველი I-ის უბანზე (სვეტიცხოველთან ახლოს) მოვარდისფროდ გამომწვარი და წითელი წერნაქით შეღებილი. მას დაბალი, ღარნისკარტა პირი აქვს - წაგრძელებული, ყური შეწყვილებულია - ჭურჭელზე ზემოდან დადგმული, ტანი - მომრგვალებული, უფრო ჩაიდნისებური მოყვანილობა აქვს და ახასიათებს დაბალი ქუსლი. ჭურჭლის სიმაღლეა 12,3 სმ. (სურ. 13) [აფაქიძე... 1978:140].

ახ. წ. I ს-ით დათარირებული ასკოსისებური ჭურჭელი აღმოჩნდა ასევე ზემო ავჭალის სამაროვანზე, რომელსაც მთლიანად აკლია პირ-ყელის ნაწილი და ყური. შემორჩენილია მხოლოდ ტანი და მასზე დაძერწილი ყურის ბოლო. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ასკოსი ნავისებური ფორმის დახურულ ჭურჭლად არის მოხსენიებული [მაკალათია, 1928:177].

ორი ასკოსისებური ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროს ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ სამარხებში. ერთ-ერთ ასეთ ჭურჭელს აქვს ორი პირი, რომელთაგან ერთი სამტუჩაა, ხოლო მეორე - მრგვალი. ამ ორ პირს ერთმანეთთან აერთებს რკალისებრი სახელური. ყურს სამტუჩა პირთან მიერთების ადგილას დაძერწილი აქვს მორჩისებური შვერილი და მცირე კოპი, ხოლო მეორე პირთან მიერთების ადგილას - მხოლოდ კოპი. მას აქვს სფერული მუცელი, რომელზეც ირიბი ნაჭდევებისგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება. იგი გამომწვარია მოჩალისფროდ. მისი სიმაღლეა 11,7 სმ. (სურ. 14) [Иващенко, 1980:79].

მეორე ასკოსისებურ ჭურჭელს ასევე სამტუჩა პირი და მაღალი ყელი ახასიათებს. ყური მიძერწილია პირზე და კორპუსის ბოლოზე. პირთანაც და კორპუსთანაც ყურის მიერთების ადგილას დაძერწილია მორჩისებრი შვერილები. ტანი სადაა და წაგრძელებული ფორმა აქვს. ჭურჭლის სიმაღლე 11 სმ-ია. (სურ. 15) [Иващенко, 1980: 79].

საინტერესოა ბაიათხევის ახ.წ. III-IV სს. დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილი ორი თიხის ასკოსისებური ჭურჭელი: ისინი ფრინველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენენ. აქვთ სამტუჩა პირი, მომაღლო ყელი, წაგრძელებული ტანი, დაბრტყელებულ ზედაპირზე დაძერწილი ოვალისებური ყური და დაკეჭნილი ორნამენტით შემკული კუდი. ყურისთავთან ერთს კოპი,

ხოლო მეორეს ორმაგი კოპი აქვს დაძერწილი. ფორმით ეს ორი ჭურჭელი თითქმის იდენტურია. განსხვავებულია მათი ორნამენტაცია: ერთის ტანს შემოუყვება შვეული ნაჭდევი ხაზებით შედგენილი სარტყელი (სურ. 16), ემჩნევა საღებავის კვალიც. მეორე ასკოსისებურ ჭურჭელს ყურსა და კუდზე დაღარული ზოლები ამჩნევია, ტანზე სამ რიგად ემჩნევა შიგნიდან გამობერილი კოპებისგან შედგენილი სამი სარტყელი და ტანს შემოუყვება შვეული ნაჭდევი ხაზებით შედგენილი სარტყელიც (სურ. 17).

ერთ-ერთი ასკისებრი ჭურჭელი აღმოჩენილია 6-8 წლის ბავშვის სამარხში ორკორპუსიან ხელადასთან ერთად, ხოლო მეორე ქალის მდიდრული სამარხის ინვენტარს შეადგენდა [ნიკოლაიშვილი... 1995: 105,130].

კიდევ ერთი თიხის ასკოსისებური ჭურჭელი აღმოჩნდა ჟინვალის ახ.წ. III-IV სს. დათარიღებულ სამაროვანზე, რომელიც ასევე ფრინველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. მას ახასიათებს მრგვალი პირი. მისი ტანი ირიბი ნაჭდევებით არის გაფორმებული [Рамишвили, 1982: 35].

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასკოსის ფორმის ჭურჭელი ძვ. წ. I ს-დან ჩნდება. მას ახასიათებს კორპუსზე ზემოდან დაძერწილი ჰორიზონტალური ყური, მომრგვალებული ან ოდნავ წაგრძელებული მუცელი, უფრო დაბალქუსლიანი ან უქუსლო ძირი, წითელი წერნაქით შეღებილი ზედაპირი და უორნამენტო ტანი. მათთვის არ არის დამახასიათებელი ყელი.

სვეტიცხოველი I-ის უბანზე აღმოჩენილი ახ.წ. I ს-ის ასკოსისებური ჭურჭელი მორფოლოგიურად უახლოვდება ძვ.წ. I ს-ის ასკოსებს.

ახ.წ. II ს-დან ასკოსისებურ ჭურჭელში შეინიშნება მორფოლოგიური ცვლილებები: მათ უჩნდებათ სამტუჩა პირი[6], უგრძელდებათ ყელი და კორპუსი. ყური ასკოსის პირზეა მიძერწილი, შესაბამისად, ყური აღარ არის კორპუსზე ზემოდან ჰორიზონტალურად დაძერწილი. ამ პერიოდიდანვე ჩნდება ორპირიანი ასკოსისებური ჭურჭელი (სამთავრო). ყურის ზედა ნაწილში პირთან მიერთების ადგილზე ჩნდება კოპი და მორჩისებური შვერილი, ასეთივე შვერილი გვხვდება ყურის ბოლოს, კორპუსზე დაძერწვის ადგილას, რაც უფრო ფრინველის კუდის მოტივს მოგვაგონებს. ამავე პერიოდში ჩნდება ორნამენტი კორპუსზე და ქრება ქუსლი.

ახ.წ. II ს-ში ჩამოყალიბებული ეს ფორმები არსებობას განაგრძობენ ახ.წ. III-IV სს-შიც (ბაიათხევი, ჟინვალი), კვლავ გვხვდება ამ ჭურჭლის წერნაქით შეღებვის შემთხვევები.

ასკოსს - ჩაიდნისებური ფორმის ჭურჭელს - ბერძნულ სამყაროში ზეთისა და ნელსაცხებლებისთვის ხმარობდნენ. ასკოსის ფორმა შესაძლებელს ხდის, რომ ამ ჭურჭლიდან სითხემ (ზეთი, სუნამო, თაფლი...) წვეთწვეთობით იდინოს[7]. ასკოსი ანტიკურ კერამიკაში დამკვიდრდა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან და არსებობდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლომდე [კახიძე, 2007: 116].

შესაძლებელია, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ასკოსები უკავშირდებოდნენ არა ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ ასკოსებს, არამედ მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილ ამგვარ

ჭურჭელს. მახლობელ აღმოსავლეთში ისინი გამოვლენილია მინგეჩაურის კერამიკაში, მდ. ამუდარიასთან აღმოჩენილ კერამიკაში [Казиев, 1960:26].

ამფორისკებიც, ასკოსის მსგავსად, სანელსაცხებლედ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ორკორპუსიანი ხელადების, ამფორისკის თუ ასკოსისებური ფორმის ჭურჭლის იშვიათობა და განსხვავებული ფორმა შესაძლებელია იმის მანიშნებელი იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს არა ყოველდღიურად სახმარ, არამედ უფრო სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელთან.

კერამიკულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ პერიოდში ხელოსნები ცალკე აკეთებდნენ ყოველდღიურად სახმარ სერიული წარმოების ჭურჭელს და ცალკე განსაკუთრებული შემთხვევებისთვის ამზადებდნენ მათგან განსხვავებული ფორმის კერამიკულ ნაწარმს, რომელსაც აშკარად სხვა დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მოჭიქული ჭურჭელი სამთავროდან და არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნიდან, ასკოსისებური ჭურჭელი ბაიათხევიდან, ორი ორკორპუსიანი ხელადა სამთავროდან და ბაიათხევიდან ბავშვის სამარხის ინვენტარს შეადგენდა, ხოლო აღმოჩენილი ამფორისკებიდან ოთხი, საოჯახო სამარხის ინვენტარს წარმოადგენდა, რომელშიც სამ-სამი მიცვალებული იყო დაკრძალული.

ამრიგად, მიუხედავად კერამიკული ჭურჭლის გარკვეული დეგრადაციისა, რაც გამოწვეული იყო გვიანანტიკური პერიოდიდან მთელ საქართველოში მინისა და ლითონის ნაწარმის ფართო გავრცელებით, თიხის ჭურჭელი მაინც ინარჩუნებს საკმაო მრავალფეროვნებას და რჩება ყოველდღიური დანიშნულების უმთავრეს ატრიბუტად. კერამიკული წარმოება კვლავ წარმოადგენს ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ მთავარ დარგს და მას ბოლომდე ვერ ცვლის ძვირფასი ლითონის ნაწარმი. ამის უტყუარი საბუთი ისიც არის, რომ გვიანანტიკური პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილ ვერცხლის, ბრინჯაოსა თუ მინის ჭურჭელს საგრძნობლად სჭარბობს კერამიკული ნაწარმი. ეს დასტურდება არა მხოლოდ ამ პერიოდის რიგით ნამოსახლარებისა თუ სამაროვნების, არამედ სოციალურად დაწინაურებული ფენისათვის განკუთვნილი სასახლეების მაგალითზეც (დედოფლის გორის სასახლე, ბაგინეთის სამეფო რეზიდენცია და სხვა), რაც კერამიკული ჭურჭლის პრაქტიკული თუ სარიტუალო გამოყენების აუცილებლობით იყო განპირობებული.



1 ასეთი ტიპის კერამიკული ნაწარმი ძირითადად სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარეობს და იშვიათად დასტურდება ნამოსახლარებზე.

2 სხვა შემთხვევებში მხოლოდ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს თუ სხვა ძვირფასი ლითონისა და ქვებისგან დამზადებული ჭურჭელი და სამკაული გვხვდება.

3 ყოღოთოს და სამთავროს ეს ჭურჭელი ერთნაირად, ახ.წ. III-IV სს. თარიღდება.

4 ეს ერთადერთი მოჭიქული ჭურჭელია ამ ნამოსახლარზე.

5 ამას გვაფიქრებინებს ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, მოჭიქვის ტექნიკა.

6 აღარ ვხვდებით ნისკარტის მოტივს.

7 ამ ფორმას ანტიკურ სამყაროში ლიდიიდან შემოტანილად მიიჩნევენ.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში: მცხეთა ტომი II / ა. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ვ. მანჯგალაძე, ა. სიხარულიძე, ვ. სადრაძე, ლ. ხეცურიანი, თ. ჯღარკავა, მ. ძნელაძე, რ. დავლიანიძე, გ. გიუნაშვილი - თბილისი, 1978
2. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. - თბილისი, 1980
3. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. - თბილისი, 1980
4. კახიძე ა. ფიჭვნარი ტ. II. - ბათუმი, 2007
5. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბილისი, 1957

6. მაკალათია ს. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სსმმ. ტომი IV. - თბილისი, 1928
7. მანჯგალაძე გ. რომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი საქართველოში; იბერია-კოლხეთი №4. - თბილისი, 2008
8. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები: მცხეთა ,ტომი VII. თბილისი, 1985
9. მორჩაძე თ. შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა. - თბილისი, 1979
10. მცხეთა ტომი I. - თბილისი, 1955
11. ნიკოლაიშვილი ვ. ბაიათხევი. მცხეთა. ტომი X / გ. გიუნაშვილი. - თბილისი, 1995
12. რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. ჟინვალი ტომი I. - თბილისი, 1983
13. როზაქიძე ც. არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი. არქეოლოგიური ძიებანი II-III. - თბილისი, 1982
14. ჭილაშვილი ლ. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან. სსმმ. XXVII-B. - თბილისი, 1967
15. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. - თბილისი, 1964
16. ჯაფარიძე ვ. ქართული კერამიკა (XI-XIII სს.) .- თბილისი, 1956
17. Иващенко М.М. Самтаврские погребения первых трех веков Н.Э. Мцхета Т. III. – Тбилиси,1980
18. Куфтин Б.А. Альбом кувшинных погребении Мингечаури. - Баку, 1960
19. Куфтин Б.А. Археологические раскопки в Триалети. - Тбилиси, 1941
20. Рамишвили. Р.М. Археологические изыскания в зоне строительства Живальского гидротехнического комплекса в 1976-1979гг. Археологические исследования на новостроиках грузинской сср. – Тбилиси, 1982

მარიამ მირესაშვილი

ფოლკლორული იმაგოლოგია: ქართველის ეთნოსტერეოტიპი რუსულ მასკულტურაში

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში ნაციონალური სპეციფიკის ნიველირებამდე მივყავართ, რაც განაპირობებს მკვლევარ-ფილოლოგთა ინტერესს ეთნიკური სტერეოტიპის, ნაციონალური ხასიათის პრობლემის მიმართ. როდესაც ჩვენ ვამბობთ, „ტიპური რუსია“, „ტიპური სომეხია“, „ტიპური ინგლისელია“ და ა.შ., მხედველობაში გვაქვს ნიშან-თვისებათა ნაკრები, რომელიც აღნიშნულ მომენტში მიემართება ეთნიკურ სტერეოტიპებს; ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს კრებსით, პირობით სახეს, რომელიც წარმოაჩენს ამა თუ იმ ერის ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებს, ნაციონალური ფსიქოლოგიის სპეციფიკას და ორივე ერის ტრადიციას - ერთი მხრივ, იმისა, ვინც სტერეოტიპული შეფასების ობიექტს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, იმისა, ვინც ეს სტერეოტიპი შექმნა და დაამკვიდრა.

ეთნიკური სტერეოტიპის/ნაციონალური ხასიათის პრობლემის კვლევისას ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რას ეფუძნება ცალკეულ ინდივიდთა ან ინდივიდთა ჯგუფის წარმოდგენა, რომელიც საკუთარ გაერთიანებას მოიაზრებს, როგორც „ჩვენებს“ და, შესაბამისად, განასხვავებს მას „სხვებისგან“; ანუ „ჩვენ“ ემიჯნება „სხვას“; „ჩვენი“ ნაციონალური მახასიათებლები უპირისპირდება „სხვისას“, ხშირ შემთხვევაში იმ ერის ნაციონალურ მახასიათებლებს, რომელიც „ჩვენთვის“ უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. შევნიშნავთ, რომ ინდივიდთა ჯგუფის გაერთიანება („ჩვენები“) ემყარება არა მხოლოდ კოლექტიური მეხსიერების მითებს, არამედ ყოფით შეგნებაში „სხვისი“ სახის კატეგორიზაციას/სტერეოტიპიზაციას. სწორედ ზემოაღნიშნულ პრობლემებს სწავლობს იმაგოლოგია (ინგლ. image - სახე), რომელიც მოიცავს როგორც თეორიული საფუძვლების, ასევე „სხვისი“ სახის ჩამოყალიბების კონკრეტული მექანიზმების შესწავლას განსხვავებული სოციალური, კულტურული და ეთნიკური გაერთიანებების პირობებში [Anderson,1991; Hechter, 2000; Geary, 2003; Сванидзе, 2003 და სხვ.].

ნაციონალური/ეთნიკური სტერეოტიპების (ბერძ. ethnos - ხალხი, stereos - მყარი, typos - ანაბეჭდი) შემფასებლურ ბუნებაზე მსჯელობისას განარჩევენ ენდო (შინაგან) და ეგზო (გარეგან) ეთნიკურ სტერეოტიპებს. ენდოეთნოსტერეოტიპი - ეს ის წარმოდგენაა საკუთარ ხალხზე, რომელიც მას თავად გააჩნია (მაგ., რას ფიქრობენ ქართველები ქართველებზე); რაც შეეხება ეგზოეთნოსტერეოტიპს, იგი გულისხმობს იმ წარმოდგენას ხალხზე, რომელიც იქმნება/ყალიბდება *სხვა*ხალხების მიერ (მაგ., რას ფიქრობენ ქართველებზე რუსები, სომხები, ბალტიისპირელები და ა.შ.). ადამიანის შეგნებაში ფოკუსირებული ეთნიკური სტერეოტიპი, შესაძლოა, ათწლეულებს ან, სულაც, საუკუნეებს ითვლიდეს. ენდოეთნოსტერეოტიპი, როგორც წესი, მთლიანობაში პოზიტიურია, თუმცა, დასაშვებად მიიჩნევს საკუთარი ხალხის კრებსით პორტრეტში რამდენიმე არაარსებითი სახის ნაკლოვანების წარმოჩენასაც. მისგან განსხვავებით, ეგზოეთნოსტერეოტიპი შესაძლოა იყოს უკიდურესად პოზიტიურიც და უკიდურესად ნეგატიურიც. ეს დამოკიდებულია აღმქმელი ერის ისტორიულ მეხსიერებაზე, ხალხებსა და

ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ ურთიერთობებზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ამონარიდი მე-18 საუკუნის პოლონეთის ისტორიული ქრონიკიდან: „ჩვენ არა ვართ ისეთი ტრაბახები, როგორც გერმანელები; ისეთი დაუნდობლები, როგორც მოსკალები (იგულისხმებიან უკრაინელები, მ.მ.); ისე უცერემონიოდ არ ვიყენებთ საწამლავს, როგორც შვედები; არ ვქურდობთ, როგორც უნგრელები; არ ვართ ისეთი ქედმაღლები, როგორც ინგლისელები; არ ვართ ისეთი შურისმაძიებლები, როგორც შოტლანდიელები“ - ასე გამოიყურებოდნენ პოლონელების თვალთახედვით მათი ევროპელი მეზობლები ორი საუკუნის წინ; თუმცა, შევნიშნავთ, რომ მომდევნო საუკუნეებში მათი წარმოდგენა ევროპელების ეგზოეთნოსტერეოტიპის შესახებ შეიცვალა, რასაც მოწმობს ლიტერატურული იმაგოლოგიის მასალები [Stereotypes and Nations, 1995:15-54].

უდავოა, რომ დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი/ნაციონალური მითი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დგება ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის საკითხი ამა თუ იმ ერის წარმოდგენაში ნაციონალური სტერეოტიპის დამკვიდრებასთან ან, პირიქით, უარყოფასთან, ზოგჯერ კი პოლემიკაში შესვლასთან დაკავშირებით. ფოლკლორსა და ლიტერატურაში ასახული ერის მენტალიტეტი, მისი ნაციონალური შეგნებისთვის დამახასიათებელი ეთნოსტერეოტიპები, ანუ შემფასებლური ხასიათის წარმოდგენები სხვა ხალხებსა და კულტურებზე, შესაძლოა დაფიქსირდეს ნარატორის, უცხოელი პერსონაჟების ან სხვა პერსონაჟების მიერ გამოთქმული მოსაზრებების სახით.

მკვლევრები ერთმანეთისგან განასხვავებენ *მხატვრულ* და *ფოლკლორულ* იმაგოლოგიას. მხატვრულ ლიტერატურაში უცხოელი პერსონაჟის სახის შემქმნელად ავტორი გვევლინება, რომელსაც საკუთარი კონცეფცია, მსოფლმხედველობა გააჩნია და ცხადია, ამა თუ იმ ერის ეთნოსტერეოტიპების შეფასებისას მისი პირადი აზრი დომინირებს. რაც შეეხება ფოლკლორულ იმაგოლოგიას (ანდაზები, გამოცანები, ანეკდოტები...), ამ შემთხვევაში არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე; ცნობილია, რომ „სხვისი“ უარყოფითი ნაციონალური სტერეოტიპის დამკვიდრებას ყველაზე მეტად სწორედ მასკულტურა უწყობს ხელს, რომელშიც მოიაზრება ანეკდოტიც, როგორც ფოლკლორული იმაგოლოგიის ერთ-ერთი ჟანრული სახესხვაობა. დღესდღეობით არავინ დავობს, რომ ანეკდოტი ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ჟანრია; იგი სწრაფად რეაგირებს საზოგადოების მტკივნეულ, აქტუალურ პრობლემებზე და, პრაქტიკულად, მოიცავს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს: პოლიტიკას, ბიზნესს, რელიგიურ ინსტიტუტებს, ოჯახს და ა.შ. ანეკდოტში ასახულია საზოგადოების გარკვეული სოციალური ფენის მსოფლმხედველობა, გარემომცველი სინამდვილის აღქმა და მისდამი დამოკიდებულება; ამდენად, ანეკდოტი, წარმოადგენს საზოგადოებრივი შეგნების ერთგვარ სარკეს, რომელშიც “სიცილის კულტურის” [Бахтин, 1990] პრიზმაშია ასახული სოციალური რეალიები და საზოგადოებრივი განწყობილებები.

ზეპირსიტყვიერების ცნობილი მკვლევრის, ვ. ხიმიკის, შენიშვნით, მხოლოდ რუსულ კულტურაში არის აღნიშნული ფოლკლორის ეს ჟანრი სპეციალური ტერმინით (ანეკდოტი)[1];

ინგლისურ ენობრივ კულტურაში ანეკდოტს უწოდებენ joke, canned joke, funny story; ფრანგები ანალოგიურ მოვლენას histoire - იგავს უწოდებენ; რაც შეეხება გერმანელებს, ისინი ხუმრობას, ენამოსწრებულ ნათქვამს აღნიშნავენ სიტყვით witz [Химик, 2002:23].

ტექსტის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ანეკდოტს სტერეოტიპული სტრუქტურა გააჩნია; იგი ორი ნაწილისგან შედგება: ინტროდუქციისა და კვანძის გახსნისგან. პირველი ნაწილი მოიცავს სიუჟეტს, რომელიც გარკვეული ინტრიგის შემცველია, ხოლო მეორე ნაწილში გადმოცემულია კვანძის მახვილგონივრული, მოულოდნელი, ზოგჯერ პარადოქსული გახსნა, რაშიც მდგომარეობს ანეკდოტის კომიკური ეფექტი. ზოგადად, კომიკური ეფექტი ორი გზით მიიღწევა:

ე.წ. რეფერენციულ ანეკდოტებში გადმოცემულია პერსონაჟების ქცევის, აღწერილი სიტუაციების შეუსაბამობა ჩვენს მენტალობასთან;

ე.წ. ლინგვისტურ ანეკდოტებში აქცენტირება ხდება ნარატორის ენის მრავალნიშნიანობაზე, სიტყვათა თამაშზე, მეტყველების თავისებურებებზე [Руднев, 2007].

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში იკვეთება დიქოტომიური დაპირისპირება „ჩვენ“/„სხვა“. ზოგადად, ადამიანებს სჩვევიათ, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისთვის გარკვეული დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მინიჭება (ცბიერება, აგრესიულობა, უშუალობა, სიბრიყვე, ბოროტება და სხვ.), რაც ეთნოკულტურული სტერეოტიპების ჩამოყალიბების საფუძველს შეადგენს. თითქმის ყველა ერის ფოლკლორში არსებობს ნარატივები მეზობელი ხალხების შესახებ: რუსები ყვებიან ანეკდოტებს ებრაელებზე, უკრაინელებზე, სომხებზე, ქართველებზე, ჩუკჩებზე; უკრაინელები - პოლონელებზე, რუსებზე; ლატვიელები - ესტონელებზე; ქართველები - სომხებზე და ა.შ. ანეკდოტში უცხოელის/“სხვისი“ სახე მარტივია (პრიმიტიულიც კი), სტატიკურია (განსხვავებით მხატვრული ლიტერატურისგან, სადაც იგი ინდივიდუალიზირებულია, მრავალწახნაგოვანია, დინამიურია). როგორც წესი, ანეკდოტში წინა პლანზე წამოწეულია ნაციონალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე თვისება, რომელიც ხდება დაცინვის, კრიტიკის საგანი.

ცნობილია, რომ ინდივიდის/ინდივიდთა გაერთიანების წარმოდგენის ფორმირება, ზოგადად, ადამიანზე ხდება საკუთარ ეთნოსზე არსებული შეხედულებების საფუძველზე; ანუ საკუთარი ეთნოსისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მიჩნეულია *ნორმად,* ხოლო სხვა ეთნოსისთვის დამახასიათებელი აღქმულია, როგორც სტანდარტიდან, ნორმიდან, გადახრა. აღნიშნული სიტუაცია ვრცელდება როგორც ქცევის, ასევე მეტყველების თავისებურებებზეც. იმის გამო, რომ სხვადასხვა ხალხების აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები ერთმანეთს არ ემთხვევა, მეზობლების სპეციფიკური ქცევა (როგორც წესი, ჰიპერბოლიზირებულად წარმოდგენილი) აღიქმება როგორც სასაცილო, სულელური, არაადეკვატური, რომელიც ცხადია, არ მიემართება ქცევის საკუთარ, „მართებულ“ ნორმებს. ქცევასთან ერთად, ნარატორის (ჩვენს შემთხვევაში, ანეკდოტის მთხრობელის) თვალში სასაცილოდ გამოიყურება მშობლიური ენის მეტყველებითი სტერეოტიპების დარღვევა სხვა ერის წარმომადგენელთა მიერ.

აღნიშნული თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რუს მკვლევართა მიერ წარმოდგენილ მასალას კრებულში „ენის ლოგიკური ანალიზი. ადამიანის სახე კულტურასა და ენაში“, რომლის თანახმად, თანამედროვე რუსულ ფოლკლორში სჭარბობს ანეკდოტები ებრაელებზე, უკრაინელებზე ("хохлы"), სომხებზე, ქართველებზე და სხვ. [Логический анализ..., 1999]. კრებულის მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ნაციონალური ხასიათის ის თვისებები, რომლებიც რუსულ მასკულტურაში მიემართება ქართველის ეთნოსტერეოტიპს.

აღსანიშნავია, რომ რუსულ მასკულტურაში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, 60-იანი წლებიდან, დამკვიდრდა ბაზრის უცვლელი პერსონაჟის, ქართველი „გივის“ სახე (სხვადასხვა ვარიაციით, ყვავილების/ციტრუსების/ხილ-ბოსტნეულის გადამყიდველი, ე.წ. სპეკულიანტი). აღნიშნულმა ნაციონალურმა სტერეოტიპმა ჩაანაცვლა რუსულ ლიტერატურასა და მენტალიტეტში მე-19 საუკუნიდან დამკვიდრებული კავკასიელი/ქართველი რაინდის რომანტიკული მოდალური კონსტრუქცია. თუ თვალს მივადევნებთ რუსულ ანეკდოტებში წარმოჩენილ ქართველის ეთნიკურ სტერეოტიპს, შევნიშნავთ, რომ ქართველები გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით; უყვართ ქეიფი, ღვინის სმა, რესტორნებში ფულის ფლანგვა, ქალების საზოგადოება... ნაციონალური ხასიათის სწორედ ამ თვისებებს მიემართება რუსულ სინამდვილეში არსებული ანეკდოტი, თუ როგორ უხშობს საბჭოთა ხელისუფლება ქართველს სიცოცხლით ტკბობის სურვილს; მხედველობაში გვაქვს ანეკდოტი იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ ქართველს კომუნისტური პარტიის წევრად; მიმღები კომისიის წევრები აფრთხილებენ, რომ ამიერიდან მან, როგორც კომუნისტმა, უარი უნდა თქვას დროსტარებაზე, რესტორნებზე, ღვინოზე, ქალებზე...ბოლოს ეკითხებიან: „მზად ხარ, რომ სიცოცხლე გაწირო კომუნიზმის იდეალებისთვის?“ „რა თქმა უნდა! აბა, რაღად მინდა ასეთი სიცოცხლე?!“ - პასუხობს ქართველი.

რუსული ანეკდოტების თანახმად, ქართველებს უყვართ იმის აფიშირება, რომ ბევრი ფული აქვთ; რომ ხელგაშლილები არიან. მაგალითად, ანეკდოტი იმის შესახებ, თუ როგორ იყიდა გივიმ „ზაპოროჟეცი“, ღამით დააყენა ეზოში, მეორე დილით აღმოაჩინა, რომ მანქანა მოუპარავთ. ისევ იყიდა „ზაპოროჟეცი“, დააყენა ეზოში და საქარე მინაზე დატოვა წერილი: „თუ გასეირნება გინდა, ისეირნე, მაგრამ შემდეგ მანქანა უკან დააბრუნე“. დილით გივი ხედავს, რომ „ზაპოროჟეცი“ ისევ გაქრა; ეზოში დგას „მერსედესი“, რომლის საქარე მინაზე წერილია მიკრული: „თუ გასეირნება გინდა, ისეირნე, მაგრამ ერს ნუ არცხვენ!“. ამავე თემატურ რკალს მიემართება ანეკდოტი გივიზე და მის მეგობრებზე, რომლებიც რესტორანში ქეიფის შემდეგ გარდერობში მომუშავე პერსონალს ასაჩუქრებენ; ერთი აძლევს ათმანეთიანს, ართმევს პალტოს და ეუბნება: „ხურდა არ მინდა“; მეორე აწვდის ოცდახუთმანეთიანს, ართმევს პალტოს და ეუბნება: „ხურდა არ მინდა“; გივი აწვდის ასმანეთიანს და ეუბნება: „პალტო არ მინდა“ („Палта не нада“).

რუსულ ანეკდოტებში ქართველი მამაკაცები წარმოდგენილნი არიან „აღმოსავლური მენტალობის“ ტიპურ მატარებლებად, რომლებიც ქალს მამაკაცზე დაბლა მდგომ არსებად აღიქვამენ; ამით ქარწყლდება ადრე დამკვიდრებული მითი ქართველთა რაინდული თაყვანისცემისა ქალების მიმართ. სწორედ ამაზეა აგებული ანეკდოტი გივიზე, რომელიც კომპლიმენტებად დაიღვარა თავისი ნაცნობის თანმხლები ქალის წინაშე; თუმცა, როდესაც ამ

ქალმა მამაკაცების საუბარში გადაწყვიტა ჩართვა, გივიმ უხეშად გააწყვეტინა: „გაჩუმდი, ქალო, როდესაც ჯიგიტები საუბრობენ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანეკდოტებში (განსაკუთრებით ე.წ. ლინგვისტურ ანეკდოტებში) აქცენტირება ხდება უცხოელი პერსონაჟების მიერ მეტყველებითი სტერეოტიპების დარღვევაზე. რუსულ ანეკდოტებში ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული პერსონაჟებიდან არცერთი არ საუბრობს თავანკარა რუსულით და თითოეული მათგანის (უკრაინელის, ებრაელის, სომხის, ქართველის...) მეტყველების იმიტაციისას (რაც ანეგდოტში იწვევს სიცილის ეფექტს), ინდივიდუალური ნიშნები გამოიყოფა. ქართველის მეტყველების დასახასიათებლად ხშირად მიმართავენ განსაზღვრული ლინგვისტური ერთეულების გამეორებას (მაგ., კითხვითი „Да?“ - Позвони, да?; Выпей, да? Обидно, да? - ან მიმართვას „Кацо“); ხშირად ხდება აქცენტის იმიტაცია და გრამატიკული შეცდომების „გათამაშება“. სწორედ ამაზეა „აგებული“ ანეკდოტი ქართულ სკოლაზე, რომელშიც რუსულის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: „Как называется балшой полосатый мух?“ (რა ჰქვია დიდ ზოლებიან ბუზს); „Ос!“ - პასუხობენ ბავშვები (მხედველობაში ჰყავთ ბზიკი - оса). "Нэправилна“, - ამბობს მასწავლებელი - „балшой полосатый мух это шмэл, а ос это палка, вокруг которой вертится земля" (მხედველობაში აქვს ось - ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს დედამიწა).

ზემოაღნიშნული კრებულის გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ნაციონალური სტერეოტიპი წარმოადგენს მდიდარ, მრავალფეროვან შემეცნებით სტრუქტურას, რომელიც სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რადგან ყოველი თაობა სწორედ იმ ნაციონალური სტერეოტიპებითა და ნაციონალური მითებით მსჯელობს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ და დამკვიდრდნენ მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკასა თუ მასკულტურაში ათწლეულების განმავლობაში. უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო სივრცეში გამოჩნდა შრომები, რომელთა ავტორები აღნიშნავენ, რომ ინდივიდის ცნობიერებაში დალექილი „სხვა“ ეთნოსტერეოტიპი, რომელიც ჩამოყალიბებულია მისსავე საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულებების (როგორც წესი, უარყოფითის) ზეგავლენით, ქმნის არასასურველ ემოციურ-ფსიქოლოგიურ ფონს აღნიშნული ეთნოსის წარმომადგენელთან რეალურ შეხვედრამდე [Оболенская, 2000: 9]. ეს სწორხაზოვანი მოდელი წამოჭრის მთელ რიგ შეკითხვებს; მაგ., ერთი მხრივ, როგორ გარდაიქმნება, არქეტიპების სიმყარის მიუხედავად, ზოგჯერ ერთ დღე-ღამეში, „სხვა“ სახე „მტრის“ ხატად“ და, მეორე მხრივ, როგორ უნდა წარიმართოს უკუპროცესი იმის დასადგენად, თუ რა რეალურმა ნიშან-თვისებებმა განსაზღვრეს აღნიშნული ეთნოსტერეოტიპის ჩამოყალიბება; რამდენად შეესაბამება იგი რეალობას; რა დროის განმავლობაში იყო რელევანტური არსებული წარმოდგენები (თუ იგი ახლაც განაგრძობს არსებობას) [Копелев, 2002: 100].

ცხადია, წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ზემოთ წარმოდგენილი სტერეოტიპების კრიტიკა, არც იმის დემონსტრირება, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას რუსულ საზოგადოებრივ სინამდვილეში ქართველთა შესახებ არსებული ეთნოსტერეოტიპები. ჩვენი სურვილი იყო, მხოლოდ მასათა შეგნებაში დამკვიდრებული ქართველთა ეთნოსტერეოტიპის რამდენიმე ტიპური მახასიათებლის გამოყოფა და იმის აღნიშვნა, რომ,

სამწუხაროდ, ისინი უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ასრულებენ ერთგვარი კოორდინატების როლს ორივე მხარისთვის.

1 ქართულში ტერმინი „ანეკდოტი“ რუსულიდან შემოვიდა.

ლიტერატურა

1. Anderson B. Imagined Communities .- London: Verso Books, 1991
2. Geary P. J. The Myth of Nations. The Medieval Origins of Europe.- Princeton; Oxford, 2003
3. Hechter M. Containing Nationalism O.U.P.- Oxford, 2000
4. Stereotypes and Nations / Ed. By Teresa Walas. – Cracow: International Cultural Centre, 1995
5. Бахтин М. Творчество Франсуа Рабле и народная культура Средневековья и Ренессанса. - М., 1990
6. Образ «чужого» в истории и современности // Лев Копелев и его «Вуп-пертальский проект» / Под ред. Я. С. Драбкина. М.
7. Логический анализ языка. Образ человека в культуре и языке. М., 1999
8. Оболенская С. Германия и немцы глазами русских (XIX в.). - М., 2000
9. Руднев В. Словарь культуры XX века , 2007 http://royallib.com/book/rudnev_vadim/slovar_kulturi_XX_veka.html
10. Сванидзе А. «Свой» и «чужой» в процессе общественных игр // От Средних веков к Возрождению. - СПб., 2003
11. Химик В. Анекдот как уникальное явление русской речевой культуры // Анекдот как феномен культуры. Материалы круглого стола 16 ноября 2002 г. - СПб.,2002

ნანა ლოლაძე

მოძრაობის ზმნები ქართულში

სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზების საშუალებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს. მოძრაობის ენობრივი ასახვა დიდ ინტერესს იწვევს როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე კოგნიტიური კვლევის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს საკითხები გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან და კოგნიტიური ლინგვისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

კოგნიტიური ლინგვისტიკის მიდგომა მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ა) ამა თუ იმ ენაში უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, სემანტიკური ერთეულების სიმრავლე, ხოლო, მეორე მხრივ, ენობრივი საშუალებების (ზედაპირული ერთეულების) სიმრავლე;

ბ) უნდა გაირკვეს, კონკრეტული სემანტიკური ერთეულები რომელი ენობრივი საშუალებებით, როგორი კომბინაციებითა და მიმართებებით გამოიხატება, ანუ როგორი მოდელი გამოიყენება.

გ) უნდა შედარდეს ეს მოდელები ენების მიხედვით და დადგინდეს, გამოიკვეთოს მეტამოდელი (უნივერსალური პრინციპიები).

დ) გარდა ამისა, უნდა შედარდეს ეს მოდელები ერთი ენის სხვადასხვა საფეხურზე (დიაქრონიაში), მოინიშნოს ნებისმიერი ცვლილება ან პირიქით - არაცვალებადობა, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს ენაში მეტამოდელის (უნივერსალური პრინციპის) გავლენით.

ე) დაბოლოს, უნდა მოხდეს განხილვა კოგნიტიური პროცესებისა, რომლებსაც შეეძლო განეპირობებინა ის მოვლენები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონკრეტულ მოდელებს.

კოგნიტიური კვლევის ინტერესს წარმოადგენს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ენების მიხედვით ამგვარი მოდელების შედარება. კერძოდ, არის თუ არა ენებში მოდელების დიდი მრავალფეროვნება, არის შედარებით ნაკლები რაოდენობა მოდელებისა (ტიპოლოგია), თუ არსებობს ერთადერთი მოდელი (უნივერსალია) [Talmy, 2000:21)

ამდენად, ბუნებრივია, ამ საკითხების შესწავლის მნიშვნელობა უნდა შეფასდეს როგორც კონკრეტული ენის კვლევის თვალსაზრისით, ისე ენათა შედარებითი კვლევის კონტექსტშიც.

მოძრაობა, როგორც ჩანს, უნივერსალური კონცეპტია, რომელიც ყველა ენაშია წარმოდგენილი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ენები განსხვავდებიან მისი ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით. ეს განსხვავება იმდენად არსებითია, რომ ენათა კლასიფიკაციის საფუძვლადაც კი არის მიჩნეული. ლ. ტალმი განარჩევს ენათა ორ განსხვავებულ ტიპს, კერძოდ, ენებს, რომლებიც მოძრაობის მიმართულების გამოსახატავად იყენებენ დამხმარე საშუალებებს - წინდებულებს, ზმნისწინებს და სხვ. (ე.წ. სატელიტური სტრუქტურის მქონე ენები) და ენებს, რომლებიც, როგორც წესი, მიმართულებას გამოხატავენ ძირითადად ზმნური ძირების საშუალებით (ე.წ. ზმნური სტრუქტურის მქონე ენები) [Talmy, 2000:102].

დღეისათვის ამ კლასიფიკაციას ასეთი სახე აქვს:

სატელიტური სტრუქტურის მქონე ენები: გერმანიკული (დანიური, ჰოლანდიური, ინგლისური, გერმანული, ისლანდიური, შვედური, იდიში); სლავური (ჩეხური, პოლონური, რუსული, სერბულ-ხორვატული, უკრაინული); ფინურ-უნგრული: (ფინური, უნგრული); ჩინური (მანდარინი).

ზმნური სტრუქტურის მქონე ენები: რომანული (კატალონიური, ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური, ესპანური); სემიტური (მაროკოული არაბული, ებრაული); თურქული; ბასკური; იაპონური; კორეული [Cifuentes-Ferez, 2009:29].

ამ კლასიფიკაციით ენათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ქართული –სატელიტური სტრუქტურის მქონე ენებს თუ ზმნური სტრუქტურის მქონეთ? აშკარაა, რომ მოძრაობის მიმართულება ქართულში მხოლოდ ზმნისწინის მეშვეობით გადმოიცემა და ზმნური ძირი ამ მხრივ ნეიტრალურია. მაგ., (მი)დის ზმნის ძირი მიმართულებას არ გამოხატავს და მხოლოდ ზმნისწინების დართვის შედეგად მიუთითებს მოძრაობის ამა თუ იმ მიმართულებაზე. უნდა აღინიშნოს, ეს ზმნა არა მხოლოდ მიმართულების თვალსაზრისით არის ნეიტრალური, არამედ იგი გადაადგილების აღმნიშვნელ ერთგვარ უნივერსალურ საშუალებადაც გვევლინება ქართულში. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს გადაადგილების კონკრეტულ სახეობას – ნაბიჯების გადადგმით მოძრაობას, ადგილის გადანაცვლებას (ადამიანისა, ცხოველისა), მაგრამ ამ ზმნით შეიძლება მოძრაობის თითქმის ყველა სახეობა გამოიხატოს: ტრანსპორტით გადაადგილება – *მატარებლით მიდის, გემით მიდის,* შესაძლოა *თვითმფრინავით მიდის*. ჩვენ ვამბობთ: *ამერიკაში მიდის* და არა *მიფრინავს*; ენაცვლება ზმნას *დინება: წყალი, მდინარე მიდის; ნისლი ადის, წვიმა და თოვლი მოდის*; გარდა ამისა, გამოიყენება ისეთ კონტექსტებში, როგორებიცაა: *დრო მიდის, წერილი მოვიდა* და სხვ. ზმნა *(მი)დის* მრავალმხრივაა საყურადღებო და საგანგებო შესწავლას საჭიროებს, ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდოდა, რომ როგორც ზმნა (მი)დის, ისე სხვა ზმნური ძირები მიმართულებას არ გამოხატავს და ამ თვალსაზრისით ქართული სატელიტური სტრუქტურის მქონე ენებს უნდა მივაკუთვნოთ.

ქართულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი ზმნისწინთა ფუნქციები და, ამდენად, მოძრაობის ენობრივი რეალიზაციის თავისებურებანი [აკ. შანიძე, ი. ვეშაპიძე, ა. მარტიროსოვი, არნ. ჩიქობავა, ა. კიზირია, ზ. ჭუმბურიძე, ა. ფოცხიშვილი და სხვ.].

მოძრაობის ზმნათა სემანტიკური ანალიზის პირველი ცდა ეკუთვნის ლ. თამარაშვილს. მისი ნაშრომი „გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ქართულ სიტყვათა ლექსიკონის აღწერა“ 1975 წელს გამოქვეყნდა მართვის სისტემის ინსტიტუტის შრომებში (XIII–3) [თამარაშვილი, 1975]. ამ ნაშრომში მოძრაობის ზმნები აღწერილია სემანტიკური მამრავლების მეთოდის გამოყენებით. ეს გახლდათ იმ დროისათვის სემანტიკის ფორმალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მეთოდი და ენის მანქანური დამუშავების მიზანს ემსახურებოდა. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

სვლა

1. გადაადგილება

2. მყარ ზედაპირზე

3. რითიმე (ფეხი, თვალი, ბორბალი)

4. პერიოდულად

რბენა

1. გადაადგილება

2. მყარ ზედაპირზე

3. ფეხებით

4. ორივე ფეხი ერთდროულად ზედაპირსაა მოცილებული

5. პერიოდულად

ხოხვა

1. გადაადგილება

2. მყარ ზედაპირზე

3. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში

ცურვა

1. გადაადგილება

2. წყალში

როგორც ნიმუშებიდანაც ჩანს, სტატიაში მოძრაობის ზმნათა სემანტიკის ფორმალიზაციის საინტერესო ცდაა მოცემული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ლ. თამარაშვილისა და მართვის სისტემების ინსტიტუტში მომუშავე მკვლევართა ჯგუფის მიერ ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოები არის ჩატარებული ამ მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მასალები, რომლებიც ქართული ენის განმარტებით–კომბინატორული ლექსიკონის ფარგლებში შეიქმნა.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ რ. ქურდაძის სტატიაზე „მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“. აღსანიშნავია, რომ რ. ქურდაძე მოძრაობის ზმნებში ცალკე გამოყოფს გადაადგილების სემანტიკის

ზმნებს. სტატიაში მოხმობილია ძალზე საყურადღებო მასალა ქართული ენის დიალექტებიდან და მოცემულია მახასიათებლები აღნიშნულ ზმნათა კლასიფიკაციისათვის. კერძოდ, რამაზ ქურდაძე გამოყოფს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა შემდეგ ჯგუფებს:

„1. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მიმართულების ჩვენებით;

2. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრაობის მანერის ჩენებით;

3. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მოძრავი საგნისადმი გარკვეული

დამოკიდებულების გამოვლენით;

4. მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები სავალი (სამოძრაო) ადგილის ზედაპირის

გათვალისწინებით“ [ქურდაძე, 2011:30–31].

ქართველურ ენებში, კერძოდ, მეგრულში მოძრაობის ზმნათა სემანტიკური ანალიზის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს ბ. ქობალავას შრომები, რომლებიც მეგრულში ზმნისწინის დანიშნულებასა და თავისებურებებს შეეხება [ქობალავა, 2002 A; ქობალავა, 2002 B].

ვფიქრობთ, აუცილებელია ამგვარი კვლევის შემდგომი გააქტიურება და ქართულში და სხვა ქართველურ ენებში მოძრაობის ზმნათა სრულყოფილი აღწერა და კლასიფიკაცია.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა მოძრაობის, კერძოდ, გადაადგილების ზმნათა კლასიფიკაცია კოგნიტიური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ტალმის შრომებზე დაყრდნობით გამოყოფილია შემდეგი სემანტიკური კატეგორიები:

ფიგურა: მოძრავი ობიექტი.

• ინდივიდუალური თუ ჯგუფური.

• ტიპი: ადამიანი, ცხოველი, ფრინველი და ა.შ.

• პოზა: პოზის ცვლილება მიმართულების დაწყების ან დასრულების დროს.

ფონი: რომელზედაც ფიგურა გადაადგილდება.

• წყარო: საწყისი მდებარეობა.

• მიზანი: ფინალური მდებარეობა.

• მიჯნა: მდებარეობა მიმართულების გასწვრივ.

• დაბრკოლების გადალახვა.

• გარემო, ნიადაგი: მდელო, მდინარე.

• არამყარი გარემო: ჰაერი, ნისლი, შტორმი/ქარბუქი, წყვდიადი და მისთ.

გზა (**path**): ფიგურის ტრაექტორია.

• მოძრაობის მიმართულება: წინ, ზევით.

• დეიქსისი: მიმართულება მთქმელის პოზიციიდან ამოსვლით.

• კონტური: წრიული გზა, ზიგზაგი და მისთ.

მანერა: ხერხი, მანერა, რომლითაც სრულდება მოძრაობა.

• გადაადგილების სახეობა, რომლითაც სრულდება გადაადგილება (სიარული,

სირბილი, ხტომა, ცურვა, ფრენა)

• სიმძლავრე

• სიჩქარის ხარისხი

• გადაადგილების საშუალება: ცხოველით, ავტომობილით, თვითმფრინავით

მიზეზი: რა იწვევს მოძრაობას.

ამათგან გვინდა გამოვყოთ კატეგორიები: გზა და მანერა. ტერმინისათვის - **path** - რ. ქურდაძე ირჩევს ტერმინს გეზი, რომელიც დაამკვიდრა აკ. შანიძემ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში [შანიძე, 1980:248–260], მაგრამ, რადგან **path**მოიცავს როგორც გეზს, ასევე ორიენტაციას, ვფიქრობთ, ტერმინი **გზა** უფრო შეესაბამება იმ სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც ტერმინით **path** აღინიშნება.

ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ მოძრაობის მანერის გამომხატველი ზმნებზე. სანამ უშუალოდ განსახილველ საკითხს შევეხებოდეთ, უნდა დავიწყოთ იმით, რომ მოძრაობა ფართოდ განიხილება და იგი შედგება საკუთრივ მოძრაობისაგან, როდესაც სუბიექტი მოძრაობს ერთ ადგილზე, ისე, რომ არ გადაადგილდება და მოძრაობისაგან, როდესაც სუბიექტი მოძრაობისას ადგილს იცვლის, გადაადგილდება. ზემოთქმული მახასიათებლები შეეხება როგორც სატელიტური სტრუქტურის მქონე, ისე ზმნური სტრუქტურის მქონე ენებს.

მთავარი პრობლემა, რომელიც მოძრაობის მანერის აღმნიშვნელ ზმნათა ანალიზისას ჩნდება არის ის, რომ მანერის კატეგორია ძალიან ზოგადია. იგი მოიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას: მოძრაობის ტემპს, ემოციურ მდგომარეობას, ძირითად მამოძრავებელ უნარებს (სიარული, სირბილი, ხტომა და ა.შ.), ტრანსპორტირების, კონტაქტის სახეობას და ა.შ. გარდა ამისა, ერთ ზმნაში შესაძლოა ჩადებული იყოს მანერულობის დანაწევრებული სახეობის სხვადასხვა დეტალი. მიუხედავად ზოგადი ტენდენციების არსებობისა, ყოველი ენობრივი სისტემა მოძრაობის მანერის გამომხატვის, შეიძლება ითქვას, უნიკალურ სურათს იძლევა.

მოძრაობის მანერის გამოხატვისას ქართული მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტის სივრცულ ლოკალიზებას: გადაადგილებისას ა. ვერტიკალურ მდგომარეობაშია იგი თუ ბ. –

ჰორიზონტალურში; ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილებისას განარჩევს შემდეგ ძირითად მოდელებს: ა.1. სიარული; ა.2. სირბილი; ა.3. ხტომა.

თითოეულში, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიყოს სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტი:

ა.1. სიარული;

ა1.1. გადაადგილების ტემპი

ა.1.1.ა. ჩქარი – *მიკუნკულებს, მიცუხცუხებს.*[1]

ა.1.1.ბ. ნელი – *მიღოღავს, მიღოღიალებს.*

ა.1.2. ნაბიჯების სიდიდე

ა.1.2. ა) დიდი ნაბიჯებით გადაადგილება – *მიალაჯებს, მიაბოტებს.*

ა.1.2. ბ) მოკლე ნაბიჯებით გადაადგილება – *მიცუნცულებს, მიცუხცუხებს.*

ა.1.3. ენერგიულობის ხარისხი – *მიბანდალებს, მილასლასებს, მიიზლაზნება, მიჩანჩალებს; მიჩოჩავს.*

ა.1.4. უმიზნო მოძრაობა – *მიჩერჩეტებს, დაბოდიალობს,*[2] *დაბორიალობს, დაყიალობს, დაეხეტება, დატანტალებს, დატუნტულებს, დაწანწალებს, დაწოწიალობს.*

ა.1.5. სიამოვნების მიღებით გადაადგილება – *მისეირნობს.*

ა.1.6. გლუვ ზედაპირზე გადაადგილება – *მისრიალებს.*

ა.1.7. წონასწორობის დარღვევა – *მიბარბაცებს.*

ა.1.8. ფეხის სპეციფიკური მოძრაობით გადაადგილება – *მიჩლატუნებს, მიფრატუნებს*

კოჭლის სიარული – *დაჩლახუნობს.*

ა.1.9. მოძრაობა ხმის გამოცემა თანხლებით – *მიბაკუნებს, მიიმღერის, მირახრახებს.*

ა.2. სირბილი

ა.2.1 გადაადგილების ტემპი

ა.2.1.ა. ნელი – *მიჯანჯალებს, მიცუნცულებს, მიძუნძულებს.*

ა.3. ხტუნვა

ბ.1. მთელი ტანით გადაადგილება ხმელეთზე – მიბობღავს, მიფოფხავს, მიღოღავს, მიფორთხავს, მიცოცავს.

ქართული, ბუნებრივია, განარჩევს ერთმანეთისაგან მყარ ნიადაგზე, ჰაერსა და წყალში გადაადგილებას და ეს ზმნები ასევე იყოფა მოძრაობის ტემპის, ენერგიულობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ერთი ზმნის სემანტიკა შეიძლება რამდენიმე ელემენტს აერთიანებდეს, მაგ., გზა+მანერა; გზა+მანერა+ფიგურა და მისთ.[3] როგორც მართებულად შენიშნავს რ. ქურდაძე, ქართულში ზმნათა უმრავლესობა *„მხოლოდ ზმნისწინების (ამ შემთხვევაში მი-, მო-, გა- ზმნისწინების) დართვით ღებულობს გადაადგილების სემანტიკას“* [ქურდაძე, 2011:31]. ამდენად, გადაადგილების მანერის სემანტიკის მქონე ზმნათა წარმოების ეს ყალიბი ძალზე პროდუქტიულია და პოტენციურად ახალი სემანტიკური მახასიათებლების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა.

მოძრაობის ზმნათა სემანტიკური მახასიათებლების გამოყოფის საფუძველზე უნდა მოხდეს ამ ზმნათა აღწერა და გაერთიანება მოძრაობის ზმნათა ლექსიკონში. ამგვარი ლექსიკონები არსებობს არაერთი ენისათვის და ისინი გაერთიანებულია ზმნურ მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში.[4] ლექსიკონში ზმნებს ახლავს შემდეგი მონაცემები:

საკუთრივ მოძრაობას გამოხატავს თუ გადაადგილებას;

რომელი სემანტიკური კომპონენტი ახასიათებს – გზა, მანერა თუ ორივეს კომბინაცია;

მითითებულია გზისა თუ მანერის სემანტიკის დეტალები, კონკრეტული სახეობა;

მოცემულია განმარტებები ლექსიკონებიდან წყაროების ჩვენებით.

ამ პრინციპით შედგენილი ზმნური ელექტრონული ლექსიკონი იძლევა სტატისტიკური კვლევის საშუალებას როგორც ერთი ენის მონაცემების მიხედვით, ისე ენათა შედარების გზით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს: როგორც კვლევამ აჩვენა, ინგლისურში მოძრაობის მანერას აღნიშნავს 276 ზმნა, ამათგან *ხტომის* სემანტიკის არის 11, რაც მანერულ ზმნათა 3.99% შეადგენს. ესპანურში მოძრაობის მანერის აღმნიშვნელი ზმნები ბევრად ნაკლებია – 123[5], ამ ზმნათაგან 3 აღნიშნავს *ხტომას,* რაც ესპანურ მანერულ ზმნათა 2.44% შეადგენს [Cifuentes-Ferez, 2009:151]. ამგვარად შესაძლებელია სტატისტიკური ანალიზი ნებისმიერი მახასიათებლის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ელექტრონული ლექსიკონების შედგენის დროს ზმნათა სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი ეფუძნება ტექსტურ მონაცემთა ბაზებს, ენის კორპუსებს, რადგან ლექსიკონებში სწორედ ამგვარი ლექსიკის განმარტებები საჭიროებს დაზუსტებას. მაგ. **ბობღავს** – *ხელების მოშველიებით, ოთხით დადის.* **ფოფხავს** –*ხელ-ფეხის შემწეობით, ოთხით მოძრაობს, დადის* [ქეგლ]. ამგვარი ვითარებაა ყველა ენის განმარტებით ლექსიკონებში, რადგან ლექსიკონის წიგნური ფორმატი არ იძლევა ყოველი ნიუანსის ფიქსირების საშუალებას. იმედია, მალე შესაძლებელი გახდება ამგვარი მონაცემთა ბაზების შექმნა და ქართული ენის სრულფასოვანი კვლევისათვის მათი გამოყენება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების შესწავლას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დანიშნულება. მოძრაობის ზმნათა ელექტრონული ლექსიკონის შექმნა

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული ენის ფუნდამენტური კვლევის თვალსაზრისით, არამედ ენის სწავლებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

1 ზოგიერთი ზმნის მნიშვნელობა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და, შესაბამისად, შესაძლოა ერთი ზმნა სხვადასხვა ჯგუფში გაერთიანდეს, მაგ.: *მიცუხცუხებს*– ჩქარი ტემპით გადაადგილდება; *მიცუხცუხებს* - მოკლე ნაბიჯებით გადაადგილდება.

2 ამ სემანტიკის ზმნებთან უფრო ბუნებრივია **და** ზმნისწინის გამოყენება.

3 საყურადღებოა რ. ქურდაძის შენიშვნა, რომ ქართულში გარჩეული უნდა ყოფილიყო გადაადგილების ზმნები ე.წ. ფიგურის მიხედვით, კერძოდ, ცხოველთა და ფრინველთა გადაადგილების აღნიშვნა სპეციალური ზმნებით [ქურდაძე,2011:30].

4 Online verb databases: ADRESSE, FrameNet, WordNet.

5 ესპანური მოძრაობის მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით ზმნური სტრუქტურის მქონე ენებს მიეკუთვნება და ეს განსხვავება ამითაც არის განპირობებული.

ლიტერატურა

1. თამარაშვილი ლ. 1975 გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ქართულ სიტყვათა ლექსიკონის აღწერა // მართვის სისტემის ინსტიტუტის შრომები (XIII–3). ქეგლ, 1975
2. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი / პროფ., არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ, I-VIII.,1950 – 1964
3. ქობალავა ი. ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4., 2002
4. ქობალავა ი.ზმნისწინთა სემანტიკური კლასიფიკაციისათვის მეგრულში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 63-ე სამეცნიერო სესია (მასალები), 2002
5. ქურდაძე რ. მოძრაობის (გადაადგილების) აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკისათვის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, თანამედროვე ქართული ენის სოციალურ–კულტურული ასპექტები., 2011
6. შანიძე ა. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ., III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1980
7. Cifuentes-Férez P. A . Cosslinguistic Stady on Semantics of Motion Verbs in English and Spanish. Online ... Online verb databases: ADRESSE, FrameNet, WordNet.,2009
8. Talmy L. Toward a Cognitive Semantics. - Cambridge, MA: MIT Press, 2000

ქრისტინე შავლაყაძე

ქიოსის სავაჭრო აქტივობები ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორიაზე ანტიკურ ეპოქაში (სატრანსპორტო ამფორებზე დამყარებული გამოკვლევა)

უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ, რაც არქეოლოგიის მეცნიერება უფრო და უფრო დაუახლოვდა ინტერდისციპლინარულ სფეროს და მისი მეთოდების აქტიური გამოყენება დაიწყო, გამოიკვეთა ამფორების კომპლექსური შესწავლის მრავალი შესაძლებლობა, რომლებიც, ერთი მხრივ, საინტერესოა როგორც თიხის ჭურჭლის ერთი ცალკეული კატეგორია და, მეორე მხრივ, გვაწვდიან ინფორმაციას იმ ცენტრის ეკონომიკური აქტივობების შესახებ, სადაც ისინი აღმოჩნდა და იმ ცენტრის სავაჭრო საქმიანობაზე, რომლის პროდუქციასაც ეკუთვნიან.

ამფორებს მრავალი, როგორც პირველადი, ასევე მეორეული დანიშნულება ჰქონდა ანტიკურ ეპოქაში. გარდა იმისა, რომ ისინი გამოიყენებოდა ისეთი პროდუქტების ახლო და შორ მანძილებზე გემით ტრანსპორტირებისათვის, როგორებიცაა: ღვინო, ზეითუნის ზეთი, ზეთისხილი, დამარილებული თევზი, ფინიკი, ნავთობი და სხვ; ამფორებს იყენებდნენ სამარხებად, სამარხეულ ინვენტარად, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემების გასამართავად, სამეურნეო ჭურჭლად და სხვ [Grace, 1961: 9-12; Grace, 1949: 175-189; Whitbread, 1995: 15-29].

ქიოსი მდებარეობს ეგეოსის ზღვაში; მცირე აზიის სანაპიროდან შვიდი კმ-ის დაშორებით, იგი სიდიდით მეხუთეა საბერძნეთის კუნძულებს შორის. ანტიკურ ეპოქაში იგი წარმოადგენდა იონიური ლიგის ერთ-ერთ წევრს.

ქიოსმა, რომელზეც მიკენური ეპოქიდან სამოსახლოს არსებობა არ შეწყვეტილა ძვ.წ. VIII საუკუნეში დიდ დაწინაურებას მიაღწია. კუნძული ქიოსი მდებარეობდა თრაკიიდან ეგვიპტეში მიმავალი გზის შუა მონაკვეთზე, რაც განაპირობებდა კუნძულის მუდმივად სავაჭრო-სატრანსპორტო აქტივობების ცენტრში ყოფნას. გარდა ამისა, იგი იყო ერთ-ერთი შესაჩერებელი პუნქტი ალ-მინადან (ჩრდილოეთი სირია) პითეკუზასაკენ (სამხრეთ იტალია) მიმავალი ხომალდებისათვის; ყოველივე ამან განაპირობა ქიოსის აქტიური ჩაბმა სავაჭრო პროცესებში და ეს თავდაპირველად მოხატული კერამიკის, ხოლო შემდეგ სატრანსპორტო ამფორების მრავალრიცხოვანი წარმოებით აღინიშნა [Boardman, 1967: 6; Sarikakis, 1986: 121; Cook, 1962].

წარმოდგენილი გამოკვლევა დაფუძნებულია სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშზე.

სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე ამფორების ზუსტი რაოდენობის მითითება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან უმეტეს შემთხვევაში ამფორები ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი და იმის დათვლა, თუ ეს ფრაგმენტები რამდენ ამფორას ეკუთვნის, თითქმის შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევებში ვუთითებთ რაოდენობას, როცა ა) მთლიანი ამფორაა აღმოჩენილი, ბ) ამფორის დიაგნოსტიკური ნაწილია აღმოჩენილი; გ) დამღაა აღმოჩენილი[1]. თუმცა, პროფილირებულმა ფრაგმენტებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. მაგალითად, აღმოჩენილი პირების, ძირებისა და ყურების შემთხვევაში მცდარი იქნება ამ

ინფორმაციის დაჯამება და საერთო რაოდენობის მითითება. ასეთ შემთხვევაში ვითვლით მხოლოდ ძირების რაოდენობას, რადგან ერთ ამფორას შეიძლება მხოლოდ ერთი ძირი ჰქონდეს, ასე რომ, ძირის აღმოჩენის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მინიშნება ნამდვილად ერთ ამფორაზე. შევეცადეთ ყველა ინფორმაციის შეკრებას სტატისტიკის დადგენისთვის.

ქიოსური ამფორების წარმოება მიმდინარეობდა ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I საუკუნემდე.

ბერძნული კოლონიზაცია სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარად განხორციელდა. ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქებში დაფიქსირებული სიტუაცია განსაკუთრებულია. ამ მიწის ბერძნების მიერ ათვისების საწყისი პერიოდიდანვე ქიოსელები იყვნენ პირველ მცხოვრებლებს შორის, რომელთაც დააარსეს ძლიერი ქიოსური გაერთიანება, რომელიც შედგებოდა ვაჭრებისა და ხელოსნებისგან. გეოგრაფიულად ეს არეალი გულისხმობს ძეგლებს ეგვიპტისა და ლიბიის ტერიტორიაზე.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, სადაც ქიოსის მოქმედებები შესანიშნავად წარმოჩნდა არის ნავკრატისი.

ქალაქი ნავკრატისი მდებარეობს მდ. ნილოსის კანოპიური განშტოების აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ალექსანდრიიდან 50 მილის დაშორებით. იგი იყო ერთადერთი პორტი, რომელიც დიდი ზომის გემებს იტევდა. ქალაქის გათხრების შედეგად მის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც უნდა აშენებულიყო ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს და აფროდიტეს ბერძნული ტაძარი, რომელიც სხვადასხვა ბერძნული ერთეულის ერთობლივი ძალებით იქნა აგებული. აფროდიტეს ტაძრისადმი მიძღვნილ ატიკურსა და კორინთულთან ერთად ქიოსური ვაზებიც გვხვდება. ისინი თარიღდება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით. ამ დრომდე არ არის არავითარი მინიშნება აქ ბერძნული სამოსახლოს არსებობის შესახებ, თუმცაღა ცხადია, რომ ძვ.წ. VII საუკუნის შუა ხანებისთვის ბერძნები უკვე კარგად იცნობდნენ ეგვიპტურ ნაწარმს [Boardman, 1980: 117; Boardman, 1994: 137-147].

ჩვენი პირველი წყარო ბერძნების შესახებ ეგვიპტეში არის ჰეროდოტე. იგი გადმოგვცემს ეგვიპტეში მიმავალი სამოსელი ვაჭრის კოლაიოსის შესახებ, რომელსაც გზა აერია დასავლეთისკენ. ჰეროდოტესგან ვიგებთ, რომ ეს გასაოცარი მოგზაურობა განხორციელდა ძვ.წ. 638 წელს. ასე რომ, ამ ცნობის მიხედვით ჩვენ გვაქვს მითითება აღმოსავლელი ბერძნების, სულ მცირე, შემთხვევით სავაჭრო ვიზიტზე ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი იმ პრივილეგიებიდან, რომლებიც მეფე ამასისმა მიანიჭა ბერძნებს ტახტზე ასვლის შემდეგ დაფიქსირებულია ჰეროდოტესთან (I, 30; II, 16, 169) და ეხება ნავკრატისს: მან მათ ნავკრატისი მისცა სავაჭრო პუნქტად, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო დასახლება. მან, აგრეთვე, მიწებით დაასაჩუქრა ის ბერძენი მოვაჭრეები, რომელთაც არ სურდათ მუდმივად ნავკრატისში ცხოვრება. მოვაჭრეებმა ააშენეს საკურთხევლები, რომელთაგან საუკეთესოდ მიიჩნეოდა და ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ჰელენიონი. იგი აშენებულ იქნა ერთობლივი ძალებით ქიოსელი, თეოსელი, ფოკეელი, კლაზომენელი იონიელების, როდოსელი, კნიდელი, ჰალიკარნასელი და ფასელისის დორიელებისა და მიტილენელი ეოლიელების მიერ. ამ

ერთეულებს ეკუთვნოდათ საკურთხეველი და უფლება ჰქონდათ დაენიშნათ ოფიცრები პორტის სამსახურში (ნავკრატისი იყო ეგვიპტის ერთადერთი პორტი).

ბერძნების ვაჭრობით დაინტერესება ნავკრატისში პირველ რიგში გულისხმობს მარცვლეულით ვაჭრობას, თუმცა გადასატანი საქონლის სიაში იყო, აგრეთვე, პაპირუსი და ტილოც.

მარცვლეულს, სავარაუდოდ, სხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ, მაგალითად, ზეითუნის ზეთზე, რაც დადასტურებულია ათენური და სამოსური კერამიკის აღმოჩენით, რომლითაც ზეითუნის ზეთი გადაჰქონდათ. გაცვლისათვის, უდავოდ, ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს წარმოადგენდა ღვინო, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის ქიოსური ამფორებით შემოჰქონდათ. გარდა აღნიშნული პროდუქტებისა, ბერძნებს ნავკრატისში შემოჰქონდათ ლითონი, რადგან თვითონ ქალაქს არ გააჩნდა საკუთარი მონეტა და დაინტერესებული იყვნენ ძვირფასი ლითონით.

ნავკრატისი არაფრით ჰგავდა იმ ქალაქებს, რომლებიც ბერძნებმა დააარსეს იტალიასა და სიცილიაში. ნავკრატისში არსებული სიტუაცია, არსებითად, განსხვავდებოდა იმ რეალობისგან, რომელსაც ბერძნები შეეჯახნენ სხვაგან. იგი არ იყო კოლონია, არც უბრალოდ სავაჭრო პოსტი, როგორც ალ მინა. ნავკრატისი იზიდავდა აღმოსავლეთ საბერძნეთის სწრაფი გამდიდრების სურვილის მქონე ვაჭრებს და მათ ეგინეტანელ კოლეგებს, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ცენტრალურ საბერძნეთთან. იგი იზიდავდა პოეტებს, ისტორიკოსებს, ხელოსნებს და საფრთხის შემთხვევაში წარმოადგენდა თავშესაფარს აღმოსავლეთ ბერძენი ვაჭრებისათვის, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი საქმე აქ გაეგრძელებინათ [Boardman, 1980: 117; Boardman, 1994: 137-147].

ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი ეგვიპტიდან საბერძნეთისკენ მიჰყვებოდა პალესტინის, ფინიკიის და მცირე აზიის სანაპიროებს. ეგვიპტური საქონელი, რომელიც აღწევდა საბერძნეთამდე, უმეტეს შემთხვევაში გადაიტანებოდა აღმოსავლელი მოვაჭრეების მიერ. ამ საქონლის ნაწილმა შესაძლოა საბერძნეთამდე მიაღწია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გავლით, მაგრამ აშკარაა, რომ საქონლის გარკვეული ნაწილი პირდაპირ ეგვიპტიდან მოდიოდა [Villing, Schlotzhauer, 2006].

ნავკრატისის ამფორული მასალა წარმოადგენს ფორმების დიდ მრავალფეროვნებას, რომელშიც სჭარბობს ქიოსური, როდოსული, კოსის და კნიდის ნიმუშები. ამათგან ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია კოსის პროდუქცია, თუმცაღა არცერთი კოსის დამღა არ დაფიქსირებულა გათხრების დროს. კოსის ფრაგმენტების დომინანტურობამ არ უნდა გამოიწვიოს გაკვირვება, რადგან ანტიკურ ეპოქაში კოსის ღვინო შედარებით იაფი ღირდა და დიდი რაოდენობით იყიდებოდა. ქიოსური ღვინო, ალბათ, ყველაზე სახელგანთქმული იყო ბერძნულ ღვინოებს შორის და ამით აიხსნება ქიოსური სერიების აქ არსებობა, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. V-I საუკუნეებით.

როდოსის აქტივობა განსაკუთრებით შესამჩნევია ძვ.წ. III-I სს.-ში და ამ ცენტრის დამღები ძეგლზე გამოვლენილი დამღების საერთო რაოდენობის 50%-ს შეადგენს. ეს პერიოდი ემთხვევა როდოსის განსაკუთრებული ექსპანსიის ხანას. ძვ.წ. I ს-დან როდოსული დამღები მცირდება, ამასთან ამავე პერიოდში მიმდინარეობს სხვა ცენტრების რეგრესიც. ეს, როგორც ჩანს, უნდა

ყოფილიყო ეგეოსის რეგიონში რომის ინტერვენციის შედეგი. ერთობლივი გრეკო-იტალიკური ფორმები გამოჩენას იწყებს ძვ.წ. III ს-დან და უფრო მოგვიანებით ერწყმის რომაულ ფორმებს ძვ.წ. I საუკუნეში.

საკმაოდ დიდი რაოდენობით ამფორების აღმოჩენები ნავკრატისში მიუთითებს, რომ ქალაქი, როგორც სავაჭრო ცენტრი, აქტიური დარჩა ალექსანდრიის დაარსების შემდეგაც და წარმოადგენდა პტოლემაიოსების დინასტიის ადმინისტრაციულ ცენტრს ნაყოფიერ დასავლეთ დელტაში.

შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი სამოსისა და თასოსის ცენტრები. მენდესა და ატიკის ნაწარმი, რომელიც ძვ.წ. V ს-ით თარიღდება, სავარაუდოდ, მიუთითებს ათენის ადრეულ ინტერესზე დელტაში.

ამფორების ძირების მიხედვით საერთო ჯამში გამოვლინდა, სულ მცირე, 99 ამფორის ფრაგმენტები, ამათგან: 22 (22,2%) - ქიოსურია (2 - ძვ.წ. ძვ.წ. V ს., 1 - ძვ.წ. IV ს., 12 - ძვ.წ. III ს., 6 - ძვ.წ. II ს., 1 - ძვ.წ. I ს.); 14 (14,14%) - კოსი (1 - ძვ.წ. IV ს., 3 - ძვ.წ. III ს., 5 - ძვ.წ. II ს., 3 - ძვ.წ. I ს., 2 - ძვ.წ. I ს. - ახ.წ. I ს.); 14 (14,14%) - მენდე (3 - ძვ.წ. V-ის დასაწყისი, 6 - ძვ.წ. V ს., 5 - ძვ.წ. V-ის ბოლო - ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი); 12 (12,12%) - როდოსი (3 - ძვ.წ. IV-III სს., 5 - ძვ.წ. III ს., 2 - ძვ.წ. II ს., 2 - ძვ.წ. I ს.);10 (10,1%) - კნიდი (1 - ძვ.წ. IV ს., 3 - ძვ.წ. III ს., 2 - ძვ.წ. II ს., 4 - ძვ.წ. I ს.); 8 (8,08%) - რომაული (4 - ძვ.წ. II ს., 4 - ძვ.წ. I ს.); 7 (7,07%) - ატიკა (ძვ.წ. V-ის ბოლო - ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი); 6 (6,06%) - სამოსი (1 - ძვ.წ. VI-ის ბოლო - ძვ.წ. V-ის დასაწყისი, 3 - ძვ.წ. V ს., 2 - ძვ.წ. IV ს.); 3 (3,03%) - ნიკანდროსის ჯგუფი (2 - ძვ.წ. III ს., 1 - ძვ.წ. II ს.); 1 (1,01%) - კორინთული A (ძვ.წ. V-ის დასაწყისი); 1 (1,01%) - კორინთული B (ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი); 1 (1,01%) - გრეკო-იტალიკური (ძვ.წ. III-II სს.) [Coulson, 1996: 45-64].

ნავკრატისში 1978/9-1983 წლებში ჩატარებული დაზვერვებისა და გათხრების შედეგად აღმოჩნდა 29 დამღიანი ამფორის ყური და ერთი დამღიანი პირის ფრაგმენტი. ეს 30 დამღა არის მხოლოდ და მხოლოდ მცირე პროცენტი იმ მთლიანი მაჩვენებლისა, რომელიც Petrie-მ აღმოაჩინა 1884 წლის გათხრების დროს (1,200 დამღა). მან მაშინ არ გამოაქვეყნდა ეს დამღები და ისინი გადანაწილდა რამდენიმე ინსტიტუციაში, უფრო მეტი ბრიტანეთის მუზეუმში, სადაც რამდენიმე ასეული დამღაა დაცული. 13 დამღიანი ყური მოხვდა აშმოლის მუზეუმში.

საერთო ჯამში 43 დამღა (აშმოლის მუზეუმის ნიმუშების ჩათვლით) მიეკუთვნება ეგეოსური რეგიონიდან ოთხ ამფორების მაწარმოებელ ცენტრს: როდოსი, კნიდი, თასოსი და ქიოსი. მათი თარიღები მერყეობს ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან ძვ.წ. I ს-მდე პერიოდში. 43 დამღიდან 22 (51,1%) - როდოსულია, 3 (6,97%) - თასოსი (ძვ.წ. 330-260), 2 (4,65%) - კნიდი, 1 (2,32%) - ქიოსი, 1 (2,32%) - რომაული (ძვ.წ. I ს.), 4 (9,3%) - მიეკუთვნება ძვ.წ. IV-III სს.-ს. 10 (23,2%) - დაუდგენელი ცენტრი;

იმპორტული დამღიანი ამფორების ყურების დიდი რიცხვი მიგვანიშნებს ეგეოსის რეგიონსა და ეგვიპტეს შორის მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირის არსებობაზე ელინისტურ ხანაში. გამოვლენილი დამღების უმეტესობა თარიღდება ძვ.წ. 250-150 წლებით. ისინი ინტენსიური როდოსული ექსპორტის პერიოდი [Rehard, 1996: 147-161].

მომდევნო ძეგლი ეგვიპტეში, სადაც, ასევე დაფიქსირებულია ქიოსური ამფორების იმპორტი არის *ტელ-ატრიბი*. იგიმდებარეობს კაიროს ჩრდილოეთით, თანამედროვე ქალაქ ბაჰნას ჩრდილო-აღმოსავლეთით. 11 სავლე სეზონის განმავლობაში შეგროვილი დამღები შეადგენს 265 ერთეულს. უმეტესი დამღები მომდინარეობენ ისეთი ფენებიდან, რომლებიც კარგადაა დათარიღებული მონეტებისა და კერამიკის მიხედვით.

265 დამღიდან 129 (48,67%) არის როდოსული (8 - ძვ.წ. 330-240 წწ., 30 - ძვ.წ. 240-210 წწ., 57 - ძვ.წ. 210-175 წწ., 4 - ძვ.წ. 175-146 წწ., 14 - ძვ.წ. 146-100 წწ., 7 - ძვ.წ. 100-80 წწ., 9 დამღის თარიღი უცნობია); 53 (20%) - იტალიკური (49 - ძვ.წ. II-I სს., 4 - ძვ.წ. 202-149 წწ.); 41 (15,47%) - კნიდი (24 - ძვ.წ. 146-108 წწ; 17 - ძვ.წ. III-I სს.); 8 (3,01%) - ეგვიპტური (ძვ.წ. III-II სს.); 6 (2,26%) - პამფილია და ესპანეთი (ძვ.წ. I ს.); 5 (1,88%) - კოსი (ძვ.წ. II-I სს.); 1 (0,37%) - ქიოსი (ძვ.წ. II ს.). 20 დამღის წარმომავლობა უცნობია [SztetyŁło, 2000: 53-61].

ალექსანდრიას დაარსებას, როგორც ჩანს, დიდად არ უმოქმედია ვაჭრობის ინტენსივობაზე ნავკრატისში. ქალაქი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრიდან გადაკეთდა ადმინისტრაციულ ცენტრად დასავლეთ დელტაზე და მისი ელინური მოსახლეობა ახალ სასოფლო-სამეურნეო პროგრამაში ჩაერთო, რომელიც პტოლემაიოსების ზეობის დროს დაიწყო. რადგანაც ნავკრატისი უკვე ელინების საყრდენი იყო, ბუნებრივი იქნებოდა ქალაქისთვის, რომ მოერგო ეს ახალი როლი და ფუნქციონირება გაეგრძელებინა, როგორც დისტრიბუციის ადგილს შიდა ვაჭრობისთვის. ძლიერ სადავოა, რომ ეგეოსური ამფორები შემოჰქონდათ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ისინი ნამდვილად იყო განსაზღვრული ბერძნულენოვანი საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად [Rehard, 1996: 147-161].

ეგვიპტის გარდა, ანტიკურ ეპოქაში სხვადასხვა საქონელი ქიოსური ამფორებით შედიოდა, აგრეთვე, ლიბიაში. ერთ-ერთი უმთავრესი ძეგლი, სადაც ქიოსური იმპორტი დაფიქსირებულია ლიბიის ტერიტორიაზე არის *კირენაიკა*. ბერძნები აქ დასახლდნენ თითქმის იმავე დროს, როცა ეგვიპტეში, მაგრამ ნავკრატისისგან განსხვავებით, სადაც მათ ვაჭრების სტატუსი ჰქონდათ, კირენაიკაში მოსახლე ბერძნები იყვნენ ფერმერები. კირენაიკა მათთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, პირველ რიგში, მისი ნაყოფიერი მიწის, ხელსაყრელი კლიმატისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელიც მათთვის ამ ტერიტორიას ეგეოსური ცივილიზაციის ლოგიკურ გაგრძელებად წარმოადგენდა; კრეტა, დაახლოებით, იმავე მანძილითაა დაშორებული (300 კმ.) კირენედან, როგორც ათენიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერძნების აქ მოსვლამდე კირენაიკის ტერიტორია უკვე ფართოდ ათვისებული იყო ვაჭრების მიერ, რომელთაც ჩრდილო აფრიკასთან მჭიდრო კომერციული ურთიერთობა ჰქონდათ [Boardman, 1980; Elrashedy, 2002: 121-125].

ბერძენი კოლონისტები კირენაიკაში მოვიდნენ თერადან. ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანების მერე მალევე მოხდა თერული საზოგადოების გადასახლება ჩრდილო აფრიკაში. როგორც ჰეროდოტე გადმოგვცემს, მათ წინ უძღვოდათ კრეტელი მეთევზე კოროზოისი კუნძულ პლატეიამდე [Herodotus, IV, 151-153.], რომელიც, როგორც ჩანს, უკვე ასრულებდა სავაჭრო პუნქტის მოვალეობას გარკვეული დროის განმავლობაში. ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე მარტივი და ყველაზე მოკლე ღია საზღვაო მარშრუტი ეგეოსის სამყაროდან ჩრდილო აფრიკამდე. სტრაბონი (10.4.5) აღნიშნავს, რომ

ვოიაჟს კირენედან კრეტის უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე სჭირდება ორი დღე და ღამე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრეტა იყო ბერძნების ეგვიპტეში მოგზაურობის საწყისი პუნქტი.

ორი წლის შემდეგ თერელები გადავიდნენ პლატეიას მოპირდაპირე მხარეს, კერძოდ, ადგილ აზირისზე, რომელიც იქცა კირენაიკას სანაპიროზე პირველ ბერძნულ სამოსახლოდ. ბერძნულმა საზოგადოებამ დიდ დაწინაურებას მიაღწია და ძვ.წ. VI საუკუნეში. მათ მოიწვიეს ახალი კოლონისტები პელოპონესიდან და დორიული კუნძულებიდან [Boardman, 1980].

არქაულ ხანაში კირენაიკას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ნავკრატისთან, რაც დადასტურებულია Wild Goat სტილის კერამიკის აღმოჩენებით ორივე ძეგლზე.

ამ პერიოდის კერამიკა ჩრდილო იონიური, ქიოსური და სამხრეთ იონიური წარმომავლობისაა. Schaus-ი მიუთითებს, რომ ქიოსელი ვაჭრები მოვიდნენ ჯერ ნავკრატისში და შემდეგ გადავიდნენ კირენეში და რომ ფიკელურას ტიპის კერამიკა ისევე, როგორც ფაიანსი, კირენეში მოხვდა მათი უკან დაბრუნების დროს [Elrashedy, 2002: 121-125; Villing, Schlotzhauer, 2006].

ნაგებობა Casa del Propileo მდებარეობს კირენეს აკროპოლისსა და აგორას შორის. იგი წარმოადგენს დიდ სამშენებლო კომპლექსს, რომელიც არის ზომით 25X50 მ. და თარიღდება ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებით. სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით აქ დადასტურდა არქაული, კლასიკური და ელინისტური ხანის ფენები. არქაული ხანის კერამიკა დათარიღდა ძვ.წ. VII ს-ის ბოლო მეოთხედიდან ძვ.წ. VI ს-ის დასასრულამდე პერიოდით.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორები შეადგენს კერამიკის მთლიანი რაოდენობის 40%-ს და წარმოდგენილია ქიოსის, სამოსის, ატიკური SOS და ატიკური A la brossé-ს პროდუქციით [D’angelo, 2006].

ანტიკურ ეპოქაში ქიოსურმა კერამიკულმა იმპორტმა ასევე მიაღწია *ეუესპერიდესს*. იგი მდებარეობს დღევანდელ ქალაქ ბენგაზის ახლოს, ყველაზე დასავლეთით კირენაიკას ბერძნული ქალაქებიდან. ქალაქი დაარსდა ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში და არსებობას განაგრძობდა ძვ.წ. III ს-ის შუ ხანებამდე. ამ დროს იგი მიტოვებული იქნა ახალი, მახლობლად დაარსებული ქალაქ ბერენიკესკენ ხალხის გადასახლების გამო. ეუესპერიდესის მჭიდრო ეკონომიკურ კონტაქტებს ბერძნულ სამყაროსთან ცხადყოფს მრავალრიცხოვანი სატრანსპორტო ამფორები, რომლებიც აქ აღმოჩნდა 1999-2006 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად. ამფორების უმეტესობა დათარიღებულია დასახლების უკანასკნელი პერიოდით - ძვ.წ. 350-250 წლებით.

ამფორების 77% იმპორტულია, აქედან 5% - პუნიკური, 72% - საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრიდან, აქედან 35% კორინთულ B ტიპის ამფორებს ეკუთვნის. 23%-ს კირენაიკის ამფორები შეადგენს, მათი დამზადების თარიღი უცნობია. ჩრდილო ეგეოსური არეალი წარმოდგენილია თასოსის და მენდეს პროდუქციით. თასოსური ამფორების ფრაგმენტებს შორის დამღიანიც არის, რის მიხედვითაც ეს ჯგუფი თარიღდება ძვ.წ. IV საუკუნით. სამხრეთ ეგეოსური ცენტრები წარმოდგენილია ქიოსის, სამოსის, კოსის, კნიდისა და სოლოხა 1-ის ამფორებით.

როდოსის ამფორები, რომლებიც ძლიერ დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვისპირეთში ელინისტურ ხანაში დიდი ოდენობით არ შემოჰქონდათ ძვ.წ. III ს-ის დასასრულამდე, ანუ ეუესპერიდესის მიტოვებამდე. აქ მხოლოდ ორი როდოსული ამფორა გამოვლინდა, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი ათწლეულით ან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით. მრავალრიცხოვანი ბერძნულ-იტალიკური ამფორები ადასტურებს ძეგლის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებს სიცილიისა და მაგნა გრეციის ქალაქებთან. ისინი თარიღდება ძვ.წ. IV ს-დან ძვ.წ. 260 წლამდე პერიოდით. მასალიოტური ამფორები რამდენიმე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი და ძვ.წ. 350-250 წლებით დათარიღებული არქეოლოგიური კომპლექსიდან მომდინარეობს [Görantson, 2006: 219-222].

გარდა ამფორებისა, ეუესპერიდესის გათხრების შედეგად გამოვლინდა დამღიანი ამფორების ყურების ფრაგმენტებიც. გამოცნობილ ცენტრებს შორისაა: თასოსი - 4 დამღა (1 - ძვ.წ. 350-345 წლები, 2 - ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი-80-იანი წლები, 1 - ძვ.წ. 365-360 წლები); როდოსი - 1 (თარიღი უცნობია). [Göransson, 2002: 137-145].

მომდევნო ძეგლი, სადაც დადასტურებულია ქიოსის სავაჭრო საქმიანობა არის *ბერენიკე.* აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა საკმაოდ დიდი რაოდენობით ელინისტური ხანის ამფორები. მთლიანი ამფორების რაოდენობის 4% წარმოდგენილია დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ელინისტური ხანის ამფორებით. საერთო ჯამში გამოვლინდა, სულ მცირე, 26 ამფორის ფრაგმენტები, მათ შორის: 9 (34,61%) – როდოსულია (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო); 5 (19,23%) – ადგილობრივი (ძვ.წ. III-II სს.); 5 (19,23%) – გრეკო-იტალიკური (ძვ.წ. IV ს.); 2 (7,69%) – კნიდის (ძვ.წ. I ს.); 2 (7,69%) – ადრე კართაგენული (ძვ.წ. I ს-ის ბოლო - ახ.წ. I ს-ის დასაწყისი), 1 (3,84%) – კორინთული A (ძვ.წ. IV ს.); 1 (3,84%) - ბრინდიზის (ძვ.წ. I ს.); 1 (3,84%) - ქიოსური (ძვ.წ. I ს.). ბერენიკეში დადასტურდა ქიოსური ამფორების უკანასკნელი ვარიანტი, რომლის დამზადება გრძელდებოდა ძვ.წ. I საუკუნემდე [Riley, 1979: 112-144].

კირენეს დაარსებიდან მალევე (ძვ.წ. 620 წელი) დაარსდა *ტოკრა.* აქ გამოვლინდა დემეტრეს საკურთხეველი და მდიდრული კომპლექსები (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი). იგი საკმაოდ დიდი ძეგლია, რომელიც მჭიდროდ იყო დასახლებული და კარგად გამაგრებული. ჩანს, რომ ატიკური იმპორტის აღმავლობას მოსდევს კორინთულის დაქვეითება, ლაკონიური ჩაანაცვლებს ქიოსურს. [Riley, 1979: 137-147; Gill, 2006: 1-23].

I და II კომპლექსების ფენების გაწმენდისას გამოვლინდა, სულ მცირე, 18 ამფორის ფრაგმენტები, მათ შორის: 9 (50%) ქიოსურია; 4 (22,22%) - კორინთული; 3 (16,66%) – სამოსური; 2 (11,11%) - ლესბოსური (ყველა მათგანი თარიღდება ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით) [Boardman, Hayes, 1966: 137-139; Boardman, Hayes, 1973: 61-64]. დამატებით, 69 ქიოსური და 223 ლაკონიური ფრაგმენტი მომდინარეობს საკურთხევლიდან, მაგრამ არ არის მითითებული, თუ რამდენ ამფორას ეკუთვნიან ეს ფრაგმენტები [Boardman, 1994: 137-147; Gill, 2006: 1-23].

ადგილობრივ დამზადებული ქიოსური ამფორები *ლეპტის მაგნაშიც* აღმოჩნდა. ქალაქის ნანგრევები მდებარეობს ტრიპოლის აღმოსავლეთით, მისგან 130 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი ალ ხუმის ტერიტორიაზე. ქალაქის დაარსება მიეწერებათ ფინიკიელებს, დაახლოებით, ძვ.წ. 1100

წელს. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ ადრე იქნა დაარსებული, ქალაქმა მაინც ვერ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს ძვ.წ. IV საუკუნემდე, ანუ იმ დრომდე, როცა იგი კართაგენის მმართველობის ქვეშ მოექცა.

აქ აღმოჩენილი ქიოსური ამფორები საკუთრივ კუნძულ ქიოსიდან არ მომდინარეობს, არამედ დამზადებულია ადგილობრივი თიხით, რაც მიგვანიშნებს ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე ქიოსის საზოგადოების არსებობაზე, რომელიც საკუთარ პროდუქციას ამზადებდა ადგილობრივების (ან ქიოსური საზოგადოების, რომელიც იქ ცხოვრობდა) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ლეპტის მაგნას გათხრებიდან მომდინარე ამფორებიდან გამოიცნობა 7 ფსევდო-ქიოსური ამფორა, რომლებიც მიეკუთვნება ძვ.წ. V ს-ს და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისს [De Miro, Polito, 1991: 279-280].

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით აშკარაა, რომ ქიოსური სატრანსპორტო ამფორების იმპორტი მრავალრიცხოვანი იყო ჩრდილოეთ აფრიკის სხვადასხვა ძეგლზე, რაც მიგვანიშნებს ქიოსის სავაჭრო საქმიანობაზე. დადასტურებული ქიოსური ამფორების რიცხვის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მათი მიმოქცევის ინტენსიურობა ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I საუკუნემდე.

როდოსის, კოსის და კნიდის ამფორების შემთხვევაში ორ დამღაზე ერთი ამფორაა მითითებული იმ მიზეზის გამო, რომ ამ ცენტრების ამფორებს ორივე ყურზე ჰქონდათ დამღები. დანარჩენ შემთხვევაში ამფორების მაჩვენებელი დათვლილია პროფილირებული ფრაგმენტების მიხედვით.

უმეტეს შემთხვევებში აღმოჩენილი ამფორების ზუსტი რაოდენობა არ იყო დაფიქსირებული ან მაჩვენებლები მოცემული იყო პროცენტებში, რაც წარმოადგენს პრობლემას რაოდენობის გარკვევის თვალსაზრისით. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გათხრების შედეგად გამოვლენილი ამფორები არ გამოქვეყნებულა და ეს ფაქტიც ართულებს ზუსტი რაოდენობის დადგენას. ამფორების ცნობილი რაოდენობის მიხედვით საბოლოო შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1).

		ქიოსი	თასოსი	ლესბოსი	სამოსი	როდოსი	კნიდი	კოსი	მ
ძვ.წ. VII ს.	I ნახევარი								
	II ნახევარი	**9**		**2**	**3**				
ძვ.წ.	I								

VI ს.	ნახევარი								
	II ნახევარი				**1**				
ძვ.წ.	I ნახევარი	**2**			**3**				**3**
V ს.	II ნახევარი								**6**
ძვ.წ.	I ნახევარი	**1**	**2**		**2**		**1**	**1**	**5**
IV ს.	II ნახევარი		**1**			**8**			
ძვ.წ.	I ნახევარი	**12**	**3**			**20**	**4**	**3**	
III ს.	II ნახევარი	**1**				**15**			
ძვ.წ.	I ნახევარი	**6**				**28**	**11**	**5**	
II ს.	II ნახევარი	**1**				**4**		**3**	
ძვ.წ.	I ნახევარი	**1**				**11**	**18**	**3**	
I ს.	II ნახევარი	**1**						**2**	
სულ		**34**	**6**	**2**	**9**	**86**	**34**	**17**	**14**

ცხრილი 1. ძვ.წ. VII-I საუკუნეებში ჩრდილოეთ აფრიკაში იმპორტირებული ბერძნული სატრანსპორტო ამფორების წამყვანი ჯგუფები.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ვხედავთ, რომ ქიოსის იმპორტი არ ჩამოუვარდება სხვა ცენტრების იმპორტს, როდოსის გარდა, რაც როდოსის ელინისტური ხანის პერიოდში ექსპანსიის შედეგია. ქიოსური ამფორების როგორც ფრაგმენტების, ასევე დამღების აღმოჩენა სხვადასხვა ძეგლზე მიუთითებს ამ ბერძნული ერთეულის სავაჭრო კავშირებზე ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ქალაქებთან.

ქიოსი ანტიკურ ეპოქაში წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და აყვავებულ ცენტრს, რომელიც თავის საკუთარ პროდუქციას აწარმოებდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში - ძვ.წ. VII საუკუნიდან ძვ.წ. I საუკუნის ჩათვლით. ქიოსელმა ვაჭრებმა აითვისეს არა მხოლოდ ახლომდებარე რეგიონები, არამედ წავიდნენ შორს, ჩრდილოეთ აფრიკაში.

ქიოსური ღვინო იყო საკმაოდ ძვირადღირებული და ნაწილობრივ ამის გამოა, რომ ქიოსური ამფორები არ მიმოიქცეოდა ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც, მაგალითად, კოსის ან კნიდის. პლუტარქეს ანეკდოტში სოკრატეს მეგობარი ჩივის, რომ ,,ქიოსური ღვინო ღირს 100 დრაქმა თავისი ექსტრავაგანტული არომატის გამო“ [Plut. moralia, 470, F]; ფასი აქ გაზვიადებულია, მაგრამ, ღირებულების მიუხედავად, იგი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი იყო ანტიკურ ეპოქაში; [Grace, 1934: 198; Grace, 1979]. როდოსის, კნიდის და კოსის ღვინო გაცილებით უფრო იაფი ღირდა (კნიდის - 20 დრაქმა) და ამით აიხსნება ის, რომ როდოსული ამფორების რაოდენობა აჭარბებს სხვებს მოცემული სტატისტიკის მიხედვით [Talcott, 1935: 494-497].

ეკონომიკური აფეთქება ქიოსზე გრძელდებოდა ძვ.წ. 86 წლამდე, მითრიდატეს მიერ მის საბოლოო განადგურებამდე. რომაულმა სამოქალაქო ომებმა, სხვადასხვა სამხედრო ოკუპაციამ და, სავარაუდოდ, ავგუსტუსის სამონეტო სისტემამ, რომელიც ზღუდავდა ვერცხლისა და ოქროს მოჭრას, გაანადგურა ერთხელ და სამუდამოდ ქიოსის სავაჭრო აქტივობა. შესაბამისად, ეკონომიკის საერთო დაკნინებაა იმის მიზეზი, რომ სწორედ ამ პერიოდში წყდება ქიოსური ამფორების წარმოება [Rostovtzeff, 1986: 245; Sarikakis, 1986: 124-125].

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დასახლებულმა ბერძნებმა დაიწყეს ადგილობრივი ვაზის კულტივირება. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ვენახების გაშენება ეგვიპტეში, განსაკუთრებით დელტას რეგიონში, მაგრამ ზენონის პაპირუსი (ძვ.წ. 260-259 წელი) მიუთითებს, რომ ღვინო თასოსიდან, კნიდიდან, ქიოსიდან და ლევკასიდან მაინც შემოდიოდა.

ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში ღვინო იწარმოებოდა, მაგრამ მისი ხარისხი დაბალი იყო. მხოლოდ რომის იმპერიის ხანაში (ძვ.წ. I - ახ.წ. IV ს-ში) დაიწყო მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება სანაპირო ზოლში.

1 დამღების შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ როდოსის, კნიდის, თასოსისა და სინოპის ამფორებზე ორ-ორი დამღა ისმებოდა, ანუ ერთ ამფორას ორი დამღა ჰქონდა.

ლიტერატურა

Boardman J. Excavations in Chios, 1952-1955: Greek Emporio. British School at Athens supplement, 6. - London, 1967

Boardman J. Settlement for Trade and Land in North Africa; Problems of Identity: Archaeology of Greek Colonization. Esseys Dedicated to Sir John Boardman. G. R. Tsetskhladze, F. De angelis (eds.), ''Oxford University School of Archaeology", Oxford, 1994

Boardman J. The Greeks Overseas; Their Colonies and Trade. ''Thames and Hudson". - London, 1980

Boardman J. Excavations At Tocra – 1963-1965. // The Archaic Deposits I. Supplementary volume No. 4. ''British School at Athens"/ J .Hayes ,1966

Excavations at Tocra 1963-1965. The Archaic Deposits II and Later Deposits. The British School of Archaeology at Athens. ''The society for Libyan studies"/ J .Hayes . – Tripoli, 1973

Cook J. M. The Greeks in the East. - London: Thames and Hudson , 1962

Coulson W. The Survey at Naukratis: Ancient Naukratis. Volume II, part I. Oxbow Monograph 60. W. D. E. Coulson (ed.), ''Oxbow Books", London. ''Oxbow Books",1996

D'angelo I. Imported Greek Pottery in Archaic Cyrene; The Excavations in the Casa del Propileo: Naukratis, Greek Diversity in Egypt. Studies on East Greek Pottery and Exchange in the Eastern Mediterannean. A. Villing, U. Schlotzhauer (eds.), British Museum Press, London. 2006

De Miro E. Leptis Magna. Dieci Anni di Scavi Archeologici nell'Area del Foro Vecchio. I Livelli Fenici, Punici e Romani /A. Polito ''L'Erma di Bretschneider". 1991

Elrashedy F. Cyrenaica and the Maritime Trade Routes. Imports of Post-Archaic Greek Pottery into Cyrenaica from the end of the Archaic to the Beginning of the Hellenistic period: BAR International Series 1022. - Oxford: ,,Archaeopress", 1991

Gill D. Early Colonization at Euesperides; Origins and Interactions: Greek and Roman Colonization. Origins, Ideologies and Interactions / G. Bradley, J-P Wilson (eds.). ‘’The Classical press of Wales”, 2006

Grace V. mphoras and the Ancient Wine Trade, Excavations of the Athenian Agora, Picture Book, #6. - Princeton-New Jersey, 1961

Grace V. Exceptional Amphora Stamps; Studies in Classical art and Archaeology / G. Kopcke, M. B. Moore (eds.). - New York: ‘’Locust Valley”, 1979

Grace V. Stamped Amphora Handles Found in 1931-1932: Hesperia volume. 3. no 2. The American Excavations in the Athenian Agora: Fourth Report. - Athens: American School of Classical Studies at Athens, 1934

Grace V. Standart Pottery Containers of the Ancient Greek World: Hesperia Supplement, VIII. Commemorative Studies in Honor of Theodore Leslie Shear. - Athens: ‘’American School of Classical Studies at Athens”, 1949

Görantson K. The Classical and Hellenistic Amphorae from Euesperides. Monografie di Archeologia Libica XXX. Cirene e la Cirenaica Nell’antichita’. XI Convegno Internazionale di Archeologia Cirenaica Organizzato in Occasione del 500 Anniversario della Fondazione dell’Universita’ degli studi di Urbino. 30 giugno-2 luglio, 2006. Vol. II. M. Luni (a cura di). ‘’L’Erma di Bretschneider”, 2006

Göransson K. Transport Amphorae from Euesperides (Benghazi) Libya, A presentation of Preliminary Results: Transport Amphorae and Trade in the Eastern Mediterranean. Acts of the International Colloquium at the Danish Institute at Athens, September 26-29, 2002. J. Eiring, J. Lund. (eds.) Monographs of the Danish institute at Athens, volume 5. ‘’Aarhus University Press”, Denmark. Herodotus The Histories. I, 30; II, 16, 169; IV, 151-153. Plutarch Moralia. 470, F, 2002

Rehard J. Stamped Amphora Handles: Ancient Naukratis. Volume II, part I: Oxbow monograph 60. W. D. E. Coulson (ed.).- London: Oxbow Books , 1996

Riley J. Typology of the Hellenistic and Roman Coarse Pottery of Berenice. Excavations at Sidi Khrebish Benghazi (Berenice). Volume II. - Tripoli: ,,The Society for Libyan Studies”, 1979

Rostovtzeff M. The Social and Economic History of the Hellenistic World. Oxford Edition, vol. 1 and 2. ‘’Oxford University Press”, Oxford:,,Oxford University Press”, 1986

Sarikakis Th. Commercial Relations Between Chios and Other Greek Cities in Antiquity: Chios: A Conference at the Homereion of Chios. J. Boardman, C.E. Vaphopoulou- Richardson (eds.). - Oxford: Clarendon Press, 1986

SztetyŁŁo Z. Pottery Stamps; General Characteristics of Stamps from Tell Atrib. Stemple Ceramiszne Tell Atrib 1985-1995 / I. Z. SztetyŁŁo, K. MyŚliwiec, W. Ratunkowe (eds.). - Warszawa: ,,Wydawnictwo Neriton”, 2000

Talcott L. Attic Black-Glazed Stamped Ware and Other Pottery from a Fifth Century Well: Hesperia, volume 4. - Athens: ,,American School of Classical Studies at Athens, 1935

Villing A. Naucratis and the Eastern Mediterannean; Past, Present and Future: Naukratis: Greek Diversity in Egypt. Studies on East Greek Pottery and Exchange in the Eastern Mediterannean / A.Villing, U. Schlotzhauer (eds.). - London: ''British Museum Press", 2006

Whitbread I. Greek Transport Amphorae. – Athens: British School at Athens, 1995

თამარ გელაშვილი

ირლანიური მითოსის ერთი ასპექტი ჯეიმზ ჯოისის რომანში ,,ღამისთევა ფინეგანისთვის''

ჯეიმზ ჯოისი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მისი რომანები გამოცემისთანავე მკითხველთა შორის რადიკალურად განსხვავებულ ემოციებსა და დამოკიდებულებას იწვევდა. ზოგიერთისათვის ჯოისი უდიდესი ნოვატორი იყო, ხოლო მეორე ნაწილისათვის - ადამიანი, რომელიც უბრალოდ გაუგებრად წერდა.

ჯეიმზ ჯოისი ცნობილი თავისი რომანით ,,ულისე“ გახდა, თუმცა წინამდებრარე სტატია მის ბოლო რომანს ,,ღამისთევა ფინეგანისათვის'' ეხება, რომელსაც ჯოისი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ქმნიდა და რომელიც დღესაც მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, რადგანაც ეს რომანი სავსეა ბიბლიური, ლიტერატურული თუ მითოსური ალუზიით.

სტატიაში განხილულია რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერის, სახე, კერძოდ, გაანალიზებულია მისი კავშირი ირლანიურ მითოლოგიასთან და ის წარმოჩენილია, როგორც ირლანდიის მაღალი მეფე.

თუმცა ვიდრე კონკრეტულად ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერის შესახებ ვისაუბრებდე, მსურს მოკლედ მიმოვიხილო ჯეიმზ ჯოისის ის ენიგმატური ნაწარმოები, რომელსაც თავად ,,კაცობრიობის ისტორიად'' მიიჩნევდა.

1922 წლის აგვისტოში ლონდონში ყოფნისას ჰერიეტ ვივერმა ჯეიმზ ჯოისს მომავალ გეგმებზე ჰკითხა, რომელზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ აპირებდა დაეწერა მსოფლიოს ისტორია. შეხვედრიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ ჯოისის წერილიდან ვიგებთ, რომ როგორც იქნა ,,ულისეს'' ბოლო ,,ჰო''-ს მერე ბოლოს და ბოლოს მოახერხა რამდენიმე სიტყვის დაწერა. ასე დაიწყო ჯეიმზ ჯოისმა მუშაობა იმ იდუმალებით მოცულ წიგნზე, რომელსაც იგი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ქმნიდა და რომლის სათაურსაც დიდხანს არავის უმხელდა. ეს ჯოისის ბოლო და ყველაზე ენიგმატური ნაწარმოები დღეს ,,ღამისთევა ფინეგანისთვის'' (‘Finnegans Wake’) სახელით არის ცნობილი.

ჯეიმზ ჯოისი არ ტყუოდა, როდესაც ჰერიეტ ვივერს უთხრა, რომ მსოფლიოს ისტორიის დაწერას აპირებდა. ,,ღამისთევა ფინეგანისათვის'', მართლაც, მთელი კაცობრიობის ისტორიას მოიცავს და დღესაც, მიუხედავად მის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა, ერთ-ერთ ურთულეს ტექსტად ითვლება. უმნიშვნელოვანეს როლს ამ ტექსტის შექმნაში ალუზიები ასრულებს. ნაწარმოებში სხვადასხვაგვარ ალუზიას ვხვდებით: ბიბლიურს, მითოსურს, ლიტერატურულს. თუმცა, ყოველ მათგანს ერთი დანიშნულება აქვს - შექმნას ტექსტი, რომელიც მოიცავს კაცობრიობის ისტორიას.

ჯეიმზ ჯოისის რომანის სქემას ჩეპალიზოდში მცხოვრები ლუდხანის მეპტრონის, ჰამფრი ჩიპმუდენ ეართვიკერისა და მისი ოჯახის ერთი ღამე წარმოადგენს, თუმცა იმ მრავალი პარალელისა თუ ალუზიის გამოყენებით მკითხველისათვის აშკარა ხდება, რომ ერთვიკერი და

მისი ოჯახი არქეტიპული ოჯახის სახეა და ჯოისის მიზანს ერთი ოჯახის ამბის მოყოლა კი არ წარმოაგენს, არამედ კაცობრიობის ისტორიის შექმნა. ჯოისის სწრაფვა ამგვარი უნივერსალიზაციისაკენ მის ყველაზე ტრადიციულ ნაწარმოებში ,,დუბლინელებშიც'' კარგად ჩანს, რომ არაფერი ვთქვათ ,,ულისეზე'', რომელშიც ჯოისის გმირების ერთი დღე დიდ სულიერ ოდისეადაა წარმოდგენილი. მაგრამ ამ ყოველივემ უფრო რადიკალურად და ნოვატორულად სწორედ ბოლო რომანში იჩინა თავი.

საინტერესოა თავად წიგნის სათაურიც, რომელსაც "ღამისთევა ფინეგანისათვის" ჰქვია, თუმცა ფინეგანი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არ არის რომანის მთავარი გმირი. წიგნის სათაური კიდევ ერთი მინიშნებაა ჯოისის მცდელობაზე, შეექმნა დაცემული ადამიანის (კაცობრიობის) სახე, რომელიც აღგომის მოლოდინშია. წიგნის სათაურში გამოტანილი Finnegans - მხოლობითი კი არა კრებითია, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალკე და ყველანი ერთად ვართ ფინეგანები, რომლებიც უნდა დავეცეთ იმისათვის, რომ ავღდგეთ.

და მაინც, ვინ არის ტიმ ფინეგანი?

1850-იანი წლებიდან ირლანდიაში დიდი პოპულარულობით სარგებლობდა ბალადა ტიმ ფინეგანზე, რომელიც მშენებელი იყო და რომელიც თავისი ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად ყოველ დილით ერთ ჭიქა ვისკის სვამდა. ერთ დღეს ნასვამი კიბიდან ჩამოვარდა და თავის ქალა გაიტეხა. გარშემომყოფებმა მისი გვამი სახლში მიიტანეს და საღამოს დაიწყო ღამისთევა ფინეგანისათვის, თუმცა მას შემდეგ, რაც მომტირლებმა რამდენიმე ჭიქა დალიეს, ეს ყველაფერი ღრიანცელში გადაიზარდა. ღრიანცელს კი ყოველთვის თან ახლვს აყალმაყალი და ჩხუბი. სწორედ ამ ორომტრიალში ფინეგანის თავთან მოთავსებული ვისკი შემთხვევით ცხედარს გადაესხა, ყველასათვის გასაოცრად, მიცვალებული მკვდრეთით აღდგა და, შესაბამისად, ქელეხი ქეიფში გადაიზარდა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რამ გააცოცხლა მკვდარი ფინეგანი და ნუთუ ვისკის მაცოცხლებელი ძალა გააჩნია? ამ კითხვაზე პასუხი ვისკის ირლანდიურ სახელწოდებაშია დაფარული. გელურად ვისიკი წარმოიშვა ფრაზიდან *uisce beatha*, რომელიც „სიცოცხლის წყალს" ნიშნავს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ სიცოცხლის წყალმა ფინეგანი მკვდრეთით აღადგინა.

ფინეგანის გაცოცხლება ერთგვარად ირონიულადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგანაც ბიბლიაში თუ მითოლოგიაში მკვდრეთით ძირითადად მხოლოდ ღმერთები აღსდგებიან ხოლმე, ხოლო ჯოისის რომანში საქმე გვაქვს ერთ ჩვეულებრივ ლოთთან, რომელიც ძალიან შორს დგას ყველანაირი ამაღლებული საწყისისაგან. თუმცა სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჯოისის დაინტერესება მისით, რადგან ჯოისისათვის ფინეგანი იგივე ადამია, კაცობრიობის მამა, რომელიც დაეცა და რომლის აღგომაც ასე აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანებმა ხელახლა მოიპოვონ სამოთხე. თუმცა ფინეგანი მხოლოდ ადამი როდია, ის არის ყველა ის დაცემული ღმერთი, ადამიანი თუ მითოლოგიური პერსონაჟი, რომელთა აღდგომის მოლოდინშია კაცობრიობა.

ფინეგანისა და მისი აღდგომის ისტორია ჯოისისათვის კიდევ ერთი საშუალებაა, ერთი მხრივ, ღმერთების და მათი დაცემის პაროდირებისა და, მეორე მხრივ, ალბათ, იმედის მიცემისა, რომ, თუ ფინეგანი აღსდგა, ე.ი. ყველაფერი განწირული არაა.

ამიტომაცაა, რომ მისი ნაწარმოების მთავარი გმირი ჰამფრი ჩიპმუდენი ეართვიკერია, ადამიანი, რომელიც ფინეგანის მსგავსად ნამდვილად არ წარმოადგენს გმირს ან კეთილშობილ პიროვნებას. ფინეგანის მსგავსად ისიც გახრწნილია, დაცემულია, როგორც ფიზიკურად ასევე სულიერად.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ფინეგანი, ერთვიკერი და ფინ მაკქული[1]

ხშირად არიან გაიგივებულნი და ნაწარმოებში ხშირია პარალელები, რომელსაც ავტორი მათ შორის ავლებს. ამანდა სიგლერი სტატიაში ,,ფოლკლორული ხიდის გადაკვეთა'', რომ ,,ჯეიმზ ჯოისისათვის მითოსის გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია; გელური მითების და მითოსური პერსონაჟები ახალ სიცოცხლეს იწყებენ სწორედ ჯოისის რომანებში და მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმზ ჯოისი მთელი ცხოვრება იმის აფიშირებას ეწეოდა, თუ როგორი წინააღმდეგი იყო ,,გელური აღორძინების'' მისი რომანები აშკარად საპირისპიროზე მიგვანიშნებენ. მის თითოეულ პერსონაჟს მოეპოვება ანალოგი გელურ მითოსში და გასაკვირი არაა, რომ ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერს, სხვა პერსონაჟებსა თუ გმირებს გარდა, ჯოისი ფინ მაკქულთან აიგივებს'' [სიგლერი 2008:538].

არანაკლებ საგულისხმოა ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერის ინიციალები (HCE), რომელსაც ჯოისი გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს. ეს ინიციალები ბევრ მინიშნებასა და ალუზიას შეიცავს. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს მუშათა კლასის პიროვნებასთან, რომელიც მოხსენიებულია, როგორც 'this man of ***h***od, ***c***ement and ***e***difice)''[2] [ღ.ფ[3] 4:25], ხოლო, მეორე მხრივ, არისტოკრატთან:"like ***H***aroun ***C***hilderic ***E***ggeberth"[4] [ღ.ფ 4:32]. გარდა იმისა, რომ ჩიპმუდენის ინიციალები ემთხვევა არისტოკრატ - ჰაროუნ ჩილდერიკ ეგებერთისას, ამ სახელს ბევრ საინტერესო ალუზიამდე მივყავართ. მაგალითად, ადელინე გლეშინი აღნიშნავს, რომ ჩილდერიკ I, ჩილდერიკ II და ჩილდერიკ III ფრანკი მეფეები იყვნენ, მათ შორის ჩილდერიკ III იყო უკანასკნელი მეროვინგი მეფე [Glasheen, 1977:55]. ჯეიმზ ჯოისი საკმაოდ გატაცებული იყო ლორდ ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიით, და შესაბამისად არ არის გამორიცხული, რომ ჰაროუნ ჩილდერიკი ბაირონის ჩაილდ ჰაროლდსაც უკავშირდებოდეს. ადელინე გლეშინი კიდევ ერთ განმარტებას იძლევა ჰაროუნ ჩილდერიკ ეგებერთის შესახებ: ,,ჰიუ კულინგ ეარდლი ჩილდერსი მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე იყო, რომელსაც ზედმეტსახელი „Here Comes Everybody" ჰქონდა, და რომელიც, თავის მხრივ, ერსკინ ჩილდერსის ბიძაშვილი იყო, ჰოუთში იარაღის შემოტანი და 1916 წლის აჯანყების მოწყობის მონაწილე" [Glasheen, 1977:55]. როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ვიცით ჯოისი საკმაოდ გატაცებული იყო ,,ათას ერთი ღამით''[5], სწორედ ამიტომ გამორიცხული არაა თუ ვივარაუდებთ, რომ ჰაროუნ ჩილდერიკი სერ რიჩარდ ფრენსის ბარტონია, მოგზაური, რომელიც დღეს თავისი 16-ტომიანი ,,ათას ერთი ღამის'' თარგმანით არის ცნობილი. Childe ინგლისური ენის არქაული ფორმაა და ის კეთილშობილი წარმოშობის ადამიანს ნიშნავს, ანუ, თუ Childeric-ს ორად გავყოფთ, მივიღებთ Childe-Ric-ს, ანუ სერ რიკს, ანუ სერ რიჩარდს. ჰაროუნი კი ჰარუნ-ალ-რაშიდია, ბაღდადის ხალიფა წიგნში ,,ათას ერთი ღამე".

ტიმ ფინეგანის მსგავსად ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერი იძულებულია, თავისი წილი ტვირთი ატაროს, თუმცა, როგორც დაცემული ადამიანი, იგი უუნაროა:" Hero! Seven times thereto we salute

you! The whole bag of kits, falconplumesand jackboots incloted, is where you flung them that time“[6] [ღ.ფ. 26:8-10]

ამ წინადადებაში გვაქვს ბუდისტური და ეგვიპტური ალუზიები. ბუდას ცხოვრების მიხედვით მას ერთ-ერთმა ბერმა სწორედ ,,გმირი'' უწოდა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ განსხივოსნების შემდეგ ბუდას შვიდჯერ მიესალმენ. მას შემდეგ, რაც ფინეგანი მკვდრეთით აღდგება, მას ისევ უკან ჩააბრუნებენ კუბოში და სწორედ ამ დროს მგლოვიარეები ხედავენ მისი სხეულის დანაწევრებას. სხეულის დანაწევრება და “Seven times thereto” მნიშვნელოვანია, რადგან, თუ გავიხსენებთ ოსირის ამბავს, მის სხეულს სწორედ 14 ნაწილად ანაწევრებს სეთი და შვიდჯერ ორი კი 14-ია. „მთელი ჩანთა თავისი აღჭურვილობით“ ჯადოსნური ხურჯინია, სადაც ყველა ის შელოცვაა, რომლებიც საჭიროა მკვდრეთით აღსადგენად. შევარდნის ბუმბულისაგან გაკეთებული თავსაბურავი ეგვიპტურ მითოლოგიაში რამდენიმე ღვთაებას ეკეთა, მათ შორის ნაყოფიერების ქალღმერთ ისისს, მინისა და შემოქმედი ღმერთს, ატუმს.

ჯოისი ისე აღწერს ფინეგანის კიბეზე წინ და უკან მოძრაობას, რომ ეს ერთგვარ რიტუალურ ცეკვას ემსგავსება; ცეკვას, რომელიც ირლანდიის მაღალ მეფეს (High King of Ireland) უნდა შეესრულებინა ტარას მთაზე. ფინეგანის მისია მხოლოდ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა და აგურის ტარება კი არ არის, არამედ შუამავლობა ზეცასა და დედამიწას შორის. ფინეგანის ამ რიტუალურმა ცეკვამ უნდა გააერთიანოს ხორციელი და სულიერი, ზეცა და დედამიწა, ქალური და მამაკაცური საწყისი, ინი და იანი. ამ ცეკვამ ასევე ხაზი უნდა გაუსვას ფინეგანის სექსუალურ შესაძლებლობებს და იმას, თუ რამდენად შეუძლია მას ცივილიზაციის შემოქმედი მამა იყოს. მისი რიტუალური ცეკვის დროს ვკითხულოთ „tuck up your partinher“[7] [ღ.ფ. 4.29-30], სადაც ,,მას (her)” მდედრობითი სქესისაა და „ნაწილის ჩადება“ სექსუალურ აქტზე მიგვანიშნებს. ფინეგანმა თავისი ცეკვით თავისი ვაჟკაცობა და სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება უნდა მოახდინოს.

ფინეგანის რიტუალური ცეკვის შემდეგ ავტორი მაშინვე იწყებს მის გაიგივებას უძველეს დიდებულებთან: „Of the first was he to bare arms and a name“[8] [ღ.ფ. 5.5]. გასათვალისწინებელია, რომ მის ჰერალდიკაზე გამოსახულია ირმის რქები, მონადირის ბუკი, უძველესი მუხა მწვანე მინდორზე: ,,His crest of huroldry, in vert with ancillars, troublant, argent, a hegoak,poursuivant, horrid, horned” [ღ.ფ. 5.6-7]. კელტური ტრადიციის თანახმად, რქადადგმული იყო ის კაცი, რომელსაც ცოლი ღალატობდა. ასევე გამორიცხული იყო ცოლის მხრიდან ირლანდიის მაღალი მეფის ღალატი, რადგან მას შეეძლო ყველაფერი მიეცა თავისი მეუღლისათვის, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არა არის ის ფაქტი, რომ რქაადგმული და სულიერად თუ ფიზიკურად დაბეჩავებული მეფე განწირულია დაცემისათვის. იმ საბედისწერო ‘tragoady thundersday’[9] [ღ.ფ. 5.13] მისი რიტუალური ცეკვა მისი ჩამოვარდნით მთავრდება: „His howd feeled heavy, his hoddit did shake“[10] [ღ.ფ.6.8-9], “He stottered from the latter”[11] [ღ.ფ.6.8-9] და „Damb! he was dud[12]“ [ღ.ფ.6.10]. აღსანიშნავია, რომ მისი დაცემის მიზეზი მის დაცემამდე უკვე ცნობილია: „It may half been a missfired brick, as some say, or it mought have been due to a collupsus of his back promises, as others looked at it“[13] [ღ.ფ.5.26-28]. ფინეგანის/ჰამფრი ჩიმპდენი

ეართვიკერის ფიზიკური დაცემა, განსაკუთრებით კი მისი უუნარობა, ეტარებინა თავისი ტვირთი (პირდაპირი გაგებით თუ გადატანილი მნიშვნელობით), იწვევს მის დაცემასა და სიკვდილს.

რობერტ მაკალისტერი წიგნში ,,ტარა: ილანდიის კერპთაყვანისმცემელთა წმინდა ადგილი" ცდილობს, მოახდინოს იმ რიტუალთა რეკონსტრუირება, რომლებიც ტარას მთაზე ტარდებოდა. მაკალისტერის მიხედვით, ტარას მთაზე მეფის რიტუალური ცეკვა მოგვაგონებს ფინეგანის/ჰამფრი ჩიმპდენი ეართვიკერის მიერ ტვირთის ტარებას. რიტუალების დასაწყისში მეფეს, ზეცისა და დედამიწის მედიატორს, ტარას ამშენებელს, ირლანდიური ვაჟკაცობისა და სექსუალური მოწიფულობის განსახიერებას, მოეთხოვებოდა რიტუალური ცეკვის შესრულება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ის ნამდვილად მზად იყო მეფობისათვის. მაკალისტერი წერს, რომ მას შეეძლო მეფობის შენარჩუნება, ,,თუ ის სახალხოდ იცეკვებდა და თან მიწას ატარებდა ზურგით" [Macalister, 1931:129]. მეფის ამ ცეკვით მის ვაჟკაცობასა და ამტანობას ზომავდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწისა და მეფის მხრიდან მიწის ზურგით ტარება შემთხვევითი არ არის. მიწა ქალღმერთ ანასთან იყო დაკავშირებული, რომელიც ხმელეთს წარმოადგენდა. შესაბამისად, მეფისა და ქალღმერთის ცეკვით ერთგვარად ერთიანდებოდა ზეცა და მიწა, ქალი და მამაკაცი, ფიზიკური და სულიერი. ეს ყველაფერი კი ცივილიზაციის გაგრძელებასა და აყვავებას მოასწავებდა.

მეფის ცეკვა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია და, თუ იგი ვერ მოახერხებს ჯეროვნად გაართვას თავი ამ ამოცანას, ეს ბევრ პრობლემას გამოიწვევს. დაცემული მეფე კარგავს ღვთაებების კეთილგანწყობას და მათ ინტერესს მის მიმართ. როდესაც მას უვარდება ტვირთი, უდავო ხდება ის, რომ იგი არ არის მოწიფული და ვერ მოახერხებს მიწის ქალღმერთის დაკმაყოფილებას და ვერ იქნება მისთვის სასურველი ქმარი. პირდაპირი და სიმბოლური გაგებითაც ის აღმოჩნდება უუნარო მის დასაუფლებლად. ამ კუთხით, მაკალისტერს ავლებს პარალელი ფინ მაქკულის ამბავთან: ,,შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორ დასთანხმდა ფერია დონაიტი, რომ ფინი მისი მეუღლე გამხდარიყო. ის იქნებოდა მისი ცოლი მანამ, სანამ ფინი წელიწადში ერთხელ მოახერხებდა გადახტომოდა უზარმაზარ ნაპრალს. როდესაც ის ამას ვეღარ შეძლებდა, მაშინ ფერია მას გამოუსადეგრად და მოხუცად ჩათვლიდა" [Macalister, 1931:128].

როდესაც ვსაუბრობთ ჰამფრი ჩიმპდენ ეართვიკერის სახეში ირლანდიური მითოსის ასახვის შესახებ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რომანის ნაწილს, რომელიც ცნობილია ,,ბაკლი და რუსი გენერლის" ეპიზოდის სახელით [ღ.ფ. 337.22-354.36) ამ მონაკვეთს დიალოგის ფორმა აქვს და მის მთავარ სათქმელს ახალგზრდა კაცის მიერ ,,მამის'' დამხობა/მოკვლა წარმოადგენს.

დიალოგი ორ გაურკვეველ არსებას - ,,ბატსა" და ,,ტაფს" - შორის მიმდინარეობს, სადაც ბატი ბაკლის როლში წარმოგვიდგება. ამბავი, რომელიც ყირიმის ომის დროს მოხდა, დაფუძნებულია ჯოისის მამის მონათხრობზე. ბაკლი, ახალგაზრდა ირლანდიელი მეომარი, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდება ,,რუსი გენერლის'' სიახლოვეს. თუმცა თავად რუსმა გენერალმა ამის შესახებ არაფერი იცის. პირველი რეაქცია, რომელიც ბაკლის მის დანახვაზე უჩნდება, არის მის მოკვლის სურვილი, მაგრამ ბაკლი მისი სამხედრო ფორმით, მედლებითა და აღნაგობით ისე მოიხიბლება, რომ ფიქრებში წავა და სულ გადაავიწყება თავისი განზრახვა. თუმცა მალევე გამოერკვევა და ზუსტად იმ დროს, როდესაც უნდა ესროლოს, გენერალი ჩაიხდის შარვალს.

„Manurevring in open ordure to renewmurature with the cowruads in their airishpleasantry"[14] [ღ.ფ. 344.16-17]. ამის ხილვაზე ბაკლის კვლავ გაეფანტა გონება და კვლავ შეყოყმანდა. თუმცა მას შემდეგ, რაც გენერალი ბალახს მოგლეჯს, რათა თავისი სასქესო ორგანო გაიწმინდოს, ბაკლი მას აუღელვებლად კლავს. მკითხველისათვის, ერთი შეხედვით, შეიძლება გაუგებარი იყოს, რამ გაააწყვეტინა ბაკლის ამის ჩადენა სწორედ ამ მომენტში. თუ პასუხს ირლანდიურ მითოსში მოვძებნით, მივხვდებით, რომ გენერალმა თავისი ამ ქმედებით შეურაცჰყო ,,წმინდა მიწა'', რაც ბაკლისათვის ისევე, როგორც ყველა სხვა ჭეშმარიტი ირლანდიელისათვის, მიუღებელია.

რიჩარდ ელმანი წერს, რომ ჯოისი ხშირად უყვებოდა ბაკლის ამბავს თავის მეგობრებს და მიაჩნდა, რომ ,,ეს რაღაც კუთხით არქეტიპული იყო'' [Ellman, 1948:90]. ნათალ ჰალფერი სტატიაში „Another Anecdote in Ellman" ბაკლის ეპიზოდზე საუბრისას ამბობს: ,,რა არის ტორფში ისეთი, რომ ბაკლიმ ეს ირლანდიის შეურაცხყოფად მიიღო. პასუხი თავად რომანშია'' [Halper, 1968:90]. ჰალპერი ხაზს უსვამს ის ფაქტს, რომ: „ჯოისმა მას ,,ნაწილი'' კი არ უწოდა, არამედ - „Sob of Turf", ანუ ტორფიანი ბალახი. ირლანდიას Old Sod-ის სახელით მოიხსენიებენ ხოლმე" [Halper, 1968:90]. ჰალფერი ასევე აღნიშნავს იმას, რომ ეს ამბავი არის დაბლა მდგომი ირლანდიელი ჯარისკაცის მცდელობა, დაამარცხოს იმპერიალისტური ძალა [Halper, 1968:91].

ბაკლის ამბავი თავისი მითოსურ-ალუზიური ხასიათით მნიშვნელოვანია. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავი ჯარისკაცზე, რომელმაც მტრის გენერალი მოკლა, საოცრად კომპლექსურ და ალუზიებით გაჯერებულ ეპიზოდად წარმოგვიდგება რომანში.

მიწის სიწმინის შებილწვის ამბავი არ წარმოადგენს ,,ბაკლისა და რუსი გენერლის ეპიზოის" ერთადერთ კავშირს მითოსურ და წარმართულ ირლანდიასთან. ამბის მოყოლის ბოლო ეტაპზე ,,ბატი'' და ,,ტაფი'' ერთიანდებიან და თავიანთ თავს ფინ მაქკულს ადარებენ: Like Faun MacGhoul! [ღ.ფ. 354.5-6]. თუმცა ამბავი ,,ბატისა'' და ,,ტაფის'' გაერთიანების შესახებ ამ ეტაზე იჩრდილება მაგიური და მისტიური - '*mulattomilitiaman*'[15] [ღ.ფ. 354.10]. ფინ მაქკულის მამა, კუმალი, იყო ფირ ბოლგელი (Fir Bolg) და, შესაბამისად, უფრო მუქკანიანი, ვიდრე მმართველი კელტები, რომლებიც ღია ფერის იყვნენ, ქერები. ფინ მაქკულის დედა კელტი არისტოკრატი იყო და სწორედ ამან განაპირობა ფინ მაქკულის სახის ფერი. ფინ მაქკუმლა პირობა დადო ფიანას წინაშე. ეს ფიცი ტარას რიტუალების დროს იდებოდა და ფიანას ყოველი ახალი წევრი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა ნათესავებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯეიმზ ჯოისმა ლიტერატურული, ბიბლიური თუ მითოსური ალუზიების გამოყენების საფუძველზე, მართლაც, მოახერხა შეექმნა ტექსტი კაცობრიობის ისტორიის შესახებ, რომელიც ადამისა და ევას დაცემის შემდეგ მუდმივად აღგომის მოლოდინშია. ჯანბატისტა ვიკოს ფილოსოფიური ტრაქტატის ,,*Scienza Nuova*'' მიხედვით, ამ სამყაროში ყველაფერი ციკლურია და წრეზე მოძრაობს, თუმცა ეს ციკლურობაც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: პირველი არის ღმერთების ეტაპი, მეორე - გმირების და ბოლოს ადამიანებისა. ჯეიმზ ჯოისი ციკლური რომანი ჯანბატისტა ვიკოს ციკლურობის სამივე ეტაპს იყენებს თავის რომანში და ღმერთებისა და გმირების პაროდირების საშუალებით იმედს აძლევს კაცობიობას, რომ ფინეგანის მსგავსად ისიც შეძლებს აღდგომა-განახლებას.

1 ირლანდიური მითოსის თანახმად, ერთ-ერთი გმირი, რომელიც ახლა მიძინებულია და, როდესაც ის გაიღვიძებს, ირლანდია სწორედ მაშინ აღორძინდება.

2 ,,ეს აგურის, ცემენტისა და შენობის კაცი” (თარგმანი აქაც და შემდეგშიც ჩვენია,- თ.გ.)

3 საერთაშორისო სამეცნიერო ციტირებისას წერენ „ღამისთევა ფინეგანისათვის'' პირველი ასოებით და უთითებენ გვერდსა და ხაზს. შესაბამისად, სტატიაში ამ ნაწარმოების ციტირებას ვიყენებ [ღ.ფ. გვერდი:ხაზი], ნაცვლად [ჯოისი წელი:გვერდი]

4 ,,ჰაროუნ ჩილდერიკ ეგებერთის მსგავსად”

5 რომანში ბევრი ალუზიაა ,,ათას ერთი ღამის“ შესახებ. მაგალითად, რომანის განმავლობაში ათჯერ ისმის ჭექა-ქუხილის ხმა, რომელთაგან ცხრაც ას-მარცვლიანი სიტყვაა, ხოლო მეათე მათგანში ას-ერთი მარცვალია. ჯამში ეს ათი ჭექა-ქუხილი ათასერთ მარცვალს გვაძლევს, რასაც მკვლევარები ,,ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთ ალუზიადაც მოიაზრებენ.

6 ,,გმირო! შვიდჯერ მოგესალმებით! მთელი ჩანთა თავისი აღჭურვილობით, შევარდნის ბუმბულით და სამხედრო ბოტებით, იქ არის სადაც რომ მაშინ შენ მოისროლე''

7 ,,შეტენე შენი ნაწილი მასში.''

8 ,,ის იყო პირველი, ვისაც ჰქონდა გერბი და სახელი.”

9 ჭექაქუხილიან დღეს

10 ,,მისი თავი დამძიმდა, მისი თავი სწორედაც რომ შექანდა.''

11 ,,ჩამოეპერტყა კიბიდან.''

12 ,,ჯანდაბა! ის უსარგებლო გახდა”.

13 ,,ეს შეიძლება ნაწილობრივ ყოფილიყო აგურის ბრალი, როგორც ზოგი ამბობს ან შეიძლება ეს გამოიწვია იმ პირობების დარღვევამ, რომლებიც მან წარსულში დადო, სხვები ასე უყურებდნენ ამ ამბავს''.

14 „სუფთა ჰაერზე მანევრირებდა და ამისაგან საოცარი სიამოვნება ეუფლებოდა'".

15 „ზეთისხილფერმეომრით“

ლიტერატურა

Finnegans , Wake. http://finwake.com/

Nathan , Halper . “Another Anecdote in Ellman’’ A Wake Newslitter 5. no6 December:90-93, 1968

Macalister, R.A.S. Tara: A Pagan Sanctuary of Ancient Ireland. New York and, 1931

Glasheen, Adeline. Third Census of Finnegans Wake. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1977

Letters of James Joyce, 3 volumes/ Richard Ellman and Stiuart Gilbert (Editors). - New York: Viking Press, 1966

Amanda, Sigler Crossing Folkloric Bridges: The Cat, the Devil, and Joyce, James Joyce Quarterly, Volume 45, Number 3-4, Spring-Summer, 2008

ილია პაჭკორია

„გონზაგოს მკვლელობა“, „ჰამლეტი“ და „მეტაჰამლეტი“

„ჰამლეტისა“ და „გონზაგოს მკვლელობის“ სიუჟეტებისათვის, შესაბამისად, შექსპირიცა და ჰამლეტიც არსებულ წყაროებს მიმართავენ.[1] შექსპირი, რომელიც გლობუსის თეატრში, გადმოცემით, ჰამლეტის მამის აჩრდილის როლს ასრულებდა, არა მხოლოდ ავტორად, არამედ „ჰამლეტის“ პირველ რეჟისორადაც შეგვეძლო მოგვეაზრებინა.[2] მის მსგავსად, ჰამლეტიც დგამს „ჰამლეტში“ პიესას და გარკვეული ცვლილებებიც შეაქვს მასში. როგორც მარვინ ჰანტი ამბობს: *„გონზაგოს მკვლელობაში“ თორმეტი თუ თექვსმეტი სტრიქონის ჩამატებით, ჰამლეტი, ასე ვთქვათ, „ჰამლეტის“ თანაავტორი ხდება“* [Hunt, 2007: 213].[3] თუმცა ამ პიესის დადგმის იდეა მამის აჩრდილის მონაყოლმა ამბავმა ჩააწვეთა.

აჩრდილთან საუბრის შემდეგ ჰამლეტი ეუბნება ჰორაციოსა და მარცელუსს: *„მოჩვენებას რაც შეეხება, – პატიოსანი სული არის იგი, – მერწმუნეთ“* [შექსპირი, 1987: 336].[4] მიუხედავად ამისა, ჰამლეტს მაინც სჭირდება სრული დარწმუნება იმაში, რომ აჩრდილი ნამდვილად მამამისია და არა მის დასაღუპად მოვლენილი ბოროტი სული. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჰამლეტი, რომელიც ამბობს, *„აღარც კაცის ნახვა მიამება, აღარც ქალისა“* [შექსპირი, 1987: 344], უცბად უზომოდ ნაამები რჩება, როდესაც როზენკრანცი აუწყებს მოხეტიალე მსახიობთა დასის ელსინორში ჩამობრძანებას. ახლა მას შეუძლია, კლავდიუსის თვალწინ მსახიობებს გაათამაშებინოს აჩრდილის მონათხრობი ამბის მსგავსი წარმოდგენა და საბოლოოდ დაადგინოს სიმართლე: *„ეს წარმოდგენა მე გამიმხელს მეფის სინიდისს“* [შექსპირი, 1987: 349].[5]

გარდა მეფის სინდისის და აჩრდილის სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობის გამოაშკარავებისა, პიესა პიესაში აგრეთვე ემსახურება დედოფლის სინდისის გამოღვიძებას. ჰამლეტი ცდილობს დაეხმაროს დედამისს საკუთარი „სინდისის დაჭერაში“ და ამავე დროს აფრთხილებს ოფელიას, არ დაემსგავსოს მას.

ამრიგად, ჰამლეტის „გონზაგოს მკვლელობა“, ისევე როგორც ალბათ შექსპირის „ჰამლეტი“, ასახავს მისი მაყურებლის მორალურ სინამდვილეს. და გასაოცარია, რომ ეს პიესა პიესაში აგრეთვე ცდის საკუთარ მართებულობას: კლავდიუსს რომ არ გამოემჟღავნებინა თავისი დანაშაული, აჩრდილის მონათხრობი სიცრუე აღმოჩნდებოდა, „გონზაგოს მკვლელობა“ კი დაკარგავდა თავის მორალურ საფუძველს. ასეთი ურთიერთმიმართების დამყარება ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის ჰამლეტის შემოქმედებითი მიღწევაა. ეს მიგვანიშნებს შექსპირის ანალოგიურ მიღწევაზე „ჰამლეტის“ დაწერისა და დადგმის საქმეში.

„გონზაგოს მკვლელობის“ წარმოდგენამდე, უშუალოდ „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგის წინ, კლავდიუსი და პოლონიუსი, ჰამლეტზე თვალთვალის მიზნით, ცდილობენ ჰამლეტისა და ოფელიას „შემთხვევითი“ შეხვედრა მოაწყონ. ამ ჩანაფიქრის მიმართ პოლონიუსის კრიტიკული რეპლიკის გაგონებაზე კლავდიუსი ფაქტობრივად უტყდება მკითხველსა და მაყურებელს თავის დანაშაულში:

პოლონიუს

გასაკიცხნი ვართ თუმც ამისათვის, მაგრამ კი ხშირად

ფარისევლობით, ვითომ სათნო სახის ჩვენებით

ჩვენს ეშმაკეულ ბუნებასაც წმიდანად ვსახავთ.

ხელმწიფე (იქით)

ოჰ, რასაც ამბობ, მართალია, ყოვლად მართალი!

როგორ მწვავად ჰკბენს მისი სიტყვა ჩემ სინიდისსა!

ფერ-უმარილით წათხუპნილის როსკიპის სახე

არ არის ისე საზიზღარი, ვით ცოდვა ჩემი,

გამოხვეული ფერად-ფერად სათნო სიტყვებში.

მძიმე ყოფილხარ, ცოდვის ტვირთო! [შექსპირი, 1987: 350]

პოლონიუსისთვის დაფარული, ხოლო მკითხველისა და მაყურებლისთვის გაცხადებული ხელმწიფის ამ სიტყვებით შექსპირი გვამცნობს, რომ კლავდიუსი ნამდვილად მკვლელია საკუთარი ძმისა, ხოლო აჩრდილი – მართლაც ჰამლეტის მამის სული. მართალია, კლავდიუსი აქ არ აცხადებს, უშუალოდ რას წარმოადგენს მისი დანაშაული, მაგრამ მის მიერ ამ დანაშაულის სიმძიმის აღწერა აშკარად მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს რაღაც საშინელ ცოდვასთან. მოგვიანებით, ჰამლეტის ხელმძღვანელობით დადგმული სპექტაკლის შინაარსით შეძრწუნებული კლავდიუსი, როგორც კი თავს მარტო დაიგულებს, აღიარებს მკითხველისა და მაყურებლის წინაშე, რომ მან მართლაც მოკლა საკუთარი ძმა. შემდეგ კი დაიჩოქებს და ლოცვას შეუდგება. ამით მკითხველისთვის და მაყურებლისთვის ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეულია. ჩვენ სულაც არ გვჭირდება „ხაფანგის სცენაში“ კლავდიუსის სახეზე დაკვირვება, რათა ამოვიცნოთ მისი სინდისის საიდუმლო, როგორც ეს სჭირდება ჰამლეტს. რაც შექსპირმა ჩვენ მზამზარეულად მოგვართვა, ჰამლეტისთვის დაფარულია. ამიტომ აქ საკითხი ასე დგას: შეუძლია თუ არა ჰამლეტს, დარწმუნებული იყოს მეფის დანაშაულში იმ შედეგით, რომელიც მოიტანა „გონზაგოს მკვლელობის“ დადგმამ?

წარმოდგენის დაწყებამდე ჰამლეტი გაესაუბრება დასის წამყვან მსახიობს თეატრის როლსა და ფუნქციაზე. იგი განუმარტავს მას თეატრის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, რომ *„თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს“* [შექსპირი, 1987: 352], რათა მივიღოთ სასურველი ესთეტიკური შედეგი. ჰამლეტი ერთგვარი ზომიერებისაკენ მოუწოდებს მსახიობებს: მათ ევალებათ, რომ *„მოქმედება სიტყვას* [შეუფერონ, – ი. პ.] *და სიტყვა*

მოქმედებას“ [შექსპირი, 1987: 352], არც ყვირილი მორთონ და არც ზედმეტად მოდუნდნენ. გარდა ამისა, მათ არც არაფერი უნდა დაამატონ და არც დააკლონ იმ სცენარს, რომელიც ჰამლეტმა მოამზადა მათთვის, რადგან ამ სცენარმა მაქსიმალურად რეალისტურად უნდა წარმოაჩინოს დანიის სამეფო კარის გარყვნილი სამყარო. აჩრდილის ამბავი ზუსტად ისე უნდა გათამაშდეს, როგორც მან ეს უამბო ჰამლეტს. და მართლაც, როგორც ჯონ უილსონი შენიშნავს, *„ბაღის სცენა, ნაშუადღევს წაძინება, საწამლავის ბუნება, მოწამვლის მეთოდი, დედოფლის შებმა, გვირგვინის მიტაცება: ყველაფერი დუბლირებულია“* [Wilson, 1951: 140]. ერთადერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ჰამლეტს შეაქვს ამ ამბავში, არის ის, რომ მეფე გონზაგოს მკვლელი, ლუციანუსი, მისი ძმა კი არ არის, არამედ – ძმისშვილი. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით ჰაროლდ გოდარდი აცხადებს: *„ძმა რომ ყოფილიყო, „გონზაგოს მკვლელობა“ რამდენადმე შეინარჩუნებდა სარკესთან მსგავსებას. ორიოდე მარცვლის დამატებით ჰამლეტი მენტალურ მახვილს ნამდვილ მახვილად აქცევს და საბოლოოდ, პირდაპირ მუქარად გარდაქმნის იმას, რაც წარმოსახვითი ექსპერიმენტის სახით დაიწყო“* [Goddard, 1960: 367]. რა თქმა უნდა, ჰამლეტის ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გავიგოთ, როგორც მისი მუქარა ბიძამისისადმი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცვლილება ერთგვარი აუცილებლობაცაა, რადგან, თუ ლუციანუსი გონზაგოს ძმა იქნებოდა, მაშინ გათამაშებული წარმოდგენა კლავდიუსის სინდისის გამოაშკარავების ნაცვლად პირდაპირ დაადანაშაულებდა მას ძმის მკვლელობაში, რითაც დაკარგავდა კიდეც ჭეშმარიტების დადგენის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში ჰამლეტი ვერასდროს გაარკვევდა დადგმულ წარმოდგენაზე მეფის რეაქციის ნამდვილ მიზეზს: ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც კლავდიუსის დამნაშავეობა, ასევე მისი ბრაზი ჰამლეტის უსაფუძვლო და უნამუსო ბრალდებაზე.

მიუხედავად გოდარდისგან შემოთავაზებული გამოსავლის გაკრიტიკებისა, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ლუციანუსის ძმისწულობა სრულებით არ წარმოადგენს პრობლემას. წარმოდგენის შეჩერების შემდეგ ჰამლეტს შეეძლო საკუთარი თავისთვის ეკითხა: *იქნებ მეფე უდანაშაულოა და მხოლოდ წარმოდგენაში მინიშნებულმა ჩემმა მუქარამ დააფეთა?*გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ალბათ უმჯობესი იქნებოდა ჰამლეტს, შექსპირის ნებით, ლუციანუსი არა გონზაგოს ძმად ან ძმისწულად, არამედ მის ცოლისძმად ან ბიძაშვილად ან თუნდაც ძედ გამოეცხადებინა.[6] ამის ნაცვლად, შექსპირმა მკვლევრებს თავსატეხი დაუტოვა. როგორც ჩანს, მას ძალიან სურდა ჰამლეტის დადგმულ „გონზაგოს მკვლელობას“ ერთდროულად დანიის სამეფო კარის ახლო წარსულის საიდუმლოც გამოემჟღავნებინა და მისი უახლოესი მომავალიც განეჭვრიტა. ზოგადად, წარსულის სწორი გააზრება მომავლის სწორად დაგეგმვის საწინდარია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, თუ კლავდიუსმა მართლაც მოკლა საკუთარი ძმა, მაშინ ჰამლეტისგან მისი მოკვდინება დანიის მომავლისთვის აუცილებელი ხდება. წარმოდგენაში ამგვარი ორმაგი აზრის ჩადებით შექსპირის მიერ დემონსტრირებულია თავისი ყველაზე ინტელექტუალი პროტაგონისტის შემოქმედებითი ოსტატობა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გათამაშებული წარმოდგენის წარმატებულ შედეგებში ჰამლეტს, ისევე როგორც ჰორაციოს, ოდნავაც ეჭვი არ ეპარება: *„ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო. იმ აჩრდილის თითო სიტყვა ათასი ოქრო ღირებულა. შენიშნე? . . . როცა მოწამვლაზე ლაპარაკი დაიწყეს...“* [შექსპირი, 1987: 357]. ჰორაციოც

უდასტურებს, რომ ყველაფერი კარგად შენიშნა. ამის შემდეგ ჰამლეტისგან შურისძიების დაყოვნება უკვე აღარ უკავშირდება ჭეშმარიტების უცოდინრობას.

წარმოდგენის შეჩერებიდან რამდენიმე წუთში შურის საძიებლად გამზადებული ჰამლეტი თავს წაადგება დაჩოქილ და ლოცვაში მყოფ მეფეს. მართალია, უფლისწულს მლოცველი მეფის სიტყვები არ ესმის, მაგრამ საკუთრივ ეს სანახაობა მისთვის ბიძამისის დამნაშავეობის დამატებითი საბუთია, რადგან სხვანაირად ძნელი დასაჯერებელია, წარმოდგენის ხილვის შემდეგ კლავდიუსს დაჩოქებისა და ლოცვის სურვილი აღძვროდა.

ამგვარად, მეტადრამატული გადმოსახედიდან, „გონზაგოს მკვლელობაში“ მკვლელის, ლუციანუსის, ნათესაური მიმართება მსხვერპლთან, გონზაგოსთან, „ჰამლეტში“ შესაბამება არა კლავდიუსის ნათესაურ მიმართებას მეფე ჰამლეტთან, არამედ უფლისწული ჰამლეტის ნათესაურ მიმართებას კლავდიუსთან. თუმცა, ლუციანუსისგან არჩეული მკვლელობის მეთოდი ზუსტად ირეკლავს აჩრდილის მონაყოლ ამბავს და ამიტომ კლავდიუსის ნამოქმედარს შეესატყვისება. *„ვისაც ნიორი უჭამია, პირიც იმას დაეწვას“* [შექსპირი, 1987: 356], – ეუბნება ჰამლეტი კლავდიუსს. დადგმულმა წარმოდგენამ ის უნდა შეაწუხოს, ვისი სინდისიც არ არის სუფთა, იქნება ეს უფლისწული თუ მეფე. როდესაც კლავდიუსი ეკითხება ჰამლეტს, თუ რა ჰქვია წარმოდგენას, უფლისწული ცვლის პიესის სათაურს და პასუხობს: *„თაგვების მახე“* [შექსპირი, 1987: 356]. იგი განუმარტავს მეფეს, რომ სათაური მეტაფორული მნიშვნელობისაა. საინტერესოა ასევე აღინიშნოს, რომ ეს სათაური მეტადრამატულადაც არის გამოყენებული, ვინაიდან „თაგვების მახემ“ უნდა დაიჭიროს არა მისი პერსონაჟის, ლუციანუსის, არამედ მეტადრამატული პერსონაჟის, კლავდიუსის, სინდისი. და საბოლოოდ, ეს წარმოდგენა ადასტურებს ხელმწიფის დამნაშავეობას და აჩრდილის პატიოსნებას. მეფის სინდისი ებმება „თაგვების მახეში“. ახლა სრულებით არ არის გასაკვირი, რომ ჭეშმარიტების ძიებაში ჰამლეტი თეატრს დაეყრდნო. უფლისწულს სამართლიანად სწამს ხელოვნების ძალის და ენდობა მას, როგორც სარკეს, რომელსაც შესწევს ძალა არა მხოლოდ ასახოს მის წინ არსებული ვიზუალური სინამდვილე, არამედ აგრეთვე გაშიფროს მასში მაყურებელი პიროვნების სინდისიც.

„გონზაგოს მკვლელობის“ წარმოდგენა დაახლოებით „ჰამლეტის“ შუაში ხდება. წარმოდგენის შეჩერება გადამწყვეტი მომენტია პიესაში. აქედან მოყოლებული ჰამლეტს ყოველ მიზეზ გარეშე და დაუყოვნებლივ მართებს მოქმედება. აჩრდილი არ აღმოჩნდა ბოროტი სული. იგი მამამისის ტანჯული სულია, რომელიც ღვიძლმა ძმამ მუხანათურად გამოასალმა სიცოცხლეს. და მართლაც, ავად თუ კარგად, ჰამლეტი გადადის მოქმედებაზე.

„გონზაგოს მკვლელობას“ გარს აკრავს მეტაპიესად მისივე მსგავსი სიუჟეტისა და რეალობის ამსახველი „ჰამლეტი“. ამით მინიშნებულია, რომ „ჰამლეტსაც“, თავის მხრივ, გარს უნდა ეკრას ერთგვარ მეტაპიესად მისივე მსგავსი სინამდვილე, რომელიც სინამდვილეში ჩვენი სინამდვილეა. შეგვიძლია ამ მეტაპიესას პირობითად „მეტაჰამლეტი“ ვუწოდოთ. „ჰამლეტის“ პირველი დადგმიდან გასულ ოთხ საუკუნეს არსებითად არ შეუცვლია ადამიანური სამყარო. ჩვენი სამყარო ისევე მოცულია ბოროტებით, როგორც „ჰამლეტის“ სამყარო. ეს დროებაც ისევე „ნაღრძობია“[7], როგორც, ჰამლეტის თქმით, ეს იყო დანიაში. არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ადგილი, სადაც ჩვენ შევძლებთ გავექცეთ ამ რეალობას; არ არსებობს დრო, როცა ეს რეალობა სხვაგვარია,

რადგან *„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“*, იყო და იქნება. *„მაგის საცნობად რად გვინდოდა აჩრდილის მოსვლა“* [შექსპირი, 1987: 335], – მიუგებს ჰამლეტს ჰორაციო. და მართლაც, ეს ყველაფერი ნებისმიერ ქვეყანას ეხება, იქნება ეს ჰამლეტის დანია, შექსპირის ინგლისი თუ ჩვენი საქართველო. *„დანია საპყრობილეა“*, – ამბობს ჰამლეტი და შენიშნავს, რომ მთელი მსოფლიო ერთი დიდი *„საპყრობილეა, რომელშიაც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული“* [შექსპირი, 1987: 343].

ქართულ სინამდვილეში საინტერესოა გამოვყოთ „ხაფანგის სცენის“ რობერტ სტურუასეული გააზრება რუსთაველის თეატრში ბოლოს დადგმულ „ჰამლეტში“.[8] რეჟისორი ამ მეტათეატრალური სცენის საკმაოდ ორიგინალურ გადაწყვეტას გვთავაზობს, საიდანაც კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთგვარ „მეტაჰამლეტში“ ვიმყოფებით.

სტურუას „ჰამლეტი“ დაყოფილია ორ მოქმედებად. მათ შორის მიჯნას სწორედ „ხაფანგის სცენა“ ავლებს. გონზაგოს მკვლელობა რომ გათამაშდება, კლავდიუსი წამოდგება, შეაჩერებს წარმოდგენას და მოითხოვს სინათლეს. ზუსტად ამ დროს სტურუას წარმოდგენაც ჩერდება, დარბაზში სინათლე ინთება და მაყურებელიც წამოდგება. კლავდიუსის დანაშაულს მოეფინა სინათლე, აჩრდილის სიტყვები კი აღმოჩნდა სიმართლე. როგორც ჰამლეტისა და ჰორაციოსთვის, ასევე ჩვენთვისაც ნათელი ეფინება ამ სიმართლეს. ასეთი პარალელიზმით რეჟისორს სურს შეამციროს ზღვარი სცენასა და აუდიტორიას შორის, რათა ამით ხაზი გაუსვას იმ სიღრმისეულ კავშირსა და მსგავსებას, რაც არსებობს პიესასა და ჩვენს რეალობას შორის, ანუ „ჰამლეტსა“ და „მეტაჰამლეტს“ შორის. ანტრაქტის შემდეგ, წარმოდგენის მეორე მოქმედება „ხაფანგის სცენის“ სწრაფი განმეორებით იხსნება, და როცა მეფე კვლავ წამოდგება, პიესის სისხლიანი ნაწილიც იწყება.

ამრიგად, „ჰამლეტი“ და მასში დადგმული პიესა „გონზაგოს მკვლელობა“ ერთ არსს გამოხატავენ. მეფე ჰამლეტის ფარული მკვლელობა, რომელიც წინ უძღვის და განაპირობებს „ჰამლეტში“ განვითარებულ მოვლენებს, თითქმის ზუსტად არის იმიტირებული უფლისწული ჰამლეტის მიერ დადგმულ „გონზაგოს მკვლელობაში“. თუმცა საყურადღებოა, რომ სიუჟეტურად ამ ორ პიესას ერთმანეთისგან მკვლელსა და მის მსხვერპლს შორის არსებული ნათესაური მიმართება განსხვავებს, რაც განპირობებულია ჰამლეტის გადაწყვეტილებით, უსამართლოდ არ დაადანაშაულოს ბიძამისი მკვლელობაში და თან დაემუქროს მას შურისძიებით, თუკი ის მართლაც დამნაშავეა. რახან „გონზაგოს მკვლელობის“ დადგმით ჰამლეტმა ამხილა „ჰამლეტში“ წარმოდგენილი რეალობა, მართებულია ვიფიქროთ, რომ „ჰამლეტის“ დაწერითა და დადგმით შექსპირმაც მსგავსადვე ამხილა ჩვენი რეალობა. აქედან გამომდინარე, პიესა „ჰამლეტის“ მიმართ ჩვენი რეალობა ერთგვარი მეტაპიესის პოზიციაში დგება, რის გამოც ჩვენ მას პირობითად „მეტაჰამლეტი“ ვუწოდეთ. „ჰამლეტის“ სტურუასეული დადგმა კი კვლავ და კვლავ მიანიშნებს, რომ „გონზაგოს მკვლელობა“, „ჰამლეტი“ და „მეტაჰამლეტი“ არსობრივად ყველა ერთ სინამდვილეს გამოხატავს.

1 ამ შემთხვევაში საკმარისია „გონზაგოს მკვლელობის“ სიუჟეტური წყაროს მხოლოდ ფიქციური არსებობა ვიგულისხმოთ: როგორც ჰამლეტი გვამცნობს პიესაში, *„ეს ამბავი ნამდვილია*

და ჩინებულის იტალიურის ენით არის დაწერილი“ [შექსპირი, 1987: 356]. მისი შესაძლო წყაროს რეალური არსებობის შესახებ იხ., მაგ., Redmond, 2009: 18-23.

2 ჯონ სტაიენი შენიშნავს: *„შექსპირი არ იყო თავისი პიესების რეჟისორი თანამედროვე გაგებით, მაგრამ როცა კი ხელი მიუწვდებოდათ მასზე, რაც ხშირად სწორედ სცენაზე თუ მოხდებოდა რეპეტიციის დროს, ეს ნამდვილად ჩააყენებდა მას არსებითად იმავე პოზიციაში“* [Styan, 1967: 53].

3 აქ და სხვაგან სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურიდან მოყვანილი ციტატების თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს.

4 აქ და სხვაგან „ჰამლეტიდან“ მოყვანილი ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს.

5 დედანშია *“The play’s the thing / Wherein I’ll catch the conscience of the king”* [Shakespeare, 2003: 2.2.557-8] – *ეს წარმოდგენა არის ის, რითაც მე დავიჭერ მეფის სინდისს.* ჰამლეტის ამ სიტყვებში უკვე დევს მეფის ფარული შედარება თაგვთან. მოგვიანებით, ჰამლეტი „გონზაგოს მკვლელობას“ „თაგვების მახეს“ უწოდებს, რითაც მიანიშნებს, რომ მეფე თაგვია, რომელიც ამ პიესამ უნდა დაიჭიროს.

6 ძის შემთხვევაში, ჰამლეტს ვერავინ დააბრალებდა მამის მკვლელობას, რადგან მამამისის გარდაცვალებისას იგი ვიტენბერგში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ჰამლეტის მამის სიკვდილით არა ჰამლეტმა, არამედ კლავდიუსმა ისარგებლა.

7 დედნის *“The time is out of joint”* [Shakespeare, 2003: 1.5.189] – *დრო ნაღრძობია* – მაჩაბელმა, ნიკო ყიასაშვილის აზრით, სავსებით ადეკვატურად გადმოიტანა, როგორც *„დროთა კავშირი დაირღვა“* [შექსპირი, 1987: 489].

8 აქ ვგულისხმობთ სტურუას „ჰამლეტის“ მეორე ვერსიას, რომლის პრემიერა შედგა 2006 წლის ნოემბერში. პირველი ვერსია დაიდგა 2001 წელს.

ლიტერატურა

Goddard H. C. The Meaning of Shakespeare. Vol. 1. - Chicago: University of Chicago Press, 1960

Hunt M. W. Looking for Hamlet. New York: Palgrave Macmillan, 2007

Redmond M. J. Shakespeare, Politics, and Italy: Intertextuality on the Jacobean Stage. - Farnham: Ashgate, 2009

შექსპირი უ. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. 3. / რედ. ნ. ყიასაშვილი. - თბილისი:„ხელოვნება“, 1987

Shakespeare W. Hamlet. Dir. Robert Sturua. Rustaveli Theatre. - Tbilisi, 2006

Shakespeare W. Hamlet, Prince of Denmark. Ed. P. Edwards. 2nd ed. New Cambridge Shakespeare. - Cambridge: Cambridge University Press, 2003

Styan, J. L. Shakespeare's Stagecraft.- Cambridge: Cambridge University Press, 1967

Wilson, J. D. What Happens in Hamlet. 3rd ed. - Cambridge: Cambridge University Press, 1951

ზუზანა კრინკოვა

ევროპული ენების ჟარგონებში არსებული ნასესხობები ბოშური ენიდან: მათი წარმომავლობა, მნიშვნელობა და იდეოლოგია

ევროპულ ენებში არსებული ჟარგონები და პირობითი ენა[1] საყურადღებოა იმით, რომ მასში საკმაოდ ბევრი სიტყვაა, რომელთა წარმოშობაც ბოშურ ენას უკავშირდება[2]. სტატია განიხილავს ასეთი სიტყვების არსებობას სასაუბრო ენასა და ჟარგონში/პირობით ენაში. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვამახვილებ ესპანურზე და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ზოგიერთ ენაზე (ჩეხური, სლოვაკური, უნგრული, რუმინული). შესავალში მოკლედ მიმოვიხილავ იმ სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებშიც ამგვარი სიტყვების მოძიებაა შესაძლებელი. ეს ჯგუფები, რომლებიც ყველა საკვლევ ენაში გვხვდება, გასაოცარ ლექსიკურ მსგავსებას გვაჩვენებს.[3]

სტატიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ზოგიერთი სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა ეთნიკური თვალსაზრისით (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკურ ჯგუფის წევრსა და არაწევრზე ფოკუსირება) და იმის ჩვენება, თუ როგორ იცვლება სიტყვის მნიშვნელობა ხშირად უარყოფითისაკენ/დამამცირებელისაკენ და ეს ტენდენცია ყველა ენაში ნათლად ჩანს. ამას გარდა, შევეცდები ავხსნა ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ამ სიტყვათა შესვლა ჟარგონში/არაფორმალურ მეტყველებაში და რატომ შეიძლებოდა მათი მნიშვნელობა შეცვლილიყო. ამ მიზნით მოვიყვან მაგალითებს ჩეხური, უნგრული, ესპანური ინტერნეტ ბლოგებიდან თუ დისკუსიებიდან. 2006-2012 წლებში ჩავატარე კვლევა ამ საკითხის შესახებ და, შესაბამისად, ამ კვლევას ემყარება ჩემი მონაცემები, რომელთაც ქვემოთ მოვიყვან.[4]

რამდენიმე მოკლე ისტორიული ცნობა ცენტრალურ ევროპაში არსებული ბოშა მოსახლეობის[5] შესახებ

ბოშები ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე მეთხუთმეტე საუკუნეში მოვიდნენ და აქედან მოედვნენ მთელ დასავლეთ ევროპას და ესპანეთამდეც კი ჩააღწიეს.[6]

ისტორიის განმავლობაში ბოშების მიგრაცია ევროპაში რამდენიმე ტალღად მოხდა. ყველაზე დიდი ნაწილმა მიაღწია ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას მეცხრამეტე საუკუნეში. ეს მაშინ მოხდა, როცა დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე სისასტიკით გამორჩეული ბატონყმობა გაუქმდა[7]. ამან გამოიწვია მათი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში მიგრაცია. მეორე მსოფლიო ომის დროს ცენტრალურ ევროპაში ადგილი ჰქონდა ბოშათა გენოციდს. ეს ბოშები ამ ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობაში იყვნენ უკვე ასიმილირებულები.

ჩეხოსლოვაკიაშიიიის ომის შემდეგ [8] სლოვაკი ბოშების ორგანიზებული გადასახლება მოხდა აღმოსავლეთ სლოვაკეთიდან ჩეხეთის ტერიტორიაზე; უმეტეს შემთხვევაში საზღვრისპირა ნაწილებში ხდებოდა ამგვარი გადასახლება. კომუნისტური რეჟიმის დროს ტრადიციული ბოშური

კულტურა, ენა და ეროვნული სული მუდმივად იჩაგრებოდა. ამან კი, თავის მხრივ, ბოშ მოსახლეობაში ტრადიციული ფასეულობების ნგრევა გამოიწვია. რკინის ფარდის მოსპობის შემდეგ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპიდან დასავლეთისაკენ მიგრაცია კიდევ რამდენიმეჯერ დაფიქსირდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად ცხოვრობდა ბოშა - ესპანეთსა თუ უნგრეთში - ორივე ქვეყანაში, მათი გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, მათ მიმართ დამოკიდებულება მაინც ერთნაირი იყო: ისინი იდევნებოდნენ (განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში), მათი ეთნოსის მუდმივი უარყოფა ხდებოდა. სიტყვა ,,ბოშა'' აკრძალული იყო და მათ მოიხსენიებდნენ სახელით ,,ახალი ესპანელი'' ან ,,ახალი უნგრელი''. თუმცა ბოშები დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი ამ ქვეყნებში და მათი მუსიკის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანეს (ესპანური ფლამენგო სწორედ ბოშური მუსიკის მოტივებზეა ისევე, როგორც უნგრული ვერბუნკოში და ცარდასი). სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ ქვეყნების ჟარგონში უხვადაა ნასესხობები ბოშათა ენიდან.

ბოშური წარმოშობის სიტყვები და მათი ადგილი ევროპული ენების ლექსიკონში

ბოშურ დიალექტებს, რომლებიც ევროპაშია გავრცელებული, მეცნიერები მეთვრამეტე საუკუნიდან შეისწავლიან.[9] ცნობილია, რომ ბოშათა ენა შედგება, ერთი მხრივ, ინდური წარმოშობის სიტყვებისაგან და, მეორე მხრივ, სომხური, სპარსული, ბერძნული ან სლავური ნასესხობებისაგან. ეს ნასესხობები განპირობებულია იმით, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა ან ცხოვრობს ბოშათა ესა თუ ის ჯგუფი.

დღესდღეისობით ლექსიკოლოგები, სოციო-ლინგვისტები თუ სხვა დარგების ექსპერტები დაინტერესებულნი არიან, თუ როგორ მოახდინა გავლენა ამ ქვეყნების ენაზე ბოშათა ენამ.

ბოშური წარმოშობის სიტყვები[10] შესულია ზოგიერთ ჟარგონის ლექსიკონში[11] და რამდენიმე სტატიაში[12], თუმცა, სამწუხაროდ, ევროპულ ენებში ეს საკითხი არ არის ჯეროვნად შესწავლილი, მეცნიერები არ ახდენენ ფოკუსირებას ბოშური წარმოშობის სიტყვებზე.[13]

საშუალო ასაკის მშობლიურ ენაზე მოსაუბრე, ვთქვათ, ჩეხი ადამიანი, ძალიან მარტივად განასხვავებს ჩეხურ ენაში ინგლისური ან გერმანული წარმოშობის სიტყვებს, თუმცა, არასდროს არაფერი სმენია, ალბათ, ბოშური წარმოშობის სიტყვების შესახებ. ეს ბოშათა ეთნოსის მრავალწლიანი მარგინალიზაციის შედეგია[14] და ბოშათა ენისაც და იმისიც, რომ ეს ენა უმრავლესობათა ენაში ისე შევიდა, რომ მარგინალური შრეები არ გააჩნია.[15]

ბოშური ენიდან მომდინარე სიტყვების უმრავლესობა სასაუბრო ენაში ისე შევიდა, რომ რიგ შემთხვევაში მისი ბოშური ძირები საერთოდ უცნობია (ისინი ლექსიკონებშიც კი არ არის ნახსენები).

ბოშური წარმოშობის სიტყვები სხვადასხვა რაოდენობით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ენაში. მაგალითად, სალაპარაკო უნგრულში, რუმინულში თუ ესპანურში ისინი უფრო მეტადაა,

ვიდრე სლოვაკურში; კიდევ უფრო მცირეა მათი რაოდენობა ჩეხურში. ამ ყოველივეს ისტორიული თუ სოციო-კულტურული ფაქტორები განაპირობებს.

პირველ რიგში, ბოშათა დიდი დიასპორა (ბუნებრივია ჰეტეროგენული) ჩეხეთის რესპუბლიკაში და სლოვაკეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ესპანეთშია. ამ ქვეყნის ბოშები სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ (ზოგიერთი ჯგუფი საერთოდ აღარ საუბრობს ამ ენაზე). მიუხედავად ბოშათა ტრადიციების მარგინალიზაციისა, აშკარად ჩანს ის ტრადიცია, რომ არსებობდა მრავალწლიანი სოციალური კონტაქტი ბოშა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

ევროპული ენების უმრავლესობის პირობითი ენა (ევროპული ენების საკმაოდ დიდი ნაწილი) სწორედ ბოშათა ენის გავლენით ჩამოყალიბდა. ეს ტენდენცია მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება და დღესაც აქტუალურია.[16] იგი დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან და ასევე ბოშათა მიგრაციასთან. ზოგიერთი სიტყვა დღეს აღარ არის პირობითი ენის შემადგენელი ნაწილი და აქტიურად გამოიყენება ამ ქვეყნების სალაპარაკო ენებში.

ბოშური სიტყვები ჩეხურ, უნგრულ, რუმინულ და ესპანურ პირობით ენებში

ჩეხური პირობითი ენა გერმანულ ჟარგონთან პირდაპირი კავშირის შედეგად ყალიბდებოდა და, შესაბამისად, მასში მრავლადაა ნასესხობები ებრაულიდან (გერმანული პირობითი ენის ნახევარი ებრაული ენიდან მოდის და ამიტომ ჩეხურ ენაშიც იმავე ტენდენციას ვხვდებით). ბოშური წარმოშობის სიტყვები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მცირე იყო და მათი რიცხვი თანდათან გაიზარდა.[17]

ტრადიციულად ვხვდებით უამრავ ბოშურ სიტყვას იმ ჟარგონში, რომელსაც იყენებდნენ ცირკის მსახიობები, ჟონგლიორები და სხვა ადამიანები, რომლებიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი ჟარგონის უმეტესობა კრიმინალური ხასიათისაა, რადგან ისინი ყოველთვის საზოგადოებისაგან გარიყულნი იყვნენ. ჩეხი ცირკის მოხელეთა ჟარგონის 35% შედგება ბოშური წარმოშობის სიტყვებისაგან; რა თქმა უნდა, ყველა მათგანს არ მოუღწევია ჩვენამდე, თუმცა მათი უმეტესობა დღესაც არსებობს[18].

უნგრული და ესპანური პირობითი ენაც ხასიათდება ბოშური წარმოშობის სიტყვების დიდი სიმრავლით. ისინი დაცულია მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც შესამჩნევია მათი საგრძნობი ზრდა. ეს ყოველივე დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან და ამ ქალაქებში ბოშა მოსახლეობის მიგრაციასთან. ბოშებმა ხელი შეუწყვეს სპეციალური, გარეუბნული ჟარგონის ჩამოყალიბებას. უამრავი ბოშური წამოშობის სიტყვა უნგრული და ესპანური სალაპარაკო ენის განუყოფელი ნაწილი გახდა. მათი რაოდენობა, დაახლოებით, 400-ს აღწევს.

უამრავი ნასესხობაა ბოშური ენიდან თანამედროვე რუმინულ ენაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ წლების განმავლობაში არსებობდა საკმაოდ მჭიდრო კავშირი ბოშებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.[19]

ბოშური ენის ნასესხობათა სემანტიკური თავისებურება და რამდენიმე მაგალითი ზოგიერთ ევროპულ ენაში

სემანტიკური[20] თვალსაზრისით შეინიშნება ტენდენციები, რომლებიც მსგავსია ყველა ენისათვის:

1) უმეტეს შემთხვევაში ბოშური ენის მნიშვნელობა შენარჩუნებულია: ბოშურად *šukár*[21] 'ლამაზი' → უნგრულად *sukár*[22]'ლამაზი', ესპანურად *juncal*[23] 'ლამაზი'; ბოშურად *jakha* 'თვალი' → ესპანურად *acáis* 'თვალები'.

2) თუმცა ზოგ შემთხვევაში მნიშვნელობა უარყოფით დატვირთვას იღებს: *vakerel* 'საუბარი (მესამე პირი)' → უნგრულად *vakerál* 'ჭორაობა (მესამე პირი)'; ბოშურად *čhaj* 'გოგო' → ესპანურად *chai* 'მსუბუქი ყოფაქცევის ქალი'.

3) ხანდახან მნიშვნელობა არამდგრადია: ბოშურად *gadžo* 'გლეხი, არაბოშა' → უნგრულად *gádzsó* 'არაბოშა', 'კაცი', 'ბოშა კაცი'; ესპანურად *gachó* 'კაცი', 'ცუდი კაცი'.

4) ზოგ შემთხვევაში მნიშვნელობა იცვლება: ბოშურად *mangel* 'თხოვნა, ხვეწნა (მესამე პირი' → ესპანურად *mangar*'მოპარვა (მესამე პირი)', უნგრულად *mangázik* მოპარვა (მესამე პირი)'; ბოშურად *rat* 'ღამე'[24] → ესპანურად *rachí* წვეულება (კორუნას ჟარგონზე).

ამ შემთხვავაში ეს არის მოკლე მიმოხილვა იმ სემანტიკური კატეგორიებისა, რომლებშიც ხშირად ვხვდებით ბოშურ ნასესხობებს. ის სემანტიკური სივრცე, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, შემდეგია:

1) ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, ეთნიკურობისა თუ პროფესიის გამომხატველი, მაგალითად: უნგრულად *csaj* 'გოგო, მეგობარი გოგო' (ბოშურად *čhaj*), ესპანურად *chaval* 'ბიჭი' (ბოშურად *čhavo*, *čhavale* ბიჭები), უნგრულად *góré*'უფროსობა' (ბოშურად *goro*, *gore* უფროსი), ესპანურად *manús*, უნგრულად *manusz* 'ყმაწვილი' (ბოშურად *manuš*), უნგრულად. *more* 'ბოშა' (ბოშურად *moré* გამოიყენება, როცა მიმართავენ კაცს); ეთნოსით განპირობებულ ტერმინებზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებ;

2) ადამიანის სხეულის ნაწილების სახელწოდებები, ხშირად ფოკუსი ხდება კონკრეტულად ქალზე ან კაცზე: ესპანურად *bul*, *bullate*, უნგრულად *bula* 'დუნდულები' (ბოშურად *bul*, *buljate*), ესპანურად *chucháis*, უნგრულად *csöcs*[25]'მკერდი' (ბოშურად *čuči, čuča*);

3) სეკრეციის გამომხატველი სიტყვები: უნგრულად *kula* 'კუჭში გასვლა' (ბოშურად *khul*), ესპანურად *giñar* 'ბუასილის ქონა, ჩეხურად *chynda* 'დუნდულები' (ბოშურად *xin* - 'ძღნერი') უნგრულად *mutrál* 'მოფსმა (მესამე პირი)' (ბოშურად*mutrel* 'მოფსმა (მესამე პირი)';

4) პროსტიტუცია და სექსი: ესპანური *lumi* 'მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი' (ბოშურად *lubni*, *lumni*), უნგრულად *lugnya*'მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი' (Rom. *lubnja*);

5) საჭმელ-სასმელი, თროობა: უნგრულად *kaja* 'საჭმელი', ესპანურად *jalar* 'ჭამა' (ბოშურად. *xal* 'ჭამს'), *pia* 'ალკოჰოლი' (ბოშურად. *pijel* 'სვამს') ესპანურად *mol*, *mollate* 'ღვინო', უნგრულად *mólés* 'მთვრალი' (ბოშურად *mol* 'ღვინო');

6) საუბარი და ემოციის გამოხატვა: უნგრულად *hadoval, dumál* 'ჭორაობს', ესპანურად *chivar* 'ღალატი', უნგრულად*rovázik* 'ტირის' (ბოშურად *rov-* 'ტირილი'), *rinyál* 'ტირის';

7) კრიმინალური აქტივობა: უნგრულად *csór*, ესპანურად *chorar* 'მოპარვა' (ბოშურად *čor* 'ქურდი');

8) ფული: უნგრულად *lóvé* 'ფული' (ბოშურად *love*), ესპანურად *parné* 'ფული' (ბოშურად *parne*);

9) ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოხატავს რაღაც დიდს, კარგს, შესანიშნავს: უნგრულად *baró* (ბოშურად *baro*),*lácsó* (ბოშურად*. lačho*), *csácsó* (ბოშურად *čačo* 'სწორი'), ესპანურად *chachi*;

10) ხარისხი და ხასიათი: უნგრულად *gógyis* 'ჭკვიანი' (ბოშურად *godi* 'ტვინი'), *dilis* 'გიჟი' (Rom. *diló*, *dilino*'გადარეული'), ესპანურად *chungo* 'ცუდი' (ბოშურად *džung* 'ბოროტი'), *gili/jili* 'გიჟი' (ბოშურად *xir* 'ვირი');

11) ძირითადი ზმნები, რომლებიც გამოხატავს მოძრაობას ან გრძნობას: ესპანურად *chalar* 'წასვლა' (ბოშურად *džal*'მიდის'), *chalarse* 'გაგიჟება', *sobar* 'ძილი' (ბოშურად *sov* 'ძილი'), *chanar* 'ცოდნა' (ბოშურად *džan* 'ცოდნა'), *camelar*'სიყვარული' (ბოშურად *kamel* 'უყვარს'), უნგრულად *dzsal* 'მიდის' (ბოშურად *džal*), *kamel* 'უყვარს', *szovel* 'სძინავს'.

ზოგიერთი სიტყვა ეფუძნება ერთი და იმავე სიტყვას (და მსგავსი ფორმით) ერთზე მეტ ენაში.[26] მხოლობითი სიტყვების დიფუზია განსხვავებულია თითოეულ ენაში. ყველა ენის ლექსიკონი უმეტეს შემთხვევაში განიცდის დიფუზიის ნაკლებობას (მაგალითად, უნგრულად *csávó* 'ახალგაზრდა მამაკაცი' ბოშურიდან *čhavo;* ესპანურიდან*queli/keli* 'სახლი' ბოშურიდან *kher* 'სახლი' - არ არის ორივე ენის ლექსიკონში)

ასახავენ თუ არა ბოშური ნასესხობები ბოშურ ღირებულებებსა და გამოცდილებას ?

ლექსიკონში ხშირად ვხვდებით ვულგარულ ან უარყოფითი დატვირთვის სიტყვებს, რომლებიც ბოშური წამომავლობისაა. მაგალითად, ჩეხურ სალაპარაკო ენაში გამოყენებული სიტყვები *čokl* (ძაღლი) ან *čórnout* (მოპარვა) არც თუ ისე კარგად ჟღერს ჩეხი ადამიანის ყურისათვის. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბოშური ნასესხობები ხშირად შეურაცმყოფელია ან იწვევს აღშფოთებასა და გულისწყრომას. ამან შეიძლება გამოუცდელი ადამიანი მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ბოშური ენა არის უხეში და უხამსი ჟარგონი. თუმცა ეს აზრი მრავალჯერ გაქარწყლდა.[27]

როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს ბევრი საერთო ან ნაკლებ საერთო გამონათქვამები ისეთ სემანტიკურ დომეინებში, როგორებიცაა ნათესაობა, ეთნიკურობა, გრძნობები, აქტივობა, პროფესია, ემოცია და გამომხატველობა. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ შეუსაბამობა ბოშურ ნასესხობებში ევროპულ ენებში და მემკვიდრეობით მიღებული ლექსიკონი მატრასი სწორედ ამის შესახებ საუბრობს. იგი წერს:

“იბადება კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობით მიღებული ლექსიკონის სემანტიკური სტრუქტურა უძველესი ბოშური კულტურის აღგენის თვალსაზრისით. მოლოდინი იმისა, რომ ამგვარი ლექსიკონი უნდა შეიცავდეს უძველეს ტრადიციებს, სოციალური ორგანიზების ფორმებს, არის უბრალოდ ჰიპოთეზა, რომელიც ინდო-ევროპულ კვლევებს ემყარება; მაგრამ სრულებითაც არ არის საჭირო, რომ ის ერგებოდეს ჩვენს კონკრეტულ კონტექსტს, რადგან სხვადასხვა ლექსიკურ მონაცემს შეიძლება ურთიერთსაწინააღმეგო ინტერპრეტაციაც კი ჰქონდეს’’ [Matras, 2002:28-29].

თუ ევროპულ ენებში ბოშური ენიდან ნასესხობებს განვიხილავთ, ალბათ რთული იქნება იმის დამტკიცება, რომ ეს ნასესხობები რაღაც კუთხით მაინც ასახავს ბოშათა ცხოვრების სტილსა თუ ღირებულებებს. ერთი მხრივ, ისეთი სემანტიკური დომეინები, როგორებიცაა სხეულის ნაწილები, თრობის, ემოციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, სექსუალური ანდა ტაბუირებული სიტყვები უხვად არის წარმოდგენილი ევროპულ ჟარგონებში და ასახავს ბოშათა ცხოვრების სტილს. მეორე მხრივ, ზოგიერთი ტერმინი - მაგალითად, მუსიკასთან დაკავშირებული სიტყვები - არ არის დამახასიათებელი ჟარგონისათვის. სტატიის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებ ეთნოსით განპირობებული ტერმინების შესახებ და თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია მისი ცვლილება და შეიძლება თუ არა მისი მიჩნევა ტრადიციული ბოშური აზროვნების ნაწილად.

ეთნოსით განპირობებული ტერმინები

ინდოეთიდან ბოშებმა მკაცრად განსაზღვრული კასტური წყობა და ენდოგამია წამოიღეს. ეს განაპირობებდა იმას, რომ ბოშებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის ყოველთვის უფსკრული იყო, მიუხედავად მათ შორის არსებული სოციალური კონტრაქტისა.

ეთნიკური უმცირესობები ყოველთვის იყენებნენ სპეციალურ ტერმინებს დანარჩენი მოსახლეობის აღსანიშნავად. ეს ცნებები არ უტოლება უცხოს ანდა უცხოელს (მაგალითად ებრაელები არაებრაელს მოიხსენიებენ სიტყვით *goi*). ბოშებისათვის, არსებობს ტერმინი *gádžo* ჩეხების აღსანიშნავად, *Gatscho* - გერმანელებისათვის, *gádzsó* - უნგრელებისათვის , *gagiu* - რუმინელებისათვის, ა.შ.).

როგორც მატრასი აღნიშნავს,

“განსხვავება ბოშასა და არაბოშას შორის გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ბოშათა ჯგუფის კულტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიწმინდეს/წაბილწვას. ზოგიერთი ამას ინდურ კასტურ

წყობილებას უკავშირებს (ჰენკოკი 1991), სხვანი ამას მიიჩნევენ პერიპათეტიკური კულტურის სპეციფიკურ გამოვლინებად (საზერლენდი 1975)" [Matras, 2002:28-29].

ბოშური გამოთქმა *gadžo* ნიშნავს არაბოშა კაცს (*gadži* - არაბოშა ქალს). ეს სიტყვა ევროპული ენების უმრავლესობაში თავისი პირველადი მნიშვნელობით არის შესული. ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ჩეხურში) ეს მოიაზრება, როგორც ტიპური ბოშური სიტყვა, და, ძირითადად, გამოიყენება როდესაც ,,ბოშების საკითხების'' შესახებ საუბრობენ. თუმცა, როცა ჩეხი ადამიანი იყენებს ამ სიტყვას (საუბრობს ბოშათა და არაბოშათა ურთიერთობზე), მას, ძირითადად, უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ ევროპულ ენაში ბოშური სიტყვა *gadžo/gadži* იხმარება ზოგადად ქალისა თუ მამაკაცის აღსანიშნავად და იქიდან გამომდინარე, თუ კონკრეტულად ვისზეა საუბარი, მას აქვს ან დადებითი, ან უარყოფითი მნიშვნელობა.

ჩეხურში *gádžo* (მისი მდედრობითი ფომით *gádžovka*) იყენებენ როგორც ლაპარაკისას, ასევე წერისას (მაგალითად, ჟურნალისტები), როდესაც ტექსტი შეეხება ბოშათა და არაბოშათა ურთიერთობას და სურთ ბოშის აღსანიშნავად გამოიყენონ უშუალოდ ბოშური ტერმინი. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ამ სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი არ არსებობს ჩეხურ ენაში. ცირკის მსახიობების ჟარგონში ამ ტერმინით აღნიშნავენ ყველა იმ ადამიანს, რომელიც არ ეკუთვნის ბოშათა ერთობას, მაგალითად, წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებას.

დღესღეისობით ესპანელი ბოშების უმრავლესობა – *gitanos* ან *calé* - ესპნელებს მოიხსენიებენ სიტყვით: *payos*. ცნება*payo-ს* აქვს ჩეხურში გამოყენებული gádžo მსგავსი ფუნქცია და იხმარება მაშინ, როცა საუბარია ბოშათა და არაბოშათა ურთიერთობზე. მაგრამ ესპანურ პირობით ენაში (ასევე სალაპარაკო ენაშიც) აგრეთვე ვხვდებით
სიტყვებს *gachó* და *gachí*(ასევე *gache* ფორმით). კალოს ენაზე[28] ეს სიტყვა აღნიშნავს არაბოშა მამაკაცს ან ქალს, თუმცა ესპანურ ჟარგონში ის იხმარება ზოგადად ქალისა და მამაკაცის აღსანიშნავად. სოციო-ლინგვისტური კვლევების თანახმად, რომელიც ესპანეთში ჩავატარე, *gachó* რიგ შემთხვევაში მიიჩნევა უცხოელად, ზოგ შემთხვევაში კი უცხო ცუდთან იგივდება (ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც სწორედ ამ დატვირთვით არის შესული). ამის საპირისპიროდ, *gachí* განისაზღვრება როგორც მიმზიდველი ქალი ან გოგო, თუმცა ხანდახან მსუბუქი ყოფაქცევის ქალადაც კი.

საყვარლისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალის აღმნიშვნელ ტერმინს ვხვდებით უნგრულშიც (*gádzsi* - ეს ტერმინი ხანდახან ნეიტრალურია და მიმზიდველ ქალს ან გოგოს აღნიშნავს) და რუმინულში (*gagiu* – საყვარელი, *gagiçă* – ქალი საყვარელი).

ჩემი აზრით, *gadžo*-ს საყვარელთან, ხოლო *gadži*-ს ქალ საყვარელთან ან საერთოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან გაიგივება მოდის ბოშათა ტრადიციული სექსუალური სიყვარულის კონცეფციიდან (სტიუარტი, 2005) და ძალიან კარგად ჩანს ის სემანტიკური ცვლილებები რომლებიც მოხდა ბოშათა ენასა და პირობით ენას შორის კონტაქტამდე.

რუმინულ ჟარგონში gagiu-ს გაიგივებას საყვარელთან დამატებითი ისტორიული მიზეზები გააჩნია: დღევანელი რუმინეთის ტერიტორიაზე ბოშები იყვნენ მონები ან მოსამსახურეები

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე და სექსუალური ურთიერთობები ბოშებსა (განსაკუთრებით ქალებსა) და მათ არა-ბოშა მეპატრონეებს შორის საკმაოდ ხშირი იყო.[29]

ჩემი კვლევის თანახმად, უნგრელები და ესპანელები მიიჩნევენ, რომ სიტყვა *gadžo* „ბოშურია“ და აქედან გამომდინარე მისი გამოყენება ბოშების აღსანიშნავად დაიწყეს.

ბოშები იყენებდნენ მეზობელი მოსახლეობის ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითისათვის ვახსენოთ ბოშური სიტყვა*xulaj* 'მიწთამფლობელი, ბატონი, ფერმერი,' რომელიც ესპანურ ჟარგონში შევიდა, როგორც *julay/julai* და ნიშნავს 'წინდაუხედავს'. ამ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობის ცვლა დაკავშირებულია ბოშების უნართან, მოიტყუონ და გააცურონ ადამიანი. ბოშური ზღაპრების მთავარი პერსონაჟი ხშირად არის ჭკვიანი ბოშა, რომელიც ახერხებს სულელი და მიამიტი უცხოელის გაბრიყვებას.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში ბოშები ხშირად იყენებენ სიტყვას *goro* (ინდურში *gorá* ნიშნავს ღია ფერისას) *gadžo*-ს ნაცვლად. სასაუბრო უნგრულში სიტყვა *góré* ნიშნავს უფროსს, დირექტორს, რომელიც მოდის *goro*-ს წოდებითი ბრუნვიდან და მას ძირითადად უნგრელი ახალგაზრდები იყენებენ.

უნგრულ ჟარგონში ვხვდებით ასევე ბოშურ სიტყვას *raňi* (*rányi* უნგრულში), რომელიც ნიშნავს ქალბატონს და *raj-ს,*რომელიც ნიშნავს პატრონს (ამ შემთხვევაში ბოშური სიტყვის მნიშვნელობა შენარჩუნებულია).

მოსახლეობის უმრავლესობის ენაში ვხვდებით ბოშურ გამონათქვამებს, რომლებიც აღნიშნავენ ბოშათა საზოგადოებას. ტერმინი "Rom'' (მრავლობითში Roma) არის ბოშათა ეკვივალენტი. ჩეხურ სალაპარაკო ენაში *romák*-ს უარყოფითი დატვირთვა აქვს.

გამოთქმა *more*, რომლითაც ბოშები ახალგაზრდა ბოშას მიმართავენ, არის უნგრულშიც (*móré*) და ნიშნავს ზოგადად ბოშას.

ჟარგონსა თუ სალაპარაკო ენაში ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ ახალგაზრდა ბოშას. ბოშათა ენა განასხვავებს ბოშა და არაბოშა ბიჭს/ვაჟს და ბოშა და არაბოშა გოგონას/ქალიშვილს. ბოშა ბიჭი/ვაჟი არის *čhavo*, ბოშა გოგონა/ქალიშვილი არის *čhaj*, არაბოშა ბიჭი/ვაჟი - *raklo* და არაბოშა გოგონა/ქალიშვილი - *rakli*.

არაბოშა ახალგაზრის აღმნიშვნელი ტერმინი გვაქვს ესპანურ ჟარგონშიც: *lacorro* - ბიჭი და *lacorra*, *lacorrilla* - მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (აქაც *gadži*-ს მსგავსად კავშირია არაბოშა გოგოსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალს შორის). მაგრამ სიტყვები *čhavo* and *čhaj,* რომლებიც ევროპულ ენებში აქტიურად გამოიყენება, ზოგადად გოგოსა და ბიჭს აღნიშნავს.

სალაპარაკო უნგრულში გამოთქმა *csávó*, *csávesz* ნიშნავს ბიჭს, კაცს, ახალგაზრდა კაცს, ხოლო *csaj*, *csajszi*, *csajszli* - გოგოს, მეგობარ გოგოს (აქედან წამოვიდა სიტყვა *csajozni* – გოგოსთან ერთად სიარული).

სასაუბრო ევროპულ ესპანურში ძალიან გავრცელებულია სიტყვა *chaval* (ბიჭი) და ასევე *chavó*, *chavea* (სიტყვა *chavo*ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ესპანურისათვისაც დამახასიათებელია): ესპანურ ჟარგონში *chai* (გოგო, ახალგაზრდა მეძავი) და გალიციურ ჟარგონში *ja*, *jay* გოგო, მეგობარი გოგო) და მისი კნინობითი ფორმები *chaborró*,*chaborrillo* (პატარა ბიჭი).

ჩეხურ ჟარგონში ვხვდებით *čajka-ს*, სლოვაკურში - *čaja-ს*, გერმანულში *Tschei -ს* (ეს სიტყვა ფიქსირება რუმინულში, შვედურში და ა.შ)

როგორც უკვე აღვნიშნე, ბოშები განასხვავებენ *rom-romni* (*rom* - ქმარი; *romni* ცოლი) და *gadžo-gadži.* მაგრამ ამავე დროს ბოშებში არსებობს ზოგადი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს ადამიანს: *manuš* (მამაკაცი) და *manušňi* (ქალი) ისევე, როგორც მამაკაცი – *murš* და ქალი – *džuvli*. ზოგიერთი ეს ტერმინი შევიდა ჟარგონშიც. ეს სიტყვა ესპანურში გვხვდება, როგორც *manu*, *manús* და ნიშნავს კაცს, უნგრულში – *manus*, *manusz* (კაცი). სიტყვა *džuvli* (რუმინეთის ტერიტორიაზე ასევე *žuli*-ს ფორმაში) რუმინულში არის წარმოდგენილი, როგორც *julă*.

***Gadžo-ს* გამოყენების მაგალითები ჩეხურ, უნგრულ და ესპანურ ინტერნეტ ბლოგებში**[30]:

1) ჩეხური

*Na mezinárodní soutěži Eurosong už budou lídry Radoslava Gipsyho Bangu a Vojtěcha Lavičku doprovázet „**gádžové**“.* (In the international competition Eurosong, there will already *gadžo*s accompany the leaders Radoslav Gipsy Banga and Vojtěch Lavička.)

*Když se Romové vystěhují z Česka do Kanady, budou spokojeni i **gadžové** z Ostravy!* (When Roma move out from Czech Republic to Canada, also *gadžo*s from Ostrava will be satisfied.)

*Občas byli docela hlučnější, ale na Žižkově, kde je v každý ulici 10 hospod, je hlučnej každej - **more** i **gadžo**.* (Sometimes they were rather noisy but in Žižkov where there are 10 pubs in every street everybody is noisy – *more* as *gadžo*.)

2) უნგრული

*Sok **gádzsó** használ a szlengben cigány eredetű szavakat...* (Many *gádzsók* use Gypsy origin words in slang...)

*Két **csávó** meg egy **gádzsi** …* (Two *csávó* and one *gádzsi* ...)

3) ესპანური

¿Me quiéres, *mi gaché*? (Do you love me, my *gaché*?)

*Pese su odio a todo lo americano el **gachó** llevaba unos vaqueros de marca Levi's.* (In spite of his hate of everything American, the*gachó* was wearing jeans of Levi's.)

*No seas **gacho*** (Don't be *gachó.*)

*Sólo una **gachí** rica puede salvarme ahora* (Only a rich *gachí* can save me know)

*(…) el Ayuntamiento de Valencia, gobernado por la "**gachí**" del ferrari...*(the City Hall of Valencia, controled by the *gachí* of Ferrari...)

დასკვნა:

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ენების ჟარგონში გვხვდება ბოშური წარმოშობის ბევრი სიტყვა. აღსანიშნავია, რომ ციფრები ისტორიული და სოციო-კულტურული ფაქტორებიდან გამომდინარეობს. რიგ შემთხვევაში ნასესხობათა მნიშვნელობა შენარჩუნებულია, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სიტყვები უარყოფით კონოტაციას იღებს (ხანდახან მათი მნიშვნელობა ფართოვდება ან პირიქით). მიმაჩნია, რომ ამ ყოველივეს სოციალური და ისტორიული მიზეზები განაპირობებს.

[1]სტატიაში ტერმინი „პირობითი ენა'' (“argot común”) [Sanmartí Sáez, 1991:VII] ზოგადად ჟარგონის აღმნიშვნელია, რომელიც არ მიეკუთვნება კონკრეტულად რომელიმე სოციალურ კლასსა თუ პროფესიულ ჯგუფს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც დამნაშავის ან ზოგადად კრიმინალური ჟარგონის ნაწილი ხდება.

[2]ბოშური არის ინფო-არიული წარმოშობის ენა, რომელზედაც საუბრობენ ბოშები ევროპაში (რომლებიც თავიანთ თავს რომადაც მოიხსენიებენ).

[3]ბოშური სიტყვების უმეტესობა, მაგალითად: მამა, ვაჟი, გოგო, არაბოშა, პური, ჭამა, სმა, მოპარვა, ღმერთი, ეშმაკი, შიში და ა.შ. გვხვდება ყველა ენაში. შეიძლება ითქვას, რომ ბოშური ტრადიციისა და ცხოვრების სტილი აშკარად ჩანს ბოშური წარმოშობის სიტყვათა ლექსიკონში, რასაც თავისი ისტორიული და სოციალური მიზეზები გააჩნია. ამ ყოველივეს გათვალისწინებით და ამასთანავე გაანალიზებით, შეიძლება ვნახოთ ყველა ბოშური წარმოშობის სიტყვა ამ ქვეყნების ენებში. სტატიის შემდეგ ნაწილში ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ.

[4]გამოკვლევა და ინტერნეტ-გამოკითხვა ჩატარდა უნგრეთში (2006-2007), ესპანეთში (2006-2009). და შედეგების ნახვა შესაძლებელია ჩენგეროვასთან (2007, 2008, 2009) და კრინკოვასთან (2013).

5ევროპაში ბოშათა ისტორიის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხილეთ ფრეიზერი (1998).

6ესპანელ ბოშათა ისტორიის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხილეთ: პიმი (2007), გომეზ ალფარო (1999), სანჩეზ ორგეტა (1976, 1977, 1988).

7ამ ბატონყმობას თავისი სისასტიკიდან გამომდინარე ზოგიერთი ავტორი მონობადაც მოიხსენიებს.

8ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მცხოვრები ბოშათა ისტორიის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხილეთ: ჰორვატოვა (2002), ჰუბშმანოვა (2000), ნეკასი (1999), პაველჩიკოვა (2004).

9ბოშური სიტყვების არარეგულარულ სიებს ვხვდებით ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მეთექვსმეტე საუკუნიდან [Matras, 2002:2].

10ტერმინები ,,ბოშური წამოშობის სიტყვები'' და ,,ბოშური ნასესხობები'' სტატიაში სინონიმებია, რომელიც აღნიშნავს ყველა იმ სიტყვას რომლების ყველა ბოშურ დიალექტებში გვხვდება [Matras, 2002:20-25].

11ესპანური ჟარგონული ლექსიკონებისათვის იხილეთ ბესი (1905), სანმარტინ სეზი (1999); უნგრულისათვის - ფაზაკასი (1991), კოვესცესი (1998); ჩეხურისათვის - ჰიუგო (2006).

12იხილეთ კაკუკის სტატიები (1993) უნგრულისათვის, კლავერიასი (1951, 1953) ესპანურისათვის და მატრასის სტატიები (1998). ზოგიერთი სტატია ენის საკითხებზე შეიძლება ნახოთ ბოშათა შემსწავლელი საზოგადოების ჟურნალის სხვადასხვა ნომერში.

13მიმაჩნია, რომ ესპანელი და ბრიტანელი ლინგვისტები განიხილავდნენ ამ პრობლემას მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში (იხ: ბოროუ 1843, 1845). პარადოქსია, რომ ამ ქვეყნის ბოშა მოსახლეობა დღეს საერთოდ აღარ საუბრობს თავის ენაზე. ესპანეთსა და ბრიტანეთში ბოშები ხმარობდნენ ენას (შეიძლება ეს დღესაც ასეა) რომელიც ბოშურ ლექსიკას ეყრდნობა თუმცა ინგლისურ გრამატიკის წესებს იყენებს წინადადების აგებისას. ამ ტიპის ენას პარაბოშური ეწოდება [კორტიადე, 1991, Matras, 2002:13] და ამ ენას მიეკუთვნებიან კალო ესპანეთში და რომანიჩელი ბრიტანეთში. ესპანეთში არსებობდა მნიშვნელოვანი ლიტერატურა კალოს ენაზე მეცხრამეტე საუკუნეში, თუმცა არ შეიძლება ამ წყაროებზე დაყრნობა, რადგან ხშირია პლაგიატიზმის შემთხვევები. ინფორმაცია ესპანური კალოს პლაგიატიზმის შესახებ შეიძლება მოიძებნოს ადიეგოსთან (2005, 2006).

14თუმცა, ბოშა მოსახლეობის მარგინალიზების განზოგადება არ შეიძლება, რადგან ბევრმა ბოშა მუსიკოსმა ძალიან მაღალი სოციალური სტატუსი მიიღო საზოგადოებაში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებიდან დაწყებული, განსაკუთრებით უნგრეთსა და ესპანეთში.

15ჩეხი მოსაუბრე ივარაუდებს, რომ, თუ ჩეხურში არის ბოშური წარმოშობის სიტყვები, ის უკავშირდება კრიმინალურ ან დამნაშავეთა ჟარგონს. იმავე აზრს იზიარებენ სხვა ევროპელებიც.

16ეს ტენდენცია შეინიშნება ესპანური, გერმანული და ჩეხური ჟარგონის ლექსიკონებში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებიდან.

17გერმანულ ჟარგონში 10-20% ბოშური წარმოშობის სიტყვებია. დამნაშავეთა ჟარგონის გარდა, შეინიშნება ბევრი ბოშური სიტყვა ბრნოს ჟარგონში (*hantec*). ამ ტიპის ჟარგონი წამოიშვა ვენურ ჟარგონთან აქტიური კავშირის შედეგად და დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

18არ არსებობს კვლევა, რომელშიც შესწავლილი იქნება ცირკის მსახიობების ენა, შესაბამისად, ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რამდენია მასში ბოშური ლექსიკური ერთეული, შეუძლებელია. თუმცა, 2008 წელს ჩეხურ გაზეთში გამოქვეყნებული რამდენიმე ინტერვიუს თანახმად, აშკარა გახდა, რომ ცირკის მსახიობების უმეტესობამ იცის, რომ იმ ჟარგონის რაღაც ნაწილი, რომელსაც ისინი იყენებენ, ბოშური წარმომავლობისაა.

19მე არ ჩამიტარებია საკუთარი კვლევა ბოშური წარმოშობის სიტყვებზე რუმინეთში. რუმინული მაგალითები ეფუძნება ჩიორანესკუს (2005). ამას გარდა, ვხვდებით ინფორმაციას მატრასთანაც (1998).

20ამ სტატიაში არ განვიხილავ ბოშური წარმომავლობის სიტყვების გრამატიკულ ადაპტაციებს. ქვეყნის ძირითადმა ენამ მოიცვა თითქმის ყველა ლექსიკური კატეგორია, არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავები.

21ბოშური დიალექტები ძალზე განსხვავდება ევროპაში. ეს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ვსაუბრობთ ბოშურისა და უმრავლესობის ენის მიმართებაზე. ბოშური ფორმები, რომლებიც სტატიაშია მოყვანილი, ძირითადად ყველა დიალექტში გვხვდება და ციტირებულია ბორეცკისთან. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის ბოშური დიალექტების შესახებ იხ: ბორეცკი (2004), მატრასი (2002).

22ბოშური წარმომავლობის სიტყვების უნგრული ფორმები მოყვანილია კოვესცესის მიხედვით (1998). მათი სემანტიკური ფორმები და რეალური დიფუზია შევისწავლე კვლევისას (2007).

23ბოშური წარმომავლობის სიტყვების ესპანური ფორმები სტატიაში მოყვანილია სანმარტინ სეზის მიხედვით (1999). ისინი ძირითადად მსგავსია იმ ფორმებისა, რომლებიც ნახსენებია ბესისთან (1905). მათი სემანტიკური ფორმები და რეალური დიფუზია შევისწავლე კვლევისას (2006-2009). იხ: ასევე ჩენგეროვა (2007, 2008).

24ზოგიერთ დიალექტში -t არის არაკავშირიანი დაქვემებარება. ბოლო -i არსებობს როგორც ბოშურ, ისე ესპანურ ფორმაში. იხ: ბორეცკი (2004: 242).

25სიტყვა *csöcs* არის ციტირებული, როგორც ბოშური. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ უნგრული სიტყვა *csecsemő* 'წოვა' (*csecs* 'მკერდი' + *emő* 'წოვა'). სიტყვა *csecs* ნახსენებია უკვე 1508 წელს და აქვს ბოშური წარმომავლობა. ამას გარდა, ის შეიძლება უკავშირებოდეს ჩეხურ სიტყვას *cecek* 'ძუძუსთავი' და *cucat* 'წოვა'.

26ნახეთ უნგრული და ესპანური მონათესავე ენები: *dzsal* ~ *chalar*, *kamel* ~ *camelar*, *csaj* ~ *chai*, *muj* ~ *mui*, *csávó* ~ *chavó*.

27მეცხრამეტე საუკუნის ესპანელმა ლექსიკოგრაფმა გააერთიანა ტერმინები კალო (ესპანელი ბოშების ენა) და გერმანია (ესპნური ჟარგონი). კალო ხშირად მიიჩნევა კრიმინალების პირობით ენად. კალოსა და მას შორის იყო ურთიერთზეგავლენა. კალო შევიდა პორტუგალიურში და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჟარგონის მნიშვნელობით.

28აქ ვგულისხმობ კალოს, ესპნელი ბოშების ენას.

29ამის შედეგად, რუმინელი ბოშების სახის ფერი ბევრა უფრო ღიაა, რაგან მათში სჭარბობს არა-ბოშური სისხლი.

30ბოშური ნასესხობის მაგალითებისათვის იხ. ინტერნეტ-ბლოგები ან ჩენგეროვა (2007, 2009).

ლიტერატურა

Besses, L. Diccionario de argot español. - Cádiz: Universidad de Cádiz,1984

Boretzky, N. Diccionario de argot español, Cádiz: Universidad de Cádiz, 1994

Čengerová, Z. Gitanismos en el lenguaje de los internautas: algunos métodos de investigación. In: Jornadas de Estudios Románicos. Sección de Hispanística. Tomo II: Lingüística. - Bratislava: AnaPress, 2009

The Influence of Romani on Colloquial Spanish and Hungarian. Časopis pro moderní filologii. 2/90,2008

Výrazy z romštiny ve španělštině a maďarštině. - Praha: FFUK. Unpublished M.A. thesis, 2007

Clavería, C. Notas sobre el gitano español. In García Blanco, M. Strenae: Estudios de filología e historia, p. 109-119. - Salamanca, 1962

Estudios sobre los gitanismos del español, Revista de Filología Española, Anejo LII. – Madrid,1951

Fazakas, I. Jasszok, zsarók és cafkavágók. - Budapest: Fekete Sas Kiadó, 1999

Frazer, A. Cikáni. - Praha: Nakladatelství Lidové noviny, 1998

Holub, J. Etymologický slovník jazyka českého/ F. Kopečný. - Praha: Státní nakladatelství učebnic, 1951

Horváthová, J. Kapitoly z dějin Romů. - Člověk v tísni, 2002

Hübschmannová, M. Černobílý život. - Praha: Gallery, 2000

Hübschmannová, M. Romsko-český a česko-romský kapesní slovník / M. Šebková ,A. Žigová. - Praha: Fortuna, 2001

Hugo, J. Slovník nespisovné češtiny. - Praha: Maxdorf, 2006

Juhász, J. Magyar értelmező kéziszótár. - Budapest: Akadémiai Kiadó, 1999

Kakuk, M. A magyar nyelv cigány jövevény szavaiból. Magyar Nyelv, 89, p. 194-204, 1993

Kluge, F. Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. - Berlin: Walter de Gruyter, 1989

Krinková, Z. Vzájemné ovlivňování romštiny, španělštiny a dalších jazyků Pyrenejského poloostrova. - Praha: FFUK. Unpublished Ph. D. thesis, 2013

Machek, V. Etymologický slovník jazyka českého. - Praha: Academia, 1971

Matras, Y. Romani. A linguistic Introduction. - Cambridge: University Press, 2002

The Romani Element in Non-Standard Speech. - Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 1998

Pym, R. J. The Gypsies of Early Modern Spain, 1425-1783. - New York: Palgrave, 2007

Romero Gualda, M.V. Gitanismos. Ediciones Rialp, A.S. Gran Enciclopedia Rialp. - Salillas, R., 1991

Salillas, R. El delincuente español. El lenguaje : (estudio filológico, psicológico y sociológico) : con dos vocabularios jergales. El caló jergal. Biblioteca virtual Miguel de Cervantes, 1896

Sanmartí Sáez, J. Diccionario de argot. - Madrid: Espasa, 1991

Stewart, M. Čas Cikánů. (The Time of the Gypsies). - UP Olomouc: Barrister and Principal. Transl. by Silvie Prudká, 2005

Vekerdi, J. Dictionary of Gypsy Dialects in Hungary. - Budapest: Terebess Kiadó, 2001

თინათინ ბელიაშვილი

ნეოლოგიზმების ფუნქციონირება ფრანგულ და ქართულ მედიადისკურსში

ნეოლოგია და ნეოლოგიზმები საყოველთაოდ გავრცელებულ პროცესს - ახალი სიტყვების შექმნას ან არსებული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების პროცესს შეეხება. ენათმეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით არსებობს ფორმისეული ნეოლოგიზმები და სემანტიკური ნეოლოგიზმები. ფორმისეული, ანუ ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა აქამდე არარსებული რეალიების გაჩენასთან ერთად მათი სახელდების მიზნით და სემანტიკური ნეოლოგიზმები, რაც უკვე არსებული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს. ამ ორ ტიპს ემატა მესამე ტიპის ნეოლოგიზმებიც, ანუ ნასესხობები. ჟან-ფრანსუა საბლეროლი ნასესხობებს განიხილავს ნეოლოგიის მესამე ძლიერ მნიშვნელოვან წყაროდ.

ნეოლოგიასთან დაკავშირებით სირთულე იწყება მაშინ, როდესაც დისკურსის ადრესატი (მკითხველი ან მსმენელი) მიზნად ისახავს, გამოარჩიოს ნეოლოგიზმები ამ დისკურსში. მკვლევრის წინაშე დგება ამოცანა, განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ დონეზე ლექსიკური ერთეულის „ნეოლოგიურობა“. როდესაც უნდა ვიკვლიოთ, არის თუ არა ესა თუ ის ლექსიკური ერთეული ნეოლოგიზმი. რომელი მათგანი უნდა მივიჩნიოთ ნეოლოგიზმად, ლექსიკონში დაფიქსირებული თუ ჯერ კიდევ არ შესული? გაუვიდა თუ არა ყავლი მის ნეოლოგიურობას? ნეოლოგიზმია თუ აპაქსი, ნეოლოგიზმია თუ მეტაფორა ან მეტონიმია? ერთი სიტყვით, კვლევისას გაირკვა, რომ არც ისე ადვილია ლექსიკურ ერთეულთა შექმნის პროცესი და ამ პროცესის შედეგების შესწავლა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ კომუნიკაცია ენის ბუნებრივი დანიშნულებაა, ენის ფუნქციონირების პოსტულატია. ვინაიდან ენა ადამიანების სააზროვნო და საკომუნიკაციო ინსტრუმენტია, ძალაუნებურად ყოველი ჩვენგანი მონაწილეობს ნეოლოგიის პროცესში. ამ პროცესში ბავშვებიც კი არიან ჩართულნი, განსაკუთრებით ენის ადგმის პროცესში, მათ სურთ, გამოხატონ თავიანთი სურვილები და ლექსიკური მარაგის სიმცირეს ივსებენ უნებურად შექმნილი სიტყვებითა და გამოთქმებით. მოზარდები ზოგ შემთხვევაში თავის დასამკვიდრებლად ეწევიან ნეოლოგიზაციას, თხზავენ ახალ სიტყვებს ენის წერითი თუ ზეპირი ნორმების დარღვევით და ამით ქმნიან თავიანთ სამყაროს და ემიჯნებიან უფროსებს. ყველაზე ხშირად ნეოლოგიზაციის პროცესში მონაწილეობენ ზრდასრულები. ეს დაკავშირებულია გამომგონებლობასთან, ახალ ტექნოლოგიებთან, აზროვნების და მხატვრულ, ლიტერატურულ შემოქმედების პროცესთან.

ნეოლოგიის და ნეოლოგიზმების ფუნქციონირების კვლევა აწყდება ისეთივე სირთულეებს, როგორსაც ზოგადად ენის წარმოშობის დადგენა. საუკუნეებია, მეცნიერები დაუღალავად შრომობენ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. [1] მიუხედავად ყოველივე ამისა, უმეტეს შემთხვევაში თითქმის წარმოუდგენელია, ვიპოვნოთ ახსნა სიტყვებისა და, ზოგადად, მეტყველების წარმოშობისა. თუმცა, ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად რჩება არსებული ახალი სიტყვების აღწერა და იმის განსაზღვრა, თუ როგორია მათი დანიშნულება სინქრონულ პლანში. ნეოლოგია დამოკიდებულია არა ევოლუციაზე, არამედ კრეაციაზე....განსაზღვრა კონცეპტისა -

ნეოლოგია - უმჯობესია სინქრონულ პლანში, ე.ი. ლინგვისტური სისტემის ელემენტთა ურთიერთმიმართების პერსპექტივაში[Guilbert 1973:11]. ნეოლოგიზმების აღნუსხვა და აღწერა ენის განვითარების კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენის, არამედ ამ მოცემული ისტორიული ეპოქის დასახასიათებლადაც.

რაც შეეხება ნეოლოგიზმების ასაკს, საშუალო ასაკად მიჩნეული იყო ათი წელი. მაგრამ დღესდღეობით მათი ასაკი გაახალგაზრდავდა: ხუთ წელიწადში ახლი ლექსიკური ერთეული იწყებს ცვეთას [Pruvot, Sablayrolles, 2003:36] მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ნეოლოგიების გაჩენის ტემპი თანდათან მატულობს, რასაც ხელი მრავალმა ფაქტორმა შეუწყო: თავდაპირველად ელექტრონიკისა და, ზოგადად, ტექნიკის, მედიცინის, შემდგომ ინფორმატიკის განვითარებამ, სსრკ-ს დაშლამ, ევროკავშირის შექმნამ, საზღვრების მოშლამ, გლობალიზაციის არნახულმა ტემპებმა და სხვ. ეს, რასაკვირველია, არასრული სიაა იმ მოვლენებისა, რომლებმაც ოცდამეერთე საუკუნეში მიგვიყვანა ნეოლოგიური პროცესის დღევანდელ ტემპამდე. შესაბამისად, ნეოლოგიზმების შექმნა-გაქრობისა თუ ბანალიზაციისათვის შეიცვალა ასაკობრივი კრიტერიუმები. თუმცა დაზუსტებით არც ამის თქმა შეიძლება, რადგან „ნეოლოგიურობის“ სტატუსი ცვლადია ნეოლოგიზმის გავრცელების მასშტაბისა და სისწრაფის მიხედვით“[Sablayrolles, 2006:141-157].

იმისათვის, რომ ენამ შეძლოს შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სოციალურ აქტში, რაც წარმოადგენს საკომუნიკაციო აუცილებლობას, საჭიროა, მან მოგვცეს საშუალება, შევქმნათ ახალი სიტყვები [Vendryes, 1921]. ყოველმა ცოცხალმა ენამ, რომელიც მიჰყვება საზოგადოების განვითარებას, უნდა დანერგოს ნეოლოგიის ის მექნიზმები, რომლებიც ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელადაა საჭირო. ყოველივე ამას მოითხოვს განათლების პროგრესი და ტექნიკური ტრანსფორმაციები. ეს დინამიკა წარმოშობს საჭიროებას, ლექსიკაში შეიქმნას ლექსიკის განახლების საშუალება, ის, რასაც ენათმეცნიერები „ღია სერიებს“უწოდებენ.

ნეოლოგიზაციის პროცესში უპირატესობა ღია სერიებს ენიჭება. ანდრე მარტინემ დაადგინა განმასხვავებელი ნიშნები გრამატიკულ სიტყვებსა და ლექსიკურ სიტყვებს შორის[2]. გრამატიკული სიტყვები მიეკუთვნებიან ე.წ. „დახურულ სერიებს“ და ლექსიკური სიტყვები - „ღია სერიებს“. გრამატიკული სიტყვები, ხელსაწყო-სიტყვები[3] ნაწილია დახურული სერიებისა, ვინაიდან შეუძლებელია, შეიქმნას ენის განვითარების ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, მაგალითად, თანწყობის დამამყარებელი კავშირები ან პირის ნაცვალსახელები [Martinet,1968]. მხოლოდ დიაქრონიულ ჭრილში, ენის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ხდება გარკვეული ცვლილებები გრამატიკულ ლექსიკაში. სამაგიეროდ, ლექსიკური სიტყვები შესაძლოა, შეიქმნას თანდათან, საჭიროების მიხედვით. ეს პროცესი მუდმივია და შეუზღუდავი.

ამით აიხსნება ის, რომ ნეოლოგია ძირითადად ითვალისწინებს ლექსიკურ სიტყვებს, და რომ ნეოლოგიზმები შექმნილია ენის მორფოლოგიური საშუალებებით. ეს უკანასკნელი კლასიკური განმარტებით ფორმისეული ნეოლოგიაა. აქედანვე გამომდინარეობს ის, რომ უკვე არსებულ სიტყვებს ენიჭება ახალი მნიშვნელობები; ეს არის, ძირითადად, ე.წ. სემანტიკური ნეოლოგია. ასევე აღსანიშნავია ნეოლოგიზმები, რომლებიც მომდინარეობს დიალექტიდან ან ენის ძველი ფორმებიდან ნასესხების გზით. უცხო ენებიდან, კონკრეტულად კი ინგლისური ენიდან, ნასესხებ

სიტყვებს, ვიზიარებთ რა საბლეროლის შეხედულებას, ცალკე კატეგორიად განვიხილავთ, მათი მასშტაბის გამო. ამავე დროს ანგლიციზმებში, როგორც სხვა ნასესხობებში, ხშირად ხდება სხვადასხვა პროცესის აკუმულაციის ასახვა.

ასეთია ძირითადად ნეოლოგიზმების კატეგორიები, რომელთა შესწავლაც წარმოადგენს ლინგვისტის მიზანს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ნეოლოგიზმები იქმნება და ტესტირებას გადის, მედიასივრცეა, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული.

ჩვენ მიერ ფრანგულ და ქართულ მედიაში მოპოვებული მასალის მიხედვით გვაქვს საფუძველი, აღვნიშნოთ, რომ ნეოლოგიზმების დიდი უმრავლესობა განეკუთვნება არსებითი სახელებისა და ზმნების კატეგორიას, შედარებით ნაკლებია ნეოლოგიზმები ზედსართავ სახელებში, კიდევ უფრო ნაკლები - ზმნიზედებში.

ნეოლოგიზმთა შორის ცალკე გამოვყოფდით სინტაქსურ ანგლიციზმებს. ისინი ფარულად მკვიდრდებიან ენაში და ამიტომ მეტად სახიფათონი არიან მიმღები ენისათვის. ფრანგულ და ქართულ ენებში ეს არის, ძირითადად, ინგლისური ენისა და მისი ამერიკული ვარიანტისათვის დამახასიათებელი სინტაქსური წყობის კალკირება. მაგ.: ფრანგულ ენაში: *en charge de (in charge of) chargé de , responsable de (ევალება, პასუხს აგებს). Est sous contrôle (under control) est maitrisé (მართულია). Faire sens (to make sense) avoir un sens (აზრის ქონა, მნიშვნელობის ქონა)*

მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ქართულ ენაშიც. ქართულ მედიასივრცეში არაერთგზის მოგვისმენია ფრაზა: „დარჩით ჩვენთან“, რაც არ არის ბუნებრივი ქართული სინტაქსური წყობისათვის და წარმოადგენს სინტაქსურ კალკს.

არსებითი სახელების კატეგორიიდან ნეოლოგიზმების უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ანგლიციზმებს.

მაგ.: *il a mimé le scratch d’un discjockey …à la perfection* [Elle edito. P.5 10 aout 2012].

De plus en plus de gens achètent e-book [RFI 11.11.2012. 09 :50].

Un feeling est passé entre eux [yahoo.France. 09.02 2012].

ზემოთ მოყვანილ ფრაზებში მოხსენიებული ანგლიციზმები ლექსიკური ანგლიციზმებია, ე.ი ეს ინგლისური სიტყვები პირდაპირაა შესული ფრანგულ ენაში თავიანთი გამოთქმით, ორთოგრაფიით, მნიშვნელობით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. თუმცა „გაფრანგულების“ მიზნით მათ გააჩნიათ შესაბამისი არტიკლები და მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშნები. ზოგიერთი ანგლიციზმი ყალბი ანგლიციზმია, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვა *pressing ჟიმჩენდის* მნიშვნელობით. ეს არ არის ინგლისური სიტყვა.ეს არის ყალბი ანგლიციზმი. არსებობს კიდევ „ნახევრად ანგლიციზმები“. ფრანგი ენათმეცნიერი სერკილინი [TV 5. Monde. Merci professeur. 30.03.2009], მაგალითად, ასეთად მიიჩნევს *surbooké-ს,* და თვლის, რომ ის ინგლისური სიტყვების (*overbooking და surbooking)* ანალოგიითაა შექმნილი.

ფრანგულ ნეოლოგიზმთა შორის გამოყენების სიხშირის მიხედვით შემდეგ ადგილზე მოდის სიგლები და აკრონიმები. რა თქმა უნდა, ამ მოვლენასაც თავისი ახსნა აქვს. დღევანდელი ცხოვრების დაჩქარებული ტემპი ადამიანებს უბიძგებს, იყვნენ ეკონომიურნი და აზრი მსმენელამდე სწრაფად მიიტანონ. მოქმედებს ეკონომიის პრინციპი. ადამიანის ქცევა ექვემდებარება უმცირესი ძალისხმევის კანონს[Martinet,1970:178-179].

BD,ciné,télé….Aujourd'hui on trouve les héros partout !...Voici votre palmarès [OKAPI. 1 fevrier. 2011. P.27].

…veut que 20% des embauches concernent des jeunes issus de ZUS [zone urbaine sensible] [Le Monde. 29.05. 2013].

ქართულ ნეოლოგიზმთა შორის აქა-იქ არის სიგლები, მაგრამ მათი რაოდენობა არ არის დიდი და სიხშირეც შედარებით დაბალია განსხვავებით ფრანგული ენისაგან აქ *შპს* (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), *სგს*(საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება) და სხვ. უფრო აბრებსა და დაწესებულებათა სახელწოდებების აღსანიშნავად გამოიყენება.

აბრევიაცია, უმეტესად ტრონკაცია, გვხვდება ყველა ტიპის მედიაში, მაგრამ ძირითადად ახალგაზრდულ პრესაში, როგორიცაა OKAPI და PHOSPHORE . ან ახალგაზრდების მეტყველების ციტირებისას,

…en ayant joué durant sa prépa plus de dix heures par jour [Nouvel Observateur. 25-31 oct. 2012.p.9].

Etudes sup: faites les bons choix [OKAPI. 15 jan.2011.p.25].

Tandis qu'Egyptology nous redonne goût au synthé [ELLE. 10 aout 2012.p.31].

ქართულ მედიასივრცეშიც ანგლიციზმების სიუხვე შეიმჩნევა. უმტესად ეს არის ლექსიკური ანგლიციზმები და განსკუთრებით ხშირად ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინები, როგორებიცაა *ლაიქები, სიდი, ვიჯეინგი, ფრაიმქარდი, ლაივი, ვიზუალი, ბლოგი, ბლოგერი, ფლეისტეიშენი, შორთლისტი* და ა.შ.:

შემდეგ ვუგ ზავნით აუტ-ლაინებს გოგონებს [იმედი. 03.02.2012. 22:30].

ლაიქების საშუალებით გამოვლენილი იქნება გამარჯვებული [I არხი.14.02.2012.01 სთ.].

ხანდახან ამგვარ ნეოლოგიზმებს ბრჭყალებშიც ათავსებენ:

...იქნებ იმ ორ ღილაკს დააჭირეს ხელი და მასალები „ფლეშკაზეც" გადაიტანეს? [საქართველო და მსოფლიო. 7-13 აგვისტო, 2013, N29. გვ.6].

მაგრამ მე არ მგონია, რომ ამის გამო ყოველდღიურად უნდა ვცვალოთ პოლიტიკური „ისტაბლიშმენტი"[თბილისელები. 15-21 ივლისი, 2013. N29. გვ.9].

უნდა ითქვას, რომ ამ ანგლიციზმების მორფოლოგიური და ფონეტიკური ადაპტაცია უფრო ადვილად ხდება ქართულ ენაში, ვიდრე ფრანგულ ენაში. ფრანგულ ენაში ეს ანგლიციზმები თავდაპირველად გამოითქმის ფრანგული კითხვის წესების მიხედვით და მხოლოდ გარკვეული

დროის შემდეგ ხდება მათი სრული ინტეგრაცია. ამის კარგი მაგალითია*pipline* (გაზსადენი, ნავთობსადენი), რომელსაც აქვს შესატყვისი ფრანგული სიტყვა *gazoduc, oleoduc* (გაზსადენი, ნავთობსადენი) და იგი ინგლისურად წარმოითქმის, როგორც ‘paiplain და თანაარსებობს შესაბამის ფრანგულ ეკვივალენტებთან და ამავე სიტყვის ფრანგული წაკითხვის ვარიანტთან ერთად. ხშირად ფრანგები მას გამოთქვამენ, როგორც piplin-ს. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხდება შეუძლებელი ინგლისური ენიდან ფრანგულ ენაში შემოსული ანგლიციზმის შეცნობა ნასესხებ სიტყვად. ქართულ ენაში ამ ანგლიციზმთა მორფოლოგიური და ფონოლოგიური ადაპტაცია ბევრად უფრო უმტკივნეულოდ და პირველივე ხმარებიდან ხდება.

მაშინდელი ოპოზიციის მოქმედება მიზნად ისახავდა სახალხო პროტესტის თავმოყრას მისი შემდგომიუტილიზაციით [საქართველო და მსოფლიო. 7-13 აგვისტო, 2013, N29.გვ.6].

შესაბამისად ავიღეთ საერთაშორისო დომეინი, რომ შესაძლებელი იყოს საერთაშორისო მომხმარებლისთვისაც [იმედი. ქრონიკა. 10.02. 2012. 20:25].

ქართულ მედიასივრცეში არსებით სახელთა შორის ხშირია ფორმისეული ნეოლოგიზმები, სადაც იცვლება მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში პრუვოს მიერ მოხსენიებული ოთხი მექნიზმიდან (აზრის დამცრობა, აზრის განვრცობა, აზრის შესუსტება და კონტამინაცია) [Pruvost, 2002:32] არცერთი არ გვხვდება. უფრო სიტყვის მეტაფორულ გააზრებასთან გვაქვს საქმე. მაგ., *სივრცე (*ინტერნეტსივრცის მნიშვნელობით) და *კალათა (*საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ჩამონათვალის მნიშვნელობით) წმინდა წყლის კალკებია.

ვფიქრობთ, შევქმნათ სივრცე [იმედი. ქრონიკა. 10.02. 2012. 20:52].

ავიღოთ ჩვენი ექსპორტისა და იმპორტის კალათა [თბილისელები. N29 15-21 ივლისი, 2013. გვ.9].

ისლამური სამყარო თუ ჩამოყალიბდება სერიოზულ მოთამაშედ [მეორე არხი. არგუმენტების დრო, 11.06.2013. 22:30].*მოთამაშე* მეტაფორაა. საქმე გვაქვს ნეოლოგიზმთან. აზრი შეცვლილია. უნდა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ამ მნიშვნელობით (მონაწილე პირი) გვხვდებოდა სიტყვა *აქტორი.*

ახალი რეალიების გაჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი ლექსიკური ერთეულები. მაგ.:

გაემგზავრა მარსმავალი, რომ დაადასტუროს მარსზე სიცოცხლის არსებობა [იმედი. ქრონიკა. 31.12.2012. 15:00].

L’amarissage du laboratoire scientifique modèle……a eu lieu comme prévu, peu après[4] [Le Monde. fr.09:34.06.07.2012].

ქართულ მედიაში ისევე, როგორც ფრანგულში ხშირად გვხვდება ნეოლოგიზმები, რომელთა არსებობა თითქმის არაფრით არ არის გამართლებული; ვინაიდან არსებობს მათი ეკვივალენტები ქართულ ენაზე. *ნარატივი, ფიგურანტები, მენტალობა, კრეატიულობა, პერფორმანსი,*

ვიზიტორები - ეს ის ლექსიკური ერთეულებია, რომელთა გარეშეც აზრის გამოხატვა ქართველს არ გაუჭირდებოდა, პირიქით, მათი შესაბამისი ქართული ერთეულები შეიძლება უკეთ გამოხატავდეს აზრს.

ენის ნორმებიდან შემთხვევითი თუ შეგნებული გადახვევა ნეოლოგიზმების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. სიტყვის არასწორი ფორმის ან ბარბარიზმის ხშირი ხმარების გამო (განსაკუთრებით მედია საშუალებებში) ეს ლექსიკური ერთეულები ნეოლოგიურ ელფერს იძენს და ენაში ამგვარად მკვიდრდება[Pergnier, 1989:80].

Des moules et des frites à volonté:j'hallucine grave!" "C'est nul, lâche-t-elle. Je dis j'hallucine, je dis grave, mais jamais les deux à la fois [Phosphore. Mars. 2002.p.49].

პაციენტების მომართვიანობა გაიზარდა [იმედი. ქრონიკა 01.07.2013. 20:30].

...თქვენი გამინისტრების შემდეგ თქვენი მეუღლე კადრულობს გადაადგილებას საზოგადოებრივი ტრანსპორტით?[საქართველო და მსოფლიო. 7-13 აგვისტო, 2013. N29.გვ.14].

ქართულ ნეოლოგიზმებს გააჩნიათ ერთი თავისებურება: მათ შემოინახეს რუსიციზმების კვალი.

...მბრძანებლის მეუღლე კი ტრამვაით მიდიოდა პრომაკადემიაში [საქართველო და მსოფლიო.7-13 აგვისტო, 2013. გვ.14].

მას ჰქონდა პერედოზირების სინდრომი [მზე. მზესუმზირა. 14:45. 14.02 2013].

ბევრად უფრო კარგი ტრი დეა [3D] [იმედი. ქრონიკა. 21:00. 30.08.2011].

ჟურნალისტების მიერ ხშირად ხდება შემთხვევით თუ შეგნებულად ნორმის დარღვევა. ამგვარი მეტყველება გადამდებია და სწორედ მედია არის ის სივრცე, რომელიც ყველაზე აქტიურად ამკვიდრებს ამ გზით მიღებულ ნეოლოგიზმებს.

ფრანგული ნეოლოგიზმები ზმნების კატეგორიიდან ძირითადად ახალ ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული. გაჩნდა ახალი ზმნები: *faxer, textoter, podcaster, chatter, wikifier*. ყველა ახალი ზმნა პირველი ჯგუფისაა.

J'ai 5 ans et je tweete déjà [TV 5. 12.04.2012. 19:45].

Ils… googlisent trios lignes sur Camus [Nouvel Observateur.25-31 oct.2012.p.10].

სანამ დასერჩავ, დაგუგლავ [რუსთავი 2. იღბლიანი ბორბალი.23.11.2011.11:30].

Je shoppe quoi chez H&M cet automne? [Yahoo.France.Pour Elles.23.08.2013].

სიტყვა *Shopping* ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდანაა ფრანგულ ენაში დამკვიდრებული. არც faire du shopping არის ახალი. მაგრამ ზმნა shopper (რა თქმა უნდა პირველი ჯგუფისა) კი ნამდვილად ახლახანს გაჩნდა ინტერნეტგვერდებზე.

ფრანგულ ზედსართავთა შორისაა ტრონკაციები:

Il est 4 heures et le vacarme continue autour de Taksim de même que les tirs de grenades lacrymo [Le Monde.fr avec AFP. 01.06.20].

კომპოზიტები:

"*Multitâches" c'est ainsi que les chercheurs les définissent* [Nouvel Observateur p.10. 25-31 octobre 2012].

Des policiers en tenue antiémeute [Le monde. Fr. avec AFP. 01.06.2013].

ანგლიციზმები:

Encore une année "overmegacool » pour lui [OKAPI. 1 février. 2011. p.29].

Depuis quelques jours et pour la première fois en France, Eurolines propose…des liaisons interregionales par autocar toujours avec des tarifs low-cost [Le Figaro.fr. 28 mars. 2011].

Touquet c'est très british [TV 5.télé-matin 09:45. 07.07.2012].

გრაფიკული ინოვაციები :

Nos enfants, ces mut@ants [Le Nouvel Observateur. p.6. 25-31 octobre. 2012].

ტექნოლოგიურ სიახლეებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმებიდან ფრანგული სიტყვათწარმოების წესების დაცვით იქმნება ახალი ზედსართავები:

Vous pouvez retrouver l'historique de son enquête tweetesque sur Storify [Yahoo.fr.06.09.2012].

ქართულ ნეოლოგიურ ზედსართავებში კი ძირითადად შეინიშნება მხოლოდ ინგლისური ლექსიკური ერთეულების გამოყენება, თუმცა, რა თქმა უნდა, ქართული ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ხერხების გამოყენებით.

ასეთი სერვილისტური დამოკიდებულება არ შეიძლება [ერთსულოვნება. 20:45. 04.07.2012].

ბავშვების ამოხოცვა - კოლატერალური ზარალია [II არხი. არგუმენტების დრო. 11.06.2013. 22:26].

იმდენად ოპრესირებულია ვირუსი, რომ არანაირი რისკი არ არის [საზოგადოებრივი რადიო. ჯანმრთელობა. 23.07.2013.17:30].

გვხვდება კალკირების შემთხვევებიც:

ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქართული სერიალი ასეთი ყურებადი იქნებოდა [იმედი. 30.07.2011. 19:30].

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ზმნიზედებშიც. ფრანგულ ზმნიზედებში (ნეოლოგიზმებში) ტექნოლოგიური სიახლეების მნიშვნელოვანი გავლენაა:

…les scientifiques ont pu reconstituer numériquement le crâne complet du bon roi Henri…[OKAPI. N907 1er février 2011 p.4].

ქართული ზმნიზედები კი, ისევე როგორც ზედსართავები, ძირითადად ანგლიციზმებიდანაა მიღებული:

მისთვის ეს იყო ვიტალურად მნიშვნელოვანი [რადიო-სადგური საქართველოს ხმა. 10.08.2012.13:15].

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ნეოლოგიზმები გარკვეული შესაბამისი ენობრივი მექანიზმების საშუალებით ფუნქციონირებენ და, ერთი შეხედვით, სისტემურ-კატეგორიულ წესებს მისდევენ, ძნელია რაიმე ზოგადი წესების დადგენა, ასევე რთულია წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ როდის მოხდება მათი ინტეგრაცია ენაში, იარსებებს თუ არა ესა თუ ის ნეოლოგიზმი დიდხანს, რამდენი ხანი შეინარჩუნებს ნეოლოგიურობის ნიშნებს.

1 2001 წელს ცნობილი გახდა , რომ გენეტიკოსებმა გამოჰყვეს გენი FOXP2. ეს გენი და მისი პოტენციური ფუნქციება, სხვა გენებზე მისი ურთიერთზემოქმედება აღმოჩნდა მთვარი ფაქტორი ენისა და მეტყველებისათვის.[Gary F.Marcus,Simon E.Fisher Cognitive Science 2003]

2 **გრამატიკულ სიტყვები** და **ლექსიკური სიტყვები** ანდრე მარტინეს მიერ შემოტანილი ტერმინებია[Martinet,1968].

3 ესეც ანდრე მარტინე ტერმინია [Martinet,1968].

4 *L'amarissage* ნიშნავს პლანეტა მარსზე დაჯდომას, რაც ტექნიკურ სიახლეს ასახავს.

ლიტერატურა

Guilbert L. Théorie de néologisme / In Cahiers de l'Association internationale des études françaises N25, 1973

Martinet A. La linguistique synchronique / Presses universitaires de France. – Paris, 1968

Martinet A. Eléments de linguistique générale. - Paris: Armand Colin,1970

Marcus Gary F. Le point sur FOXP2 : que peuvent nous enseigner les gènes sur la parole et le langage // Article repris de Trends in Cognitive Science, vol. 7 (6) / G.F.Marcus , S. E. Fisher , Traduction : J.L. Pourroy, G. Dehaene-Lambert; « FOXP2 in focus : what can genes tell us about speech and language ? », p. 257-62, copyright 2003, publié avec l'autorisation de Elsevier.

Pergnier M. Les anglicismes. - Paris : PUF, 1989

Pruvost J. Les neologisms: “Que sais-je? “ /J. F. Sablyrolle . - Paris : PUF, 2003

Pruvost J. Les dictionnaires de langue française: « Que sais-je ? » N3622 : PUF, 2002

Sablayrolles J.F. La néologie aujourdhui: A la recherche du mot : De la langue au discours. - Limoges, 2006

Vendryes J. Le langage: introduction linguistique à l’histoire / (réédition Albin Michel.1968), 1921

I არხი.14.02.2012.01 სთ

II არხი. არგუმენტების დრო. 11.06.2013. 22:26.

ერთსულოვნება. 20:45. 04.07.2012.

თბილისელები. 15-21 ივლისი 2013. N29 გვ.9.

იმედი. ქრონიკა. 10.02. 2012. 20:25.

იმედი. 03.02.2012. 22:30

იმედი. ქრონიკა. 10.02.2012.20:52.

იმედი. ქრონიკა. 31.12.2012. 15:00

იმედი. ქრონიკა 01.07.2013 20:30

იმედი. ქრონიკა. 21:00. 30.08.2011.

იმედი. 30.07.2011. 19:30.

მეორე არხი.არგუმენტების დრო 11.06.2013 22:30

მზე. მზესუმზირა. 14:45. 14.02 2013.

საქართველო და მსოფლიო. 7-13 აგვ.2013.N29.გვ.6

საქართველო და მსოფლიო.7--13 აგვისტო 2013.გვ.14.

საზოგადოებრივი რადიო. ჯანმრთელობა. 23.07.2013.17:30

რადიო-სადგური საქართველოს ხმა. 10.08.2012.13

რუსთავი 2. იღბლიანი ბორბალი.23.11.2011.11:30

Elle édito. p.5, 10 aout 2012

ELLE. 10 aout 2012.p.31.

Le Monde. fr.09 :34.06.07.2012 .

Le Monde. 29.05. 2013

Nouvel Observateur. 25-31 oct. 2012.p.6, p.9, p.10

OKAPI. 15 jan.2011.p.25

OKAPI. 1 février. 2011. p.4. p.27, p.29, p.36

Phosphore. Mars 2002.p.49

RFI 11.11.2012. 09 :50

TV 5. Monde. Merci professeur. 30.03.2009

TV 5. 12.04.2012. 19:45

TV5. télé-matin 07.07.2012 09 :45

Yahoo. France. 09.02 2012

Yahoo.sport.14.03.2011

Yahoo. France. Pour Elles. 23.08.2013

Yahoo.fr.06.09.2012

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დარეჯან თვალთვაძე
ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი.....2

2. ირაკლი ანჩაბაძე
ცულები ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების იბერია-კოლხეთში.....27

1. კობა კობერიძე
ზოგიერთი კერამიკული ფორმა აღმოსავლეთ საქართველოში (ახ.წ. I-IV სს.).....42

2. მარიამ მირესაშვილი
ფოლკლორული იმაგოლოგია: ქართველის ეთნოსტერეოტიპი რუსულ მასკულტურაში.....65

3. ნანა ლოლაძე
მოძრაობის ზმნები ქართულში.....71

4. ქრისტინე შავლაყაძე
ქიოსის სავაჭრო აქტივობები ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორიაზე ანტიკურ ეპოქაში (სატრანსპორტო ამფორებზე დამყარებული გამოკვლევა).....79

5. თამარ გელაშვილი
ირლანიური მითოსის ერთი ასპექტი ჯეიმზ ჯოისის რომანში ,,ღამისთევა ფინეგანისთვის.....92

6. ილია პაჭკორია
„გონზაგოს მკვლელობა“, „ჰამლეტი“ და „მეტაჰამლეტი“.....100

7. ზუზანა კრინკოვა
ევროპული ენების ჟარგონებში არსებული ნასესხობები ბოშური ენიდან: მათი წარმომავლობა, მნიშვნელობა დაიდეოლოგია.....107

8. თინათინ ბელიაშვილი
ნეოლოგიზმების ფუნქციონირება ფრანგულ და ქართულ მედიადისკურსში.....121